დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2024 წლის 26 აგვისტო - 1 სექტემბერი

N36 1554

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ქართული ნიურნბერგის პროცესი უნდა შედგეს!

დღეს ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ნაციონალური მოძრაობი-სათვის „ნიურნბერგის პროცესის“ მოწყობაზე რომ საუბრობენ, ეს „ასავალ-დასავალის“ უდიდესი ძალისხმევის შედეგია!



# 12 წელია, «ასავალ-დასავალი» ამას ითხოვს!



ჯერ კიდევ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებშივე დავიწყეთ საინფორმაციო, იდეოლოგიური და პოლიტიკური საფუძვლის მომზადება ნაცებისათვის ქართული „ნიურნბერგის პროცესის“ მოსაწყობად!

2-7

# ბიძინამ სიტყვა უნდა შეასრულოს!

# „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლა „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე მცხეთაში




# ბიძინა ივანიშვილი: 26 ოქტომბრის არჩევნები უნდა იქცეს ნიურნბერგის პროცესად ნაციონალური მოძრაობისთვის!

მოგესალმებით, **მცხეთელებო, დუშელებო, თიანელებო, მოხევეებო, ფშაველებო, ხევსურებო, გუდამაყრელებო,** მოგესალმებით **ცხინვალის რეგიონიდან დევნილებს,** მოგესალმებით **ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს,** რომელიც საქართველოს ამ ულამაზეს მხარეს — **მცხეთა-მთიანეთს** წარმოადგენთ.

სიმბოლურია, რომ რეგიონებში „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო შეხვედრებს ვიწყებთ **მცხეთაში,** საქართველოს ისტორიულ დედაქალაქში:

**მცხეთიდან** გააერთიანა ფარნავაზმა ჩვენი ქვეყანა და შექმნა პირველი გაერთიანებული ქართული სახელმწიფო;

**მცხეთაში** ინახება უფლის კვართი; **მცხეთაში** აიგო პირველი ქართული ქრისტიანული ტაძარი;

**მცხეთაშია** წამომართული საქართველოს დედატაძარი — სვეტიცხოველი;

**მცხეთაში** გამოცხადდა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად, რამაც საქართველოს ქრისტიანულ და ევროპულ იდენტობას მტკიცე საფუძველი შეუქმნა;

**მცხეთაში** განისვენებენ დიდი ქართველი პატრიარქები და მეფეები. აქ განისვენებენ პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე-დედოფალი **ნანა და მირიანი,** აქ განისვენებს **ერეკლე მეორე,** რომლის სიბრძნემაც საქართველოს ევროპული და ქრისტიანული იდენტობა შეუნარჩუნა;

როგორც **ლადო ასათიანი** ამბობდა, **სვეტიცხოვლის ტაძარში ასვენია საქართველოს ცხელი გული, რომლის ძგერა არასოდეს შეწყდება.**

ქართული გული და ქართული სული უკვდავია. სწორედ ეს გული და სულია ის, რამაც ჩვენს სამშობლოს ურთულეს სივრცეში 3 ათასწლეულის მანძილზე თავისუფლება და თვითმყოფადობა შეუნარჩუნა. მცხეთა და მცხეთა-მთიანეთის თითოეული კუთხე არის ჩვენი ქვეყნის განსაკუთრებული საუნჯე, რომელიც ქართულ სულსა და გულს, საქართველოს ღირსებას, თავისუფლებასა და თვითმყოფადობას, უნიკალურ ქართულ კულტურას განსაკუთრებული სიმტკიცითა და რუდუნებით იცავდა და იცავს. **ეს არის 300 არაგველის სამშობლო, რომელიც არასდროს არავის დაუხრის თავს და ყველაფერზე მაღლა ყოველთვის ღირსებას, სამშობლოს სიყვარულს და ქრისტიანულ ფასეულობებს დააყენებს.**

დღეს საქართველო არანაკლებ რთული გამოწვევების წინაშე დგას, ვიდრე გასული 3 ათასწლეულის მანძილზე. მშვიდობის, ღირსების, სუვერენიტეტის, ქრისტიანული ფასეულობებისა და ქვეყნის ნათელი მომავლის დაცვა ახლაც მუდმივ სიფხიზლეს საჭიროებს. **26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს** ამ თვალსაზრისით საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება.

როგორც არაერთგზის ითქვა, **26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები** არის ერთგვარი **რეფერენდუმი,** სადაც ჩვენი ქვეყნის თანამოქალაქეებს უწევთ არჩევანის გაკეთება **ომსა და მშვიდობას** შორის, **მონობასა და თავისუფლებას** შორის, **მორალურ დაცემასა და ქრისტიანულ ფასეულობებს** შორის, **ბნელ წარსულსა და ქვეყნის ნათელ, ევროპულ მომავალს** შორის.

ამ არჩევნებზე ჩვენ გვაქვს ბევრად უფრო დიდი ამოცანა, ვიდრე ეს მხოლოდ მისი მოგება შეიძლება იყოს. **„ქართული ოცნების“ ამოცანაა, მოვიპოვოთ საკონსტიტუციო უმრავლესობის ტოლფასი გამარჯვება, რაც საქართველოს არამხოლოდ მოკლევადიან, არამედ გრძელვადიან ეროვნულ ამოცანებსაც წარმატებით გადაჭრის.**

ჩვენი გუნდის სახელით გავრცელდა ვრცელი განცხადება იმის შესახებ, თუ რისთვის გვესაჭიროება **საკონსტიტუციო უმრავლესობა** და ჩვენი პოზიცია დღეს კიდევ ერთხელ მინდა, თქვენ წინაშე განვმარტო.

პირველ რიგში, **საკონსტიტუციო უმრავლესობა** „ქართულ ოცნებას“ სჭირდება ნაციონალური მოძრაობის გასასამართლებლად. **ჩვენ გვჭირდება საკონსტიტუციო უმრავლესობა იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოვაშოროთ ქვეყანას მძიმე სენი, რომელიც მას უკვე ორი ათწლეულია, არ ასვენებს.**

**ჩვენ წამოვიწყებთ სამართლებრივ პროცესს, რომლის შედეგადაც, როგორც ნაციონალური მოძრაობა, ისე ყველა მისი სატელიტი და მემკვიდრე პარტია აიკრძალება, რისთვისაც ყველანაირი სამართლებრივი საფუძველი არსებობს.**

ნაციონალურ მოძრაობას ჩადენილი აქვს უამრავი დანაშაული საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში მათი ხელწერა იყო ავტორიტარიზმი, ადამიანების მკვლელობა და წამება, ბიზნესის რეკეტი, ტელევიზიების მიტაცება, არჩევნების გაყალბება და მრავალი სხვა დანაშაული, რომელიც **არ შეიძლება დაუსჯელი დარჩეს.** 2008 წელს მათ ჩართეს საქართველო ომში, რამაც ჩვენს ქვეყანას ტერიტორიების 20 პროცენტი დააკარგვინა, 400-ზე მეტი ჩვენი თანამოქალაქის სიცოცხლე შეიწირა და 30 ათასი ქართველი დევნილად აქცია.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, **კრებსითი ნაციონალური მოძრაობა საქართველოს დღესაც არეულობისა და ომისკენ ექაჩება, რის გამოც მათი გასამართლება ახლა სულ სხვა აქტუალობას იძენს.**

**ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ქვეყანამ მუდმივად დანაღმულ ველზე იაროს, ამისათვის კი ნაციონალური მოძრაობის გასამართლება აუცილებელზე აუცილებელია.**

26 ოქტომბრის არჩევნები უნდა იქცეს **ნიურნბერგის პროცესად** ნაციონალური მოძრაობისთვის, სადაც ქართველი ხალ-

გაგრძელება მე–4 გვერდზე

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**საკონსტიტუციო უმრავლესობა** გვჭირდება **ნაციონალური მოძრაობის გასასამართლებლად.**

„რუსთავი-2“

**ირაკლი ღარიბაშვილი**
*პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე*



2012 წლიდან მოყოლებული **ჩვენ ერთად გავიმარჯვეთ ყველა არჩევნებში** და ისევ ერთად ბრძოლით **26 ოქტომბერს გაიმარჯვებს „ქართული ოცნება“ და ქართველი ხალხი!**

„იმედინიუსი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



უნდა გვახსოვდეს, 2024 წლის საპარლამენტო **არჩევნები წყვეტს არა პოლიტიკური პარტიების ბედს, არამედ ქვეყნის ბედს,** ჩვენი სამშობლოს მომავალს. მჯერა, საქართველოს არჩევანი იქნება **მშვიდობით, ღირსებით, კეთილდღეობით ევროპისკენ სვლა!**

„ინტერპრესნიუსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



„ქართული ოცნების“ უმთავრესი ამოცანაა **ოს და აფხაზ თანამოქალაქეებთან ერთად ერთიანი ღირსეული ქვეყნის შენება** — ამ სანუკვარ მიზანს განუხრელად სჭირდება **მშვიდობის შენარჩუნება,** ვინაიდან ომს მხოლოდ **მშვიდობით მოვიგებთ.**

„ინტერპრესნიუსი“

**მამუკა მდინარაძე**
*საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი*



დარწმუნებული ვარ, თითოეულ თქვენგანს, ჩვენ, ყველას ერთად, მტკიცედ გვჯერა, რომ **2024 წლის 26 ოქტომბერი კიდევ ერთი ისტორიული გამარჯვების თარიღი იქნება!**

„იმედინიუსი“

# ივანიშვილმა უნდა შეძლოს!

*— 26 ოქტომბრის არჩევნები უნდა იქცეს* ***„ნიურნბერგის პროცესად“*** *ნაციონალური მოძრაობისათვის, სადაც ქართველი ხალხის საკონსტიტუციო უმრავლესობა უსამშობლო პოლიტიკოსების ამ ერთიანობას, ყველანაირ ანტისახელმწიფოებრივ დავალებაზე ხელის მომწერ უცხოურ აგენტურას სათანადო განაჩენს გამოუტანს! —* ***ეს სიტყვები „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარეს ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის.***

ბიძინა ივანიშვილმა ეს სიტყვები 2024 წლის 21 აგვისტოს მცხეთაში მმართველი პარტიის წინასაარჩევნო ღონისძიებაზე წარმოთქვა და „ქართული ოცნების“ 12-წლიანი მმართველობის განმავლობაში ეს არის პირველი და ერთადერთი შემთხვევა, როცა ხელისუფლების წარმომადგენელმა ნაცმოძრაობის რეჟიმის გასამართლების კონტექსტში **„ნიურნბერგის პროცესი“** ახსენა.

თანაც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ **ქართულ „ნიურნბერგის პროცესზე“** „ქართული ოცნების“ ხელისუფლების რომელიმე რიგითი წარმომადგენელი კი არა, დღევანდელი საქართველოს ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ლიდერი **ბიძინა ივანიშვილი** ალაპარაკდა.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ 2024 წლის 21 აგვისტო, როცა **ბიძინა ივანიშვილმა** ნაციონალური მოძრაობისათვის **„ნიურნბერგის პროცესის“** მოწყობის შესახებ განაცხადა, საქართველოს პოლიტიკურ კალენდარზე ღირსშესანიშნავ თარიღად უნდა მოინიშნოს, რადგან **„ქართული ოცნების“ ხელისუფლება, მართალია, 12 წლის დაგვიანებით, მაგრამ მაინც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის სისტემური გასამართლებისა და ნაციონალური მოძრაობისათვის პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვის გარეშე საქართველო სრულფასოვან სახელმწიფოდ ვერ შედგება.**

არც იმას დავმალავთ, რომ **ბიძინა ივანიშვილის** განცხადება — **ნაციონალურ მოძრაობას „ნიურნბერგის პროცესი“ უნდა მოვუწყოთო,** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **„ასავალ-დასავალისათვის“,** რადგან სააკაშვილის რეჟიმისათვის ქართული **„ნიურნბერგის პროცესის“** მოწყობის აუცილებლობაზე პირველად ჯერ კიდევ 12 წლის წინათ დავწერეთ და უკანასკნელი 12 წლის განმავლობაში, ამ თემის მთავარი იდეოლოგები, აგიტატორები, მედროშეები ვიყავით.

უკეთ რომ ვთქვათ, ბოლო 12 წლის განმავლობაში, **„ასავალ-დასავალის“** სარედაქციო პოლიტიკის მთავარი რეფრენი გახლდათ სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის იმდაგვარად გასამართლება, როგორც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჰიტლერის ნაცისტური რეჟიმი გასამართლდა!

**ქართული „ნიურნბერგის პროცესის“** შესახებ **„ასავალ-დასავალის“** ფურცლებზე ბოლო 12 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ზღვა მასალიდან თუნდაც იმის გახსენება იკმარებს, რომ ჯერ კიდევ სააკაშვილის რეჟიმის ბოგინის პირობებში და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე, **2012 წლის ივლისში დავიწყეთ ნაწყვეტების ბეჭდვა ცნობილი ქართველი მწერლისა და მეცნიერის მიხეილ კვესელავას წიგნიდან „ას ერგასის დღე“,** რომელიც გერმანიის ქალაქ ნიურნბერგში 1945 წლის 20 ნოემბრიდან 1946 წლის 1 ოქტომბრის ჩათვლით გამართულ სასამართლო პროცესზე ნაცისტი დამნაშავეების გასამართლებას ეხება.

კვალიფიციური გერმანისტი **მიხეილ კვესელავა,** რომელიც დიდი ქართველი რეჟისორის **რობერტ სტურუას** სიმამრი გახლდათ, **ნიურნბერგის პროცესში** თარჯიმნად მონაწილეობდა და მისი ტრილოგია **„ასე ერგასის დღე“** წარმოადგენს ერთგვარ პირდაპირ რეპორტაჟს ჰიტლერის ნაცისტური რეჟიმის წარმომადგენელთა სასამართლოდან. 2012 წლის ივლისში **„ასავალ-დასავალის“** ფურცლებზე ამ წიგნის პუბლიკაციის დაწყება მხოლოდ ერთადერთ მიზანს ემსახურებოდა — **ჯერ კიდევ სააკაშვილის ხელისუფლების პირობებშივე დაგვეწყო საინფორმაციო, იდეოლოგიური და პოლიტიკური საფუძვლის მომზადება მისთვის ქართული „ნიურნბერგის პროცესის“ მოსაწყობად!**

მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, ცხადია, კიდევ უფრო ინტენსიურად ვწერდით იმის შესახებ, რომ სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმი ქართულ **„ნიურნბერგის პროცესზე“** უნდა გასამართლებულიყო; კიდევ უფრო მეტი მონდომებითა და ძალისხმევით ვცდილობდით, ახალი ხელისუფლება დაგვერწმუნებინა, რომ ქართული დემოკრატიის გადარჩენისა და სამართლებრივი სახელმწიფოს აშენების ერთადერთი გზა სისხლიანი ნაცრეჟიმის ნარჩენებთან კოჰაბიტაცია კი არა, მათი სისტემური გასამართლება და არაკონსტიტუციურად გამოცხადება იყო.

რომელი ერთი პუბლიკაცია გავიხსენოთ და გამოვიხმოთ **„ასავალ-დასავალის“** ბოლო 12 წლის არქივიდან?

მაგალითად, 11 წლის წინათ, როცა ჟურნალისტები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დახურულ შეხვედრაზე მიგვიწვიეს და სააკაშვილის რეჟიმის მიერ პატიმრების წამების ამსახველი შემზარავი კადრები გვაჩვენეს, **„ასავალ-**

*გაგრძელება მე–5 გვერდზე*



**„ასავალ-დასავალი“. 2012 წლის №30**



**„ასავალ-დასავალი“. 2012 წლის №32**

## საქართველოში „ნიურნბერგის პროცესი“ ყოველმიზეზგარეშე უნდა გაიმართოს!



**„ასავალ-დასავალი“. 2013 წლის №2**


**„ასავალ-დასავალი“. 2013 წლის №34**



**„ასავალ-დასავალი“. 2015 წლის №46**

## კვირგვინოსნები

**რატი ბრეგაძე**
*იუსტიციის მინისტრი*



**კოლექტიური ნაცმოძრაობის უმისამართოდ მიმოფანტული ანასხლეტების გაერთიანება** ისეთივე წარმატებული იქნება, როგორც **ერთხელ აფეთქებული ხელყუმბარის** ნაფლეთებისგან ახლის შექმნის მცდელობა. **ეს არის ვადაგასული, გზაბნეული ტერორისტების კლუბი.**

„ინტერპრესნიუსი“

**არჩილ გორდულაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე*



მას შემდეგ, რაც **„ქართული ოცნების“ გუნდმა შეძლო და ყველა სასამართლო დავა მოუგო რუსეთის ფედერაციას** როგორც სტრასბურგში, ისე ჰააგაში, უკვე იმ **შიდა მოღალატეების ჯერი დადგა, რომლებსაც კოლექტიურად ნაცმოძრაობა ჰქვიათ.** ისინი კვლავ აგრძელებენ ყოველდღიურად ჩვენი ქვეყნის ღალატს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ **მოღალატეების ადგილი იყოს მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს წინაშე.**

„იმედინიუსი “

**თეა წულუკიანი**
*კულტურისა და სპორტის მინისტრი*



ოპოზიციის გაერთიანებებით არაფერი იცვლება „ქართული ოცნებისთვის“, რომელიც **26 ოქტომბერს გამარჯვებისთვის ემზადება.**

**ბიძინა ივანიშვილი** იყო, არის და 27 ოქტომბრიდანაც იქნება ადამიანი, **ვინც უზრუნველყოფს ქვეყნის სტაბილურობას** იმ პარტიის მუშაობის შედეგად, რომელსაც წარმოადგენს „ქართული ოცნება“.

„პირველი არხი“

**ბექა ოდიშარია**
*„ქართული ოცნების“ დეპუტატი*



**უხილავი ხელი,** რომელიც, რა თქმა უნდა, ჩვენთვის ცნობილია, **ცდილობს, ააწყოს ფაზლი** და შექმნას ისეთი პოლიტიკური ლანდშაფტი, რომ **ქართველ საზოგადოებას შეფუთული ნაციონალური მოძრაობა შეაჩეჩოს.**

„ინტერპრესნიუსი“

# „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლა „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიის რეგიონულ ღონისძიებაზე მცხეთაში




*ბიძინა ივანიშვილი 2024 წლის 21 აგვისტოს მცხეთაში, „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო შეხვედრაზე, სიტყვით გამოსვლისას*

## ბიძინა ივანიშვილი:

# საკონსტიტუციო უმრავლესობა „ქართულ ოცნებას“ სჭირდება ნაციონალური მოძრაობის გასასამართლებლად!

*დასაწყისი მე-2 გვერდზე*

ხის საკონსტიტუციო უმრავლესობა უსამშობლო პოლიტიკოსების ამ ერთიანობას, ყველანაირ ანტისახელმწიფოებრივ დავალებაზე ხელის მომწერ **უცხოურ აგენტურას** სათანადო განაჩენს გამოუტანს. **საკონსტიტუციო უმრავლესობის** მიღების პირობებში, კრებსით ნაციონალურ მოძრაობას დამსახურებული სასჯელისგან ვერავითარი გარე მფარველობა ვეღარ გადაარჩენს.

**საქართველოში ჯანსაღი არჩევნები მხოლოდ მას შემდეგ ჩატარდება, რაც პოლიტიკურ სისტემაში კრებსით ნაციონალურ მოძრაობას პატრიოტული პოლიტიკური ძალები ჩაანაცვლებენ;**

**მეორე მიზეზი,** რატომ გვჭირდება **საკონსტიტუციო უმრავლესობა** — საკონსტიტუციო უმრავლესობის მიღების შემდეგ „ქართული ოცნება“ მიიღებს **კონსტიტუციურ კანონს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“,** რომელიც **ლგბტ-პროპაგანდასა** და ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის სხვა გამოვლინებებს დაუპირისპირდება.

საქართველოში **კონსტიტუციის დონეზე აიკრძალება ერთნაირსქესიანთა ეგრეთწოდებული სამოქალაქო პარტნიორობა, ლგბტ-წყვილის მიერ შვილის აყვანა, სქესის შეცვლის ოპერაციების ჩატარება, მედიაში თუ სკოლებში ლგბტ-პროპაგანდის წარმოება** და სხვა.

ანტიქრისტიანული ძალები ცდილობენ, ერებს, სახელმწიფოებს და ადამიანებს ყოველგვარი იდენტობა წაუშალონ. მათი მიზანია, ადამიანი იქცეს ღირსებისა და მორალისგან დაცლილ არსებად, რომელსაც არ ექნება არავითარი ეროვნული, რელიგიური თუ პიროვნული იდენტობა; **ადამიანმა დანამდვილებით ისიც კი არ უნდა იცოდეს, კაცია თუ ქალი.** ფსევდოლიბერალურ იდეოლოგიას უკვე აქვს უმძიმესი შედეგები მრავალ ქვეყანაში და ამდენად, საქართველოში მის გავრცელებას პრინციპულად უნდა დავუპირისპირდეთ, როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს გარედან ზეწოლა ამ საკითხთან დაკავშირებით;

**მესამე** — დღეს მსოფლიოში და ჩვენს რეგიონში პოლიტიკური ვითარება დინამიკურად იცვლება.

### ნებისმიერ დროს შეიძლება დადგეს დღის წესრიგში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, რა დროსაც საქართველოს კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა გახდება აუცილებელი.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პირობებში უნდა გადაისინჯოს ქვეყნის მმართველობის სისტემა და ტერიტორიული მოწყობა, რაც კონსტიტუციაში ცვლილებების განხორციელების გარეშე შეუძლებელია. **კრებსითი ნაციონალური მოძრაობა** ასეთ დროსაც კი აუცილებლად ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ წავა და **ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას** წინაღობას შეუქმნის, რისი დაშვებაც არ შეიძლება. შესაბამისად, **„ქართულ ოცნებას“ შემდეგი მოწვევის პარლამენტში უნდა ჰქონდეს საკონსტიტუციო უმრავლესობა, რათა საჭიროების შემთხვევაში ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის აუცილებელი საკონსტიტუციო ცვლილებები დაბრკოლების გარეშე განახორციელოს.**

**არის კიდევ ერთი, მეოთხე საკითხი, რომლის კონსტიტუციით მოწესრიგებასაც საქართველოს თვითმყოფადობისა და ეროვნული ფასეულობების დასაცავად უდიდესი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს. თუმცა, ამ საკითხზე კონსულტაციები გრძელდება და მასზე ჩვენს პოზიციებს უახლოეს მომავალში გაგიზიარებთ.**

ბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, **არის კიდევ ერთი საკითხი,** რომელიც „ქართული ოცნების“ მიერ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებას საჭიროებს. ყველაფერი უკან დაგვრჩება, თუ საქართველო მშვიდობას ვერ შეინარჩუნებს. **საკმარისია ერთი პატარა შეცდომა და შეიძლება ქვეყანა საერთოდ დავკარგოთ, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ.**

რეგიონში ომი მომავალ წელს აუცილებლად დასრულდება. შესაბამისად, **მთავარია, ეს რამდენიმე თვეც გავძლოთ, საქართველოში არეულობა და მეორე ფრონტის გახსნა არ დავუშვათ, ქვეყანა შევინარჩუნოთ და როგორც კი ომი დასრულდება, საქართველოს ეროვნულ ინტერესებს უკვე ვერავინ და ვერაფერი დაემუქრება.**

რაც უფრო მეტ ხმას მიიღებს „ქართული ოცნება“ 26 ოქტომბერს, მით უფრო განმტკიცდება მშვიდობა ჩვენს ქვეყანაში, მით უფრო მშვიდი იქნება ნოემბერი და დეკემბერი, მით უფრო მშვიდი იქნება **მომდევნო 4 წელიწადი,** მით უფრო ნაკლები დაბრკოლება შეექმნება ქვეყნის საერთო წინსვლას და საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას, ასევე მით უფრო მალე გადაიტვირთება ურთიერთობები ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან.

სწორედ ამიტომ, კიდევ ერთხელ მინდა, მოგიწოდოთ თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეს, რომლისთვისაც ძვირფასია საქართველოში მშვიდობა, ქვეყნის სტაბილურობა და ტრადიციული ფასეულობები —

### 26 ოქტომბერს გამოვიდეთ ქუდზე კაცი და შევქმნათ მყარი ფუნდამენტი საქართველოს ეროვნული იდენტობის დასაცავად, ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლის უზრუნველსაყოფად.

კიდევ ერთხელ მინდა, მოგიწოდოთ თითოეულ ჩვენს თანამოქალაქეს, ვისთვისაც ძვირფასია ქვეყანა, გადადეთ ყველაფერი და გამოდით არჩევნებზე, გვერდზე გადადეთ ყველანაირი ვიწრო პოლიტიკური საკითხი, რადგან ამ არჩევნებზე არა პოლიტიკის, არამედ ქვეყნის გადარჩენის საკითხი წყდება. **ყველაფერი ჩვენს ხელშია, საქართველოს ბედი ჩვენს ხელშია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ქვეყანა გადავარჩინოთ და მომავალ თაობას სამართავად თავისუფალი, დამოუკიდებელი, ერთიანი და ძლიერი საქართველო დავუტოვოთ!**

## კვირგვინოსნები

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი*



რადიკალი, გიჟი სოციალისტი **კამალა ჰარისი უფრო ადვილი დასამარცხებელია, ვიდრე ჯო ბაიდენი.**

„აიპრესი“

**ჯო ბაიდენი**
*აშშ-ის პრეზიდენტი*



**დონალდ ტრამპი ამერიკას წარუმატებელ ერს უწოდებს.** ის ამბობს, რომ ჩვენ ვმარცხდებით, მაგრამ **ის არის ლუზერი.** ამერიკა იმარჯვებს და მსოფლიო ამით უკეთესი გახდება.

„პირველი არხი“

**ბარაკ ობამა**
*აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი*



აშშ-ს არ სჭირდება **დონალდ ტრამპის კიდევ ოთხი წლით** პრეზიდენტობა, არ გვჭირდება **კიდევ ოთხი წელი ხმაური, აურზაური და ქაოსი.**

„პირველი არხი“

**მიხაელ როთი**
*გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე*



თუ მომავალ ფედერალურ ბიუჯეტში არ იქნება თანხები ახალი სამხედრო დახმარებისთვის, **ეს იქნება ფატალური სიგნალი გერმანიის მთავრობის მხრიდან უკრაინის მიმართ.**

„ინტერპრესნიუსი“

**ვოლოდიმირ ზელენსკი**
*უკრაინის პრეზიდენტი*



საჭიროა **იარაღის მოწოდების დაჩქარება** ჩვენი პარტნიორებისგან. ძალიან გთხოვთ, **ომს არ აქვს შვებულება.**

„ინტერპრესნიუსი“

**პეტრ პაველი**
*ჩეხეთის პრეზიდენტი*



ვფიქრობ, რომ არსებობს როგორც ტექნიკური, ასევე სამართლებრივი გამოსავალი, რათა **უკრაინას მიეცეს ნატოში გაწევრიანების უფლება** ნატოს რუსეთთან კონფლიქტში ჩათრევის გარეშე. „პირველი არხი“

# ივანიშვილმა უნდა შეძლოს!

დასაწყისი მე-3 გვერდზე

დასავალის“ 2013 წლის 24-30 ივნისის 25-ე ნომერში დავწერეთ:

***„რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აღმოჩენილ ფირებზეა აღბეჭდილი, ამას შეიძლება, ერთადერთი შეფასება მიეცეს — ეს არის დანაშაული კაცობრიობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ, ხოლო სააკაშვილის რეჟიმი არის ჯალათების ხროვა, რომელიც ისე უნდა გასამართლდეს, ვითარცა ჰიტლერული ნაციზმი ნიურნბერგის სასამართლო პროცესზე“.***

**„ასავალ-დასავალის“** 2013 წლის 26 აგვისტო-1 სექტემბრის 34-ე ნომერში ვწერდით:

***„ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი, ვისაც ქართული სახელმწიფოებრიობის მომავალი აღელვებს და ვისაც გაცნობიერებული აქვს, რომ სამართლიანობის ზეიმის გარეშე ქვეყანა ვერ დაწყნარდება და ვერ დალაგდება, ერთ რამეზე თანხმდება — აუცილებელია, საქართველოში შედგეს ნიურნბერგის ტრიბუნალის მსგავსი სასამართლო პროცესი, რომელიც სააკაშვილის ნეოფაშისტურ რეჟიმს გაასამართლებს“.***

იმავე პუბლიკაციაში აღვნიშნავდით:

***„თუ საქართველო ვერ შეძლებს, განსასჯელის სკამზე დასვას 21-ე საუკუნის „რაიხსფიურერი“ სააკაშვილი, იგივე მიშტლერი და მისი დამნაშავე „რაიხსკანცლერები“, ჩვენ ვერასოდეს გავხდებით ევროპული ოჯახის ღირსეული წევრი“.***

დიახ, ასე ვწერდით, ასე ვფიქრობდით, ასე გვწამდა და ასე გვჯეროდა ჯერ კიდევ 12 წლის წინათ, მაგრამ მაშინ ნაციონალურ მოძრაობასთან კოჰაბიტირებულ „ქართულ ოცნებას“ არავითარი ნიშანწყალი არ ეტყობოდა, რომ სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმს ქართულ **„ნიურნბერგის პროცესს“** მოუწყობდა!

და აი, დღეს, ხელისუფლებაში ყოფნის მე-12 წელს, **ბიძინა ივანიშვილი** და „ქართული ოცნება“ ნაციონალური მოძრაობისათვის **„ნიურნბერგის პროცესის“** მოწყობაზე ალაპარაკდნენ, რაც იმის ნიშანია, რომ **„ასავალ-დასავალის“** 12-წლიან შრომასა და ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია!

ჰო, თავს უფლებას მივცემთ და კმაყოფილებითა და სიამაყით განვაცხადებთ:

## დღეს ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“


ნიურნბერგი: ნაცისტი დამნაშავეების სასამართლო პროცესი. 1946 წელი

„ასავალ-დასავალი“. 2013 წლის №25

სასამართლო პროცესი. 2013 წელი

რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ აღმოჩენილ ფირებზეა აღბეჭდილი, ამას, შეიძლება, ერთადერთი შეფასება მიეცეს — ეს არის დანაშაული კაცობრიობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ, ხოლო სააკაშვილის რეჟიმი არის ჯალათების ხროვა, რომელიც ისე უნდა გასამართლდეს, ვითარცა ჰიტლერული ნაციზმი ნიურნბერგის სასამართლო პროცესზე!

სააკაშვილი ბოლომდე ცხოველად რომ არ იყოს გადაქცეული და მისხალი ადამიანობა მაინც ჰქონდეს შერჩენილი, სიცოცხლე ისე უნდა დაამთავროს, როგორც ჰიტლერმა დაამთავრა — **ჩახოხდეს თავისი რეზიდენციის ბუნკერში და თავი მოიკლას!**

ხოლო იმ ჯალათებისათვის, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის დავალებით მამაკაცებს აუპატიურებდნენ, ამქვეყნად ერთადერთი ადეკვატური სასჯელი არსებობს — **ცხელი ტყვია შუბლში!**

როგორც რუსები იტყვიან — без суда и следствия!

ჯაბა ხუბუა

## უდიდესი ძალისხმევის შედეგია!

**„ასავალ-დასავალმა“** სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის დამარცხებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, ახლა კი, თუ ივანიშვილი და მისი გუნდი სიტყვას შეასრულებენ, ნაციონალური მოძრაობისათვის **„ნიურნბერგის პროცესის“** მოწყობაც **„ასავალ-დასავალის“** დიდი დამსახურება იქნება!

თუმცა, ისიც კარგად გვესმის, რომ დღეს, როცა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებიდან გაშვების შემდეგ მთელი 12 წელია გასული, **ქართული „ნიურნბერგის პროცესის“** მოწყობა მარტივი ნამდვილად არ იქნება!

სამართლებრივი თვალსაზრისით თუ ვიტყვით, ბევრ დანაშაულს, რომლის გამოც ნაცრეჟიმის წარმომადგენლები **„ნიურნბერგის პროცესზე“** უნდა გასამართლდნენ, ხანდაზმულობის ვადა აქვს გასული!

პოლიტიკური კუთხით თუ ავიღებთ, აშშ-ისა და დასავლეთის პოლიტიკური წრეები დღეს ბევრად უფრო გამოიდებენ თავს ნაციონალური მოძრაობის დასაცავად და გადასარჩენად, ვიდრე ამას 10-12 წლის წინათ გააკეთებდნენ!

ანდა, თუ ნაციონალური მოძრაობა, როგორც დანაშაულებრივი რეჟიმი, **ქართულ „ნიურნბერგის პროცესზე“** გასამართლდება და კონსტიტუციურად აიკრძალება, რა ბედი ელით ნაციონალური მოძრაობის ყოფილ წევრებს, ნაციონალური მოძრაობის ყოფილ დეპუტატებსა და ნაციონალური მოძრაობის ყოფილ დამფინანსებლებს, რომლებიც დღეს „ქართულ ოცნებაში“ არიან პორტირებული?

თუ ნაციონალური მოძრაობა **„ნიურნბერგის პროცესზე“** გასამართლდება და ოფიციალურად გამოცხადდება დამნაშავე რეჟიმად, რას უზამს „ქართული ოცნება“ ბევრ მოსამართლესა და პროკურორს, რომელიც ნაცრეჟიმის დანაშაულებრივ ბრძანებებს ასრულებდა, მაგრამ დღეს კვლავ სასამართლოსა და პროკურატურის სისტემაში მუშაობს?

### მოკლედ, ისე გამოდის, რომ **ქართული „ნიურნბერგის პროცესის“** მსუსხავი ეფექტი არამხოლოდ ნაციონალურ მოძრაობას, არამედ „ქართული ოცნების“ გარკვეულ ნაწილსაც შეეხება, რაც ნამდვილად რთული საკითხია, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“, 12-წლიანი დაგვიანების გამო, ეს პოლიტიკური საფასური უნდა გადაიხადოს!

# საქართველოში „ნიურნბერგის პროცესი“ ყოველმიზეზგარეშე უნდა გაიმართოს!

## ნაციონალური მოძრაობისათვის „ნიურნბერგის პროცესის“ მოწყობაზე რომ საუბრობენ, ეს „ასავალ-დასავალის“



დიახ, თუ სამართლიანობის სრულფასოვან აღდგენასა და ნამდვილი სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებაზეა საუბარი, მაშინ გარკვეული პოლიტიკური მსხვერპლი დღევანდელმა ხელისუფლებამაც უნდა გაიღოს!

**ქართული „ნიურნბერგის პროცესის“** მნიშვნელობა და აუცილებლობა იმდენად დიდია, რომ იგი ყოველმიზეზგარეშე უნდა შედგეს!

**ბიძინა ივანიშვილმა,** რომლის სიტყვასაც, ბევრი სხვისგან განსხვავებით, ფასი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს, **ეს ახლა მაინც უნდა შეძლოს!**

ჯაბა ხუბუა

## კვირგვინოსნები


**ელიზბარ გვენეტაძე**
*პროფესორი*

**ქუდზე კაცი გამოვიდეთ 2024 წლის 26 ოქტომბერს** და ერთხელ და სამუდამოდ დავამთავროთ **ის უსაშინლესი ძალა, რომელსაც ჰქვია ნაცმოძრაობა და მისი სატელიტები.**

„იმედინიუსი“


**ირაკლი კირცხალია**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე*

26 ოქტომბერს იქნება **არჩევნები მშვიდობასა და ომს შორის.** მშვიდობის გარანტი, რა თქმა უნდა, არის „ქართული ოცნება“.

„იმედნიუსი“


**თინა ბოკუჩავა**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*

ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა, რომ **26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ აღვადგინოთ საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები,** მოვიტანოთ ამერიკული ინვესტიციები, მივიღოთ უვიზო მიმოსვლა აშშ-თან და **გადავიყვანოთ ჩვენი ურთიერთობა ახალ ხარისხში.**

„პირველი არხი“


**გიორგი ვაშაძე**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი*

ჩვენი ერთიანობის, **ხუთი ნომრის გამარჯვება ნიშნავს ამერიკასთან უვიზო მიმოსვლას, მეტ ამერიკულ ინვესტიციას,** მეტ სამუშაო ადგილს, დიდ ბრენდებს, რომლებსაც საქართველოში შემოვიყვანთ.

„ინტერპრესნიუსი“


**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*პარტია „ფედერალისტების“ ლიდერი*

**ვაშაძემ** კანდიდატის სტატუსი ხომ მოუტანა ქვეყანას, **ახლა ამერიკიდან ინვესტიციებს იზიდავს,** გაწყდა წელში.

„აიპრესი“



### „დღეს ქილიკობენ – ბიძინა ივანიშვილი ტყვიაგაუმტარ შუშებს იყო ამოფარებულიო. ასე რომ არ ყოფილიყო, მე, მოქალაქე თორნიკე მოლაშვილი, რომელიც „ქართული ოცნების“ წევრი არ ვარ, ავიდოდი და დავდგებოდი მის წინ!“



## თორნიკე მოლაშვილი:

# 12 წელია, ამ სიტყვების მოსმენას ველოდი!

***მაშინ, როდესაც ე.წ. ოპოზიციური პარტიები ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ რევოლუციურ სცენარებს თხზავენ და საბოლოო დარტყმისთვის ემზადებიან, „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე მცხეთიდან ყველას და ყველაფერს სცემს პასუხს. ბიძინა ივანიშვილის ამ ისტორიულ გამოსვლას სააკაშვილის რეჟიმის მიერ ნაწამები სულხან მოლაშვილის ძმა, პოლიტპატიმარი თორნიკე მოლაშვილი ეხმიანება და აცხადებს, რომ 12 წელია, ამ სიტყვების მოსმენას ელოდა:***

— როგორც იქნა, ეს დღეც დადგა. ბიძინა ივანიშვილს მხოლოდ მე კი არა, საქართველოს უმრავლესობა ეთანხმება, ვისაც ეს ქვეყანა უყვარს!

**— ეს ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვებია და ისიც 12 წლის შემდეგ ნათქვამი. ბევრი იმასაც ამბობს, სამართლიანობის აღდგენა რომ სდომებოდა, აქამდეც გააკეთებდაო...**

— ყველაფერს თავისი დრო აქვს. ის არ იყო დამოუკიდებელი თავის გადაწყვეტილებებში. **დასავლეთის ბრძანებები რომ არ შეესრულებინა, ხელისუფლებას ვერ შეინარჩუნებდა. მის გარშემო ყოველი მეორე მტერი იყო, 80 პროცენტი აგენტურა ტრიალებდა. დღეს უკვე ყველა გაშიფრულია, ნიღბები ჩამოხსნილი აქვთ!**

ამჯერად ბიძინა ივანიშვილმა გარკვევით თქვა, რომ უკან დახევას აღარ აპირებს, ხმალი ქარქაშიდან ამოღებულია. დამნაშავე ნაცების გასამართლება, პირველ რიგში, საქართველოს ისტორიისთვის, ქვეყნის მომავლისთვის არის აუცილებელი. სხვა შემთხვევაში საქართველო დამოუკიდებელ ნაბიჯებს ვერ გადადგამს, აღარ არის ეს ქვეყანა თოთო ბავშვი.

**— ანუ გჯერათ მისი სიტყვების?**

— ადვილი არ იქნება, ბევრი შეფერხება და პოლიტიკური განცხადებები მოჰყვება, მათ შორის, ქვეყნის საზღვრებს გარედანაც, მაგრამ მჯერა, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესს გარკვეულ კონდენციამდე მიიყვანს! ბევრ საქმეზე დადგება სამართალი, მათ შორის, **სულხან მოლაშვილის საქმეზეც!** დაისჯება ყველა, ვისაც ჩემი ძმა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით ადებდა ხელს. ყველას მოუწევს პასუხისგება — **გიგა ბოკერიასაც, ზურაბ ადეიშვილსაც და ვალერი გრიგალაშვილსაც!**

გახსოვთ, ალბათ, როდესაც **გიგა ბოკერია** უშიშროების საბჭოს მდივანი იყო, უცებ გაქრა 50 მილიონი დოლარი. თავიდან დაიწყეს გამოძიება, მაგრამ მერე ყველა გაჩერდა. რატომ? ამერიკამ მოითხოვა, ნუ გაქექავთ ამ საქმეს, მივჩქმალოთო. დღეს უკვე ვეღარავინ დააბრკოლებს „ოცნებას“, ამ 50 მილიონსაც მოსთხოვენ **გიგა ბოკერიას.** ეშინოდეს ყველას, ვისაც დანაშაული აქვს ჩადენილი!

**— ამაზე ნაციონალმა გიორგი ბარამიძემ უკვე გასცა პასუხი — მოღალატე „ხიხო“ 12 წელიწადია, ნაციონალური მოძრაობის გაუქმებით რომ იმუქრება, ვერ შეგვაშინებს, 26 ოქტომბერს ქართველი ხალხისგან დიდ პანღურს მიიღებსო...**

— **გიორგი ბარამიძე** სხვას რას იტყვის? მასაც, როგორც დამნაშავეს, პასუხისგება მოუწევს, მათ შორის, აფრასიძეების საქმესთან დაკავშირებით. „ხიხო“ და მოღალატე ვინ არის, ეს არჩევნების შემდეგ იურიდიულად დამტკიცდება!

აეწვათ კუდი, აღარ იციან, რა თქვან და ჩვეულ ტაქტიკას მიმართეს, ბიძინა ივანიშვილის სიტყვები პუტინის გასაგონად იყო ნათქვამიო. **რა იყო პუტინის გასაგონად, ის, რომ კაცები ერთმანეთზე არ უნდა დაქორწინდნენ და 16 წლის გოგო ბიჭად არ უნდა გადაკეთდეს?!** თუ ის, რომ არ უნდა დაისაჯონ დამნაშავეები, ვინც ხალხი ჩახოცა და ტერიტორიები დაკარგა?! დავალება აქვთ, ყველა ბრუნვაში რუსები და რუსეთი ახსენონ.

**შევარდნაძემ** ივანოვის ჩამოსვლის შემდეგ არ გადააბარა სააკაშვილს ხელისუფლება? რამდენჯერ ეახლა სააკაშვილი **პუტინს?** ბიძინა ივანიშვილი ერთხელ ჩასულა ან დალაპარაკებია? პატარა ხელმოსაჭიდი ფაქტი რომ ჰქონოდა ამერიკისა და ევროპის უშიშროებას, რომლებიც ლუპით აკვირდებიან ბიძინა ივანიშვილის ყოველ ფეხის ნაბიჯს, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ამბავს ატეხდნენ?! მიწასთან გაასწორებდნენ „ოცნებას“!

გამოდიან და გაიძახიან, პოლიტიკური პარტიები ვართო. **ესენი არიან პოლიტიკურ პარტიებს ამოფარებული საქართველოს მტრები!** ხვალ რომ საქართველოს გამთლიანების საკითხი გადაწყდეს და ამისთვის უმრავლესობის ხმა იყოს საჭირო, ყველაფერს გააკეთებენ პროცესის ჩასაშლელად. რა სახელიც არ უნდა დაარქვან პარტიას, სადაც არ უნდა გადასკუპდნენ, ამით თავიანთ ნამდვილ სახეს და ნამოქმედარს ვერ გადაფარავენ. ყველა ერთია, ყველას ერთი პატრონი ჰყავს ოკეანის გაღმა თუ გამოღმა. როდესაც ნაციონალები ხელისუფლებაში იყვნენ, სად იყო **ხაზარაძე,** რას აკეთებდა? დღეს რომ ბიძინა ივანიშვილის კრიტიკით ქანცი აქვს გამძვრალი, რატომ არ იღებდა ხმას სააკაშვილის რეჟიმის უსამართლობებზე? ახლა გახდა ანგელოზი?!

**— რას ეტყვით მათ, ვინც ფიქრობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ დიქტატურა დააანონსა, გამარჯვების შემთხვევაში ოპოზიციურ პარტიებს აკრძალავს...**

— ნამდვილი, წესიერი ოპოზიცია ჰაერივით სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას, მაგრამ საქართველოს მთავრობასა და პარლამენტში ქვეყნის მტრები არ უნდა ისხდნენ. კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობ — **ესენი ოპოზიციონერები კი არა, ქვეყნის მტრები არიან!** მათ არ უნდა ჰქონდეთ იმის საშუალება, რომ ღია ეთერებითა და პირდაპირი ჩართვებით ტვინი მოუწამლონ ხალხს.

მოსახლეობის საღად მოაზროვნე უმრავლესობის 80-90 პროცენტი მხარს უჭერს ბიძინა ივანიშვილს. დიახ,

### ნაციონალური მოძრაობა, როგორც პოლიტიკური კრიმინალური პარტია, უნდა აიკრძალოს და დამნაშავეები დაისაჯოს!

ეს, პირველ რიგში, საქართველოს მომავლისთვის არის აუცილებელი. როდესაც პოლიტპატიმრები ციხიდან გამოვედით, ჯერ კიდევ მაშინ ვითხოვდით ამას, მაგრამ თინა ხიდაშელმა და მისნაირმა ჩანერგილებმა კოჰაბიტაცია შემოიტანეს.

დღეს ქილიკობენ — ბიძინა ივანიშვილი ტყვიაგაუმტარ შუშებს იყო ამოფარებულიო. ასე რომ არ ყოფილიყო, მე, მოქალაქე **თორნიკე მოლაშვილი,** რომელიც „ქართული ოცნების“ წევრი არ ვარ, ავიდოდი და დავდგებოდი მის წინ. დიდია ალბათობა იმისა, რომ ესროლონ. ბიძინა ივანიშვილი დღეს საქართველოს მტრების ნომერ პირველი მტერია და ზუსტადაც, უსაფრთხოდ უნდა იყოს. **მან დიდხანს უნდა იცოცხლოს საქართველოსთვის!** ერთი ადამიანი დამისახელეთ, ვისაც ამ ქვეყნისთვის იმდენი აქვს გაკეთებული, რამდენიც მას და ხმას არ ამოვიღებ. ქართველებმა სიცოცხლეშივე უნდა ვისწავლოთ ადამიანის დაფასება.

### „ესენი არიან პოლიტიკურ პარტიებს ამოფარებული საქართველოს მტრები!“

სრულიად ვეთანხმები ბიძინა ივანიშვილის პათოსს. მას არც დამნაშავეების დასჯა დასიზმრებია, არც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და არც ნაციონალური მოძრაობის აკრძალვა. იცის, რა უნდა ხალხს და გააკეთებს კიდეც!

**— ვისაც აღარ სჯერა ბიძინა ივანიშვილის სიტყვების?**

— კარგად გაიხსენონ, ყოველდღიურად რა დაბრკოლებების გადალახვა უწევდა ხელისუფლებას. არ აძლევდნენ ქვეყნას განვითარების საშუალებას. პრემიერ-მინისტრიც კი ჩართული იყო მომიტინგეებთან სიტუაციების დარეგულირებაში. რელსებიდან გადაჰყავდათ პროცესები. კიდევ ბევრი რამ გააკეთა „ქართულმა ოცნებამ“ ამდენი მტრის ხელში.

ადამიანებს მოუწევთ დაჯერება, მეტიც, საკუთარი თვალითაც დაინახავენ იმ სიკეთეებს, რის პირობასაც ბიძინა ივანიშვილი დღეს დებს. ამას ვამბობ მე, **თორნიკე მოლაშვილი,** რომელმაც სააკაშვილის რეჟიმი საკუთარ ტყავზე ვიწვნიე და აგერ უკვე 12 წელიწადია, სამართლიანობის აღდგენას ველოდები!

მჯერა, რომ დამნაშავეებსაც მოეთხოვება პასუხი და ტერიტორიული მთლიანობაც აღდგება! თუმცა, ამისთვის, აუცილებელია, „ოცნებამ“ **კონსტიტუციური უმრავლესობით** გაიმარჯვოს!

### 26 ოქტომბერს საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება! ყველას მოვუწოდებ, ქუდზე კაცი გამოვიდეს. ჩვენი გვერდით დგომა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ბიძინა ივანიშვილმა დანაპირები შეასრულოს!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***







**„ყველას მოუწევს პასუხისგება — გიგა ბოკერიასაც, ზურაბ ადეიშვილსაც და ვალერი გრიგალაშვილსაც!“**

# „ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებული ჩანაწერი კონსტიტუციიდან ამოღებული უნდა იქნას!“



## ზაზა პაპუაშვილი:

# ქართული „ნიურნბერგის პროცესი“ აუცილებელია, მაგრამ ხელისუფლებამ საკუთარ კადრებსაც გადაავლოს თვალი!

***„ქართული ოცნება“ პირობას დებს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში სააკაშვილის ხელისუფლების მიერ ჩადენილ დანაშაულებს გამოიძიებს და 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ნაციონალურ მოძრაობას ნიურნბერგის პროცესის მსგავს სასამართლოს მოუწყობს, რისთვისაც მომავალ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა სჭირდება. ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ცნობილ მსახიობს, საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრს ზაზა პაპუაშვილს ვესაუბრებით:***

— 2008 წლის აგვისტოს ომის გამოძიება აუცილებელია! 150 სოფლის დაკარგვა და მერე იმის ძახილი — ქვების გროვის მეტი არაფერი დაგვიკარგავსო, დაუსჯელი არ უნდა დარჩეს! 2007 წელს საქართველოდან გასული რუსის ჯარის უკან შემობრუნება, ომის დღეებში წითელ ხიდთან დაყენებული რიგები და ხელისუფლების წევრების გაქცევა, ბრძოლის ველზე დაღუპული ჯარისკაცების უპატრონოდ მიტოვება და რუსთაველის გამზირზე კონცერტის მოწყობა მაშინ, როცა პატრიარქსა და სამღვდელოებას ცხინვალის რეგიონიდან ქართველი ბიჭების ცხედრები გამოჰყავდათ! — **ამ ყველაფერზე სააკაშვილსა და მის ხროვას პასუხი უნდა მოეთხოვოს!**

შეიძლება, ბევრს არც ახსოვს, რომ ჩვენი პატრიარქი მოსკოვში ჩავიდა, რუსეთის პრეზიდენტს შეხვდა და სოფელ პერევიდან რუსული ჯარის გაყვანას მიაღწია, მაგრამ **სააკაშვილი** მაშინვე აყვირდა — ჯარი იმიტომ გაიყვანეს, რომ **ილია მეორემ** რუსეთის პრეზიდენტს ჩემი კატეგორიული მოთხოვნა გადასცაო, რის შემდეგაც რუსებმა გაყვანილი ჯარი შუა გზიდან ისევ პერევში მიაბრუნეს. **რატომ ხდებოდა ეს ყველაფერი? სააკაშვილი და მისი ბანდა ამას სიბრიყვით სჩადიოდნენ თუ გამიზნულად აკეთებდნენ? დროა, ამ კითხვებს ერთხელ და სამუდამოდ გაეცეს პასუხი!**

**— თუმცა, კოლექტიური ნაცები იძახიან, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში სააკაშვილის რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულების გამოძიება რუსეთის დაკვეთის შესრულება იქნება და კრემლის წისქვილზე დაასხამს წყალს!**

— რა მნიშვნელობა აქვს, რას ბოდიალობენ ნაცები — ეს დაქირავებული, ზომბირებული, ქვეყნის ამომგდები იდიოტები, რომლებიც ხალხის ზიზღის მეტს არაფერს იმსახურებენ! ამდენი ვალი დაუტოვეს ქვეყანას, ამდენი ტერიტორია დაკარგეს, ამდენი სტრატეგიული ობიექტი გაყიდეს, ამდენი ხალხი ქუჩებსა და ციხეებში დახოცეს და კიდევ ხელისუფლებაში უნდათ მოსვლა, მაგრამ სირცხვილის, ფურთხის, გინებისა და წყევლის მეტს ვერაფერს მიიღებენ!

**— აბა, სხვადასხვა ოპოზიციურ ცენტრში გადანაწილებული ნაცები ტყუილად ბაქიბუქობენ — 26 ოქტომბრის არჩევნებში გავიმარჯვებთ და ივანიშვილის ხელისუფლებას პოლიტიკურ მოუსავლეთში გავუშვებთო?**

— ჯერ ერთი, **არანაირი სხვადასხვა ოპოზიციური ცენტრი არ არსებობს, ყველა ერთი ნაგავი და ნახირია, რომელსაც ნაციონალური მოძრაობა ჰქვია!**

რაც შეეხება ბაქიბუქს, ესენი სულ ასე იკვეხნიან, მაგრამ ამ კვეხნა-კვეხნაში უკვე 8 არჩევნები წააგეს!

რამდენი წელია, ერთსა და იმავე წრეზე დავდივართ და ერთსა და იმავეს ვიმეორებთ — ნაცები მკვლელები, ნაცები მწამებლებიო... ჰოდა, აღასრულეთ კანონი და დაამთავრეთ, თორემ დაიღალა ხალხი!

**— გასულ კვირას მცხეთაში გამართულ წინასაარჩევნო შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა — 26 ოქტომბრის არჩევნები ნაციონალური მოძრაობისათვის „ნიურნბერგის პროცესად“ უნდა იქცესო! როგორ ფიქრობთ, ამაზე ლაპარაკი ცოტა დაგვიანებული ხომ არ არის?**

— 12 წლის განმავლობაში ჩვენმა ხელისუფლებამ ნაცებს ძალიან ბევრი გააბედვინა და ბევრი რამის გაფუჭების საშუალება მისცა, რის გამოც ხალხში ნიჰილიზმია დასადგურებული და ძნელია, ვინმეს სიტყვაზე ენდო! დიახ, ახლა ქმედების დროა და ხალხი მხოლოდ ქმედებას დაიჯერებს! **რა თქმა უნდა, ქართული „ნიურნბერგის პროცესი“ აუცილებელია, მაგრამ ხელისუფლებამ საკუთარ კადრებსაც გადაავლოს თვალი!**

**— რას გულისხმობთ?**

**— ამდენი პორტირება უნდა დამთავრდეს! პირადად მე მანგრევს იმის ყურება, რომ დღეს თანამდებობებზე ზის ხალხი, ვინც სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლის დროს გვიპირისპირდებოდა და ჩვენს საწინააღმდეგო შტაბებს ხელმძღვანელობდა!**

არ შეიძლება, ხალხის ამხელა ნდობა გაფლანგო! არ შეიძლება, ზურგი შეაქციო იმ საზოგადოებას, ვის ხარჯზეც ამდენი ხანია, ხელისუფლებაში ხარ!

**„ქართულ ოცნებას“ კარგად უნდა ესმოდეს, რომ საქართველო კიდევ ერთ იმედგაცრუებას ველარ აიტანს!**

**— „ქართული ოცნება“ ამომრჩეველს მოუწოდებს, საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვებაში დაგვეხმარეთო!**

— „ქართული ოცნების“ განცხადებაში პირადად ჩემთვის ძალიან კარგად არის ახსნილი, თუ რისთვის სჭირდება მას საკონსტიტუციო უმრავლესობა და ვფიქრობ, ხალხმა ხელისუფლებას ეს მანდატი აუცილებლად უნდა მისცეს, რადგან დღეს ბედთან თამაშისა და სამშობლოზე ექსპერიმენტების ჩატარების დრო ნამდვილად არ არის.

ახლა საერთაშორისო ვითარება ისეთია, შეიძლება, დღის წესრიგში მართლაც დადგეს საქართველოს გამთლიანების საკითხი, ამას კი ხელისუფლება მომზადებული უნდა შეხვდეს და შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებების განსახორციელებლად ოპოზიციასთან მათხოვრობა არ უნდა დასჭირდეს. მითუმეტეს, ესენი — ეს უსამშობლოები და ქვეყნის გამყიდველები — არავითარ შემთხვევაში არ წამოგყვებიან ქვეყნისათვის აუცილებელ საკონსტიტუციო ცვლილებებზე და შანტაჟსა და ვაჭრობას დაგვიწყებენ.

**— ბევრი იმასაც ფიქრობს, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვების შემთხვევაში „ქართულმა ოცნებამ“ კონსტიტუციიდან უნდა ამოიღოს ჩანაწერი ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით თქვენი პოზიცია როგორია?**

— მეც მიმაჩნია, რომ ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებული ჩანაწერი კონსტიტუციიდან ამოღებული უნდა იქნას! როცა კონსტიტუციაში ეს ჩანაწერი გაკეთდა, მეც პარლამენტის წევრი ვიყავი და მიუხედავად იმისა, რომ არ ვეთანხმებოდი, გუნდურობის პრინციპიდან გამომდინარე, მაინც მხარი დავუჭირე. მაშინაც ვფიქრობდი და დღესაც ვფიქრობ, რომ **არ შეიძლება, ჩვენნაირი გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე ქვეყანას კონსტიტუციაში ჰქონდეს გაწერილი რომელიმე კონკრეტულ მხარეს დგომა! არ შეიძლება, პრაგმატული პოლიტიკის გატარებისა და ლავირების გზა მოვიჭრათ!**

**— იმ ფონზე, როცა კოლექტიური დასავლეთის მხრიდან საქართველოს ხელისუფლებაზე უზარმაზარი ზეწოლა ხორციელდება და „ქართული ოცნებისათვის“ ქვეყნის გარეთ პოლიტიკური განაჩენი, ფაქტობრივად, გამოტანილია, 26 ოქტომბრის არჩევნების კვალდაკვალ გართულებებსა და რევოლუციის მორიგ მცდელობას ხომ არ ელოდებით?**

— ამერიკიდან და ევროპიდან თითის ქნევა იმას ემსახურება, რომ ხელისუფლება შეაშინონ და, როგორც იტყვიან, „დუხზე“ დააგდონ, მაგრამ გარწმუნებთ, როცა სახელმწიფო ინსტიტუტები შიგნიდან არ ინგრევა და ხალხიც ხელისუფლების გვერდით დგას, რევოლუციის მოწყობა შეუძლებელია! ასე რომ, ვერც ფრანგი „ნასედკა“ **სალომე ზურაბიშვილით** და ვერც სხვა პოლიტიკური ჩათლახებით საქართველოში გადატრიალებას ვერ მოაწყობენ!

მთავარია, ხელისუფლებამ სალი და ვაჟკაცური ნაბიჯები გადადგას! მთავარია, ქვემძრომობისა და ლაქიობის მაგივრად, ნიჭსა და განათლებას დაედოს ფასი!







# „ვერც სალომე ზურაბიშვილით და ვერც სხვა პოლიტიკური ჩათლახებით გადატრიალებას ვერ მოაწყობენ!“

*ესაუბრა*
***ჯაბა ხუბუა***

# ივანიშვილის უსაფრთხოება ნაცბანდისათვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს!

***2024 წლის 21 აგვისტოს „ქართული ოცნების“ მიერ მცხეთაში გამართულ წინასაარჩევნო ღონისძიებაზე, ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლისას, უსაფრთხოების გაძლიერებული ზომები იქნა მიღებული — როცა მმართველი პარტიის საპატიო თავმჯდომარე შეკრებილ საზოგადოებას სცენიდან მიმართავდა, მის წინ ტყვიაგაუმტარი შუშის ჯებირი იყო აღმართული.***




იხილეს თუ არა ივანიშვილის გამკაცრებული უსაფრთხოება, კოლექტიური ნაცსექტის წარმომადგენლები მაშინვე ერთ ხმაზე აქოთქოთდნენ — **ბიძინა ისეთი შეშინებულია, ხალხს ჯავშნიანი შუშის აკვარიუმიდან ელაპარაკება!**

კი, რაოდენ სასაცილოც არ უნდა იყოს, აბაშელი **ელგუჯა ცომაიას** ტრაილერის კონტეინერში არაყნის ყუთებს შორის ჩამალული **სააკაშვილის** სექტის წევრები ლაპარაკობენ ივანიშვილის შიშებზე!

კი, როგორი სატირალიც არ უნდა იყოს, 2008 წლის აგვისტოს ომის დღეებში, შიშისაგან საკუთარი ჰალსტუხის დამღეჭავი და გორში მიწაზე მფორთხავი სააკაშვილის პოლიტიკური მრევლი ქირქილებს ივანიშვილის მშიშრობაზე!

**ქვეყნის ყველაზე გავლენიანი და წონადი პოლიტიკური ფიგურის უსაფრთხოებაზე ზრუნვა, თურმე, საქილიკო და სალაზღუცო ყოფილა!**

დღეს, როცა გლობალურ ნეოლიბერალურ სისტემასთან დაპირისპირებულ პოლიტიკურ ლიდერებს, სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრ **რობერტ ფიცოთი** დაწყებული და აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატ **დონალდ ტრამპით** დამთავრებული, ტყვიას ესვრიან და სასიკვდილოდ იმეტებენ, ბიძინა ივანიშვილმა, თურმე, საკუთარ უსაფრთხოებაზე არ უნდა იფიქროს!

ივანიშვილის უსაფრთხოების დასაცავად განსაკუთრებული ზომების მიღება, თურმე, საჭირო არ არის მაშინ, როცა მის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადების საქმეზე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში გამოძიება მიმდინარეობს!

თუმცა, მოდით, პირდაპირ ვთქვათ — **ნაცებს სწორედ ის აღელვებთ და აშფოთებთ, რომ ივანიშვილის გაძლიერებული უსაფრთხოება მისი ლიკვიდაციის რისკებს ამცირებს!**

სააკაშვილის ბანდის მუცლის გვრემა სწორედ იმით არის გამოწვეული, რომ ივანიშვილის გაძლიერებული უსაფრთხოების პირობებში, სულ უფრო ნაკლები შანსი რჩება, მოხდეს ის, რასაც სატელეფონო საუბრის ფარულ აუდიოჩანაწერში სააკაშვილს ბიძამისი **თემურ ალასანია** ეუბნება — **„ერთ მილიონს გადავუხდი, ვინც „სნაიპერსკი ვინტოვკით“ მოკლავს ბიძინას!“**

**მას შემდეგ,** რაც სააკაშვილის ბანდამ ივანიშვილთან და მის გუნდთან ზედიზედ 8 არჩევნები წააგო; **მას შემდეგ,** რაც ივანიშვილმა აქტიურ პოლიტიკაში ყოფნის დროსაც და აქტიური პოლიტიკიდან დისტანცირების პირობებშიც, ნაცსექტას ხელისუფლებაში დაბრუნების საშუალება არ მისცა; **მას შემდეგ,** რაც კოლექტიურ ნაცებს ორჯერ ჩაუფლავდათ ე.წ. ფერადი რევოლუცია, საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მათი წარმატების ერთადერთი გზა და საშუალება ივანიშვილის ფიზიკური ლიკვიდაციაა!

შესაბამისად, **ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც ივანიშვილის უსაფრთხოებას აძლიერებს და მისი ფიზიკური ლიკვიდაციის საფრთხეს ამცირებს, კოლექტიური ნაცებისათვის სასოწარკვეთისა და აპათიის მომგვრელია, რადგან ფიქრობენ, რომ, სანამ ივანიშვილი ცოცხალია, ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ვერ ეღირსებიან!**

## ივანიშვილი პოლიტიკაში სამშობლოს დაკარგვის შიშმა მოიყვანა, ხოლო ხაზარაძე პოლიტიკას დაჭერისა და ციხეში ჩასმის შიშით მიეტმასნა!

ივანიშვილის გაძლიერებული უსაფრთხოების გამო პოლიტიკურ ისტერიკაში ჩაცვენილ **კოლექტიურ ნაცებს** შორის გახლავთ **პარტია „ლელოს“ ლიდერი მამუკა ხაზარაძე,** რომელმაც მცხეთაში გამართულ წინასაარჩევნო ღონისძიებაზე „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარის გამოსვლის კვალდაკვალ განაცხადა:

### კვირგვინოსნები



**ბენ კარდინი**
*ამერიკელი სენატორი*

საქართველოს მმართველმა პარტიამ წარადგინა **კანონი, რომელიც ლგბტქ უფლებებს ზღუდავს.** აღნიშნული პაკეტი დაარღვევს შეკრების თავისუფლების უფლებებს და **მსგავსი კანონის მიღება კიდევ უფრო გამოუთხრის ძირს დემოკრატიისადმი საქართველოს მთავრობის ერთგულების მიმართ ნდობას.**

„პირველი არხი“



**გოჩა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*

**„მმართველმა პარტიამ დააინიცირა კანონი ლგბტქ უფლებების გაუქმების შესახებ“** — შფოთავს სენატორი **ბენ კარდინი.** ამიტომ უნდათ **აშშ-ში კამალა, ჩვენთან კი მისი ამალა — შარვალჩახდილები! ნამუსწახდილები! ნიკეები, ლიაკები, კიკუები, ლელოები და ლომჯარიები!** ახლა პასუხი ჩვენზეა!

„იმედინიუსი“



**ზურაბ ქადაგიძე**
*„ხალხის ძალის“ წევრი*

26 ოქტომბერი **საყოველთაო რეფერენდუმია,** სადაც არჩევანი მარტივია — **სუვერენული საქართველო** ან **„შპს“ საქართველო** საერთაშორისო აქტორების ხელში!

„რეზონანსი“



**ვახტანგ ძაბირაძე**
*ექსპერტი*

დღეს „ქართულ ოცნებას“ მოსახლეობასთან სალაპარაკო, გარდა იმისა, რომ **ნაციონალური მოძრაობით დააფრთხოს და შეაშინოს,** სხვა არაფერი აქვს.

„ინტერპრესნიუსი“

# ნაცებს სწორედ ის აღელვებთ და აშფოთებთ, რომ ივანიშვილის გაძლიერებული უსაფრთხოება მისი ლიკვიდაციის რისკებს ამცირებს!



მიხეილ სააკაშვილი ტრაილერის არაჟნებიან კონტეინერში



***„მერამდენედ უნდა ვიხილოთ შეშინებული ბიძინა სცენაზე, რომელიც დაწერილ ტექსტსაც კი ვერ კითხულობს და ტყვიაგაუმტარი შუშის აკვარიუმიდან ესაუბრება ხალხს“.***

ნამდვილად არაფერი გეჩვენებათ და გეყურებათ — **„უშიშარი“ მამუკა ხაზარაძე** ლაპარაკობს **„შეშინებულ“ ბიძინა ივანიშვილზე!**

**ბიძინა ივანიშვილს,** რომელმაც 2012 წელს სააკაშვილის კრიმინალურ რეჟიმთან ღია ომში შესვლით საკუთარი თავისა და საკუთარი ოჯახის უსაფრთხოება უზარმაზარი რისკის ქვეშ დააყენა, შეშინებულს ეძახის **სააკაშვილის კრიმინალურ რეჟიმთან თავის ბანკიანად შეზელილი მამუკა ხაზარაძე,** რომელიც **ადეიშვილის პროკურატურას** ქართველი ბიზნესმენების ცოცხლად გატყავებაში ეხმარებოდა და მათი დაქცევის ხარჯზე საკუთარ ქონებას აბევრებდა!

ისე კი, თუ მაინცდამაინც შიშზეა საუბარი, **ბიძინა ივანიშვილიც** და **მამუკა ხაზარაძეც** პოლიტიკაში თავიანთი შიშების გამო მოვიდნენ, ოღონდ ეს შიშები ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდებოდა. კერძოდ, **ივანიშვილი პოლიტიკაში სამშობლოს დაკარგვის შიშმა მოიყვანა და განაცხადა კიდეც თავის პირველ პრესკონფერენციაზე — მივიღე ჩემთვის მძიმე გადაწყვეტილება და მოვედი პოლიტიკაში იმიტომ, რომ ვხედავდი, სამშობლოს ვკარგავდით!** რაც შეეხება **მამუკა ხაზარაძეს, იგი პოლიტიკაში მოიყვანა დაპატიმრებისა და ციხეში გამწესების შიშმა, რომელიც მაშინ დაეუფლა, როცა ფულის გათეთრებისა და ჯგუფური თაღლითობის ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე აღუძრეს!**

თვით **ალეკო ელისაშვილმაც** კი, რომელიც დღეს **მამუკა ხაზარაძის** პოლიტიკური პარტნიორია, სამიოდე წლის წინათ ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ეთერში იმავე **მამუკა ხაზარაძეს** პირში მიახალა:

***„არასოდეს ქვეყნის ბედი არ გადარდებდა. ხალხს რომ ხოცავდნენ ქუჩაში, მაშინაც იდექი და ხალხს ბინებიდან ყრიდი. ეხლა გაგახსენდა ქვეყანა? ეხლა შეგიყვარდა ქვეყანა? სანამ დაჭერის პრობლემა არ შეგიქმნეს, მანამდე არ გაგხსენებია ქვეყანა. ხალხს რომ ხოცავდნენ გლდანის ციხეში, ძვლებში ამტვრევდნენ, მაშინ შენ იდექი და ღამე კრედიტებს უფორმებდი ფეხებით ჩამოკიდებულ ხალხს“.***

**ივანიშვილის გაძლიერებული უსაფრთხოების პირობებში, სულ უფრო ნაკლები შანსი რჩება, მოხდეს ის, რასაც სატელეფონო საუბრის ფარულ აუდიოჩანაწერში სააკაშვილს ბიძამისი თემურ ალასანია ეუბნება — „ერთ მილიონს გადავუხდი, ვინც „სნაიპერსკი ვინტოვკით“ მოკლავს ბიძინას!“**

## რაოდენ სასაცილოც არ უნდა იყოს, აბაშელი ელგუჯა ცომაიას ტრაილერის კონტეინერში არაჟნის ყუთებს შორის ჩამალული სააკაშვილის სექტის წევრები ლაპარაკობენ ივანიშვილის შიშებზე!



თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთადერთი სიმართლე, რაც **უნიჭო დემაგოგსა და იაფფასიან პოპულისტს ალეკო ელისაშვილს** პოლიტიკაში ყოფნის განმავლობაში უთქვამს. დიახ, **მამუკა ხაზარაძე** პოლიტიკას დაჭერის შიშით მიეტმასნა!

დიახ, მართლმსაჯულების წინაშე პასუხისგების შიშით შეპყრობილი **ხაზარაძე** პოლიტიკაში მხოლოდ იმიტომ მოვიდა, რომ მის წინააღმდეგ წარმოებული სამართლებრივი დევნა პოლიტიკურ დევნად შეეფუთა და ეყვირა — **ხელისუფლება ჩემი ოპოზიციონერობის გამო მებრძვისო!**

ასე რომ, სადაც სამართალი, ღირსება და სინდისია, პოლიტიკაში დაჭერისა და ციხეში ჩასმის შიშით მოსული **მამუკა ხაზარაძე** პოლიტიკაში სამშობლოს დაკარგვის შიშით მოსულ **ბიძინა ივანიშვილს** მშიშარას არ უნდა ეძახდეს, მაგრამ ქართულ პოლიტიკასთან, მეტადრე კი, მის ნაცურ ნახევარსფეროსთან სამართალს, ღირსებასა და სინდისს ახლოსაც არ ჩაუვლია!

დღეს საქმემ ისე მოიყარა თავი და ვითარება ისეთნაირად დალაგდა, რომ ივანიშვილის უსაფრთხოების დაცვა ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის პირდაპირპროპორციულია!

ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის პირდაპირპროპორციულია კოლექტიური ნაცმოძრაობის კონსტიტუციური აკრძალვა და პოლიტიკური ველიდან ამოძირკვაც, რადგან **მამუკა ხაზარაძე და სხვა კოლექტიური ნაცები,** როგორც უცხო ქვეყნების ინტერესების მსახური „მეხუთე კოლონა“, დღეს მხოლოდ ქართული პოლიტიკის კი არა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების პრობლემას წარმოადგენენ!

ყოველივე აქედან გამომდინარე, გასაგებია, რატომ ეშინიათ **კოლექტიურ ნაცებს** იმის, რაც ტყვიაგაუმტარი შუშის უკან მდგარმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა — **26 ოქტომბრის არჩევნები ნაციონალური მოძრაობისათვის „ნიურნბერგის პროცესად“ უნდა იქცესო!**

თუ ივანიშვილს ტყვია არ მოხვდა და „ქართულმა ოცნებამ“ 26 ოქტომბრის არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა, შეიძლება, **ქართული „ნიურნბერგის პროცესი“** მართლაც შედგეს და, როგორც მინიმუმ, ნაცბანდისათვის პოლიტიკური საქმიანობის აკრძალვით დამთავრდეს.

ყოველ შემთხვევაში, საერთაშორისო პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, **ქართული „ნიურნბერგის პროცესის“** მოწყობის შანსი დღეს უფრო რეალურია, ვიდრე წლების წინათ იყო და ამ საფრთხეს კოლექტიური ნაცებიც რომ გრძნობენ, სწორედ ამიტომ ვარდებიან ისტერიკაში ივანიშვილის უსაფრთხოების გაძლიერების გამო.

უკეთესად რომ ვთქვათ, **ივანიშვილის უსაფრთხოება კოლექტიური ნაცებისათვის მთავარ საფრთხეს წარმოადგენს!**

იმედია, ტყვიაგაუმტარი შუშის უკან მდგარი ივანიშვილის შიშით გაშეშებულ ნაცებს 26 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ზუსტად ის დაემართებათ, რისიც ახლა ეშინიათ!

თავად ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“ კი ქართველი ხალხის უნდა ეშინოდეთ, რომელიც მათ სიტყვის კიდევ ერთხელ გატეხასა და იმედების გაცრუებას არაფრის ფასად აღარ აპატიებს!

***ჯაბა ხუბუა***

## კვირგვინოსნები

**თამარ ჩარკვიანი**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



**მამუკა ხაზარაძე** რატომ არ იყო ოპოზიციაში, **სანამ ანაკლია არ წაართვეს?**

„ახალი თაობა“

**ალეკო ელისაშვილი**
*„ძლიერი საქართველოს“ წევრი*



მე და **მამუკა ხაზარაძეს** გვქონდა ძალიან არასასიამოვნო ინციდენტი. ვიმსჯელეთ და ერთმანეთს ვუთხარით, რომ **არც ბოდიშების დროა ახლა, ახლა შერიგების დროა და ერთად დგომის დროა.** ჩვენს ქვეყანას თავისუფლებას ართმევენ. ჩვენი ქვეყანა არის განსაცდელში.

„ახალი თაობა“

**კობა ნაყოფია**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე*



ახლა **ერთიანობისა და გაძლიერების დროა,** რადგან მეორე მხარეს არის „ქართული ოცნება“. **პროდასავლური ძალების გაერთიანება** ყველანაირი ფორმით მისაღებია და **მათ უნდა შეძლონ პრორუსული „ქართული ოცნების“ დამარცხება.**

„რეზონანსი“

**ვახტანგ ცინცაძე**
*ეკონომიკის მინისტრის მოადგილე*



2024 წლის პირველ ნახევარში **მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად** გაზრდილია **დასაქმებულთა რაოდენობა** და ისტორიულ მინიმუმამდე არის შემცირებული **უმუშევრობის დონე.** „პირველი არხი“

**ნინო წილოსანი**
*„ქართული ოცნების“ დეპუტატი*



**ოპოზიცია აგონიაშია.** დადიან ხალხში, ატარებენ კვლევებს და **ხედავენ, რომ განულებულია მათი რეიტინგი.**

„აიპრესი“



# მაყვალა ბერიანიძე:

# 1995 წლის 29 აგვისტოს ე.წ. ტერაქტიდან 29 წელი გავიდა, მაგრამ საქმეზე განაჩენი დღემდე არ არის დამდგარი!

*ჟურნალისტი მაყვალა ბერიანიძე, რომელმაც 1995 წლის 29 აგვისტოს პრეზიდენტ შევარდნაძეზე განხორციელებულ ტერაქტს არაერთი მონოგრაფია, ინტერვიუ და წერილი მიუძღვნა, დღევანდელობას ეხმიანება, მაშინდელ პოლიტიკურ პროცესებს თანამედროვეობასთან მიმართებაში აანალიზებს და ბიძინა ივანიშვილს მოუწოდებს, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს ვოვა არუთინიანი, რომელიც სრულიად უდანაშაულოა და პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უმცროსი) წინააღმდეგ არავითარ ტერაქტს არ გეგმავდა:*

— ვიდრე 1995 წლის 29 აგვისტოს ე.წ. ტერაქტის შესახებ ვისაუბრებდე, მინდა, გამოვეხმაურო მავანთა შეფასებებს ბიძინა ივანიშვილის მცხეთაში გამოსვლასთან დაკავშირებით, სადაც ოპონენტები „შუშის აკვარიუმზე“ აპელირებენ. **ბიძინა ივანიშვილის** სიცოცხლეზე დღეს საქართველოს ბედია დამოკიდებული და, დიახაც რომ, მის სიცოცხლეს საგულდაგულო დაცვა სჭირდება. ხომ ხედავთ, **ტრამპი** კინაღამ მოკლეს, **რობერტ ფიცო** ბეწვზე გადარჩა, ხოლო **ვიქტორ ორბანს** ავარია მოუწყვეს... არ დაგვავიწყდეს, რომ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დაგეგმილი, მაგრამ არშემდგარი ტერაქტის საქმე დღემდე ძიებაშია და ხალხს ჰკითხავენ. აქედან გამომდინარე, ვეკითხები ბინძური მადაშვილს არ ეშინია, ირლანდიასა და ნიუ-იორკში სასახლეები რომ აქვს წამოჭიმული და მილიონები სად წაიღოს, აღარ იცის? **ბარამიძე** — ეს ნაბუშარი, რომელმაც ჟვანიას მკვლელობაში მიიღო მონაწილეობა და ძმაკაცი გაყიდა, აფრასიძეების ოჯახი ამოწყვიტა, სვანეთში მე-17 საუკუნის საფლავები გადათხარა, 102 მილიარდი რუსეთში გადარიცხა, 2003 წლის ნოემბერ-დეკემბერში სისტემიდან 17 ათასი პოლიციელი გაყარა და 2004 წლის აგვისტოს ე.წ. მცირე ომი წამოიწყო სამაჩაბლოში რუსების დავალებით, ცოცხალი როგორ არის? აქეთ **ხუხაშვილი** გამოხტა და გაიძახის — **ბიძინას ეშინიაო!** ეჰ, ღმერთო ჩემო, ალენ დელონი მოკვდა და მე ხუხაშვილზე ვლაპარაკობ!

ლისში ჩამოვიდა, დაჯავშნილი შუშები არ ააფარეს? ამის მიუხედავად, გარეწარმა სააკაშვილმა მაინც დადგა სპექტაკლი და **ვოვა არუთინიანი** ბუშის წინააღმდეგ ტერაქტის მოწყობის მცდელობის გამო დღემდე ციხეში იტანჯება! **ბატონო ბიძინა, ვოვა არუთინიანი უდანაშაულოა, არავითარ ტერაქტს არ გეგმავდა და გამოუშვით!**

**ტერაქტი** ემსახურებოდა შევარდნაძისა და მისი გუნდის მიერ როგორც საპრეზიდენტო, ისე საპარლამენტო არჩევნების გაყალბებას! ფაქტობრივად, **სწორედ 1999 წელს მოიყვანა შევარდნაძემ ნაცმოძრაობა ხელისუფლებაში ისევე, როგორც 1995 წელს სააკაშვილი „მოქალაქეთა კავშირის“ საპარლამენტო** **გაძისთვის არაფერი დამიბრალებიაო!** აი, ამის შემდეგ რაზე უნდა ვილაპარაკოთ?

1995 წლის 29 აგვისტოს **ე.წ. ტერაქტიდან** 29 წელი გავიდა, მაგრამ საქმეზე განაჩენი დღემდე არ არის დამდგარი! მიუხედავად ამისა, იგორ გიორგაძეს მაინც **„ნომერ პირველ ტერორისტს“** ეძახიან... კარგია, რომ ინტერპოლი ცოტა აზრ-







## „იცით, რატომ არ აწყობთ გიორგაძის საქართველოში ჩამოსვლა? იმიტომ, რომ იმ 29 აგვისტოს ე.წ. ტერაქტის მომზადების საქმეში სააკაშვილიც მონაწილეობდა თავის საძმოსთან ერთად!“

შეფასებების ავტორს **პაატა მანჯგალაძეს,** თავად რომელ „შუშის სარკოფაგში“ იჯდა, როცა აუდიტის სამსახურში **ნათია მოგელაძის** მოადგილედ მუშაობდა და ყველაფერს აყადაღებდა?

**— პაატა მანჯგალაძე ავადსახსენებელი ნათია მოგელაძის მოადგილე იყო?**

— დიახ, მისი მოადგილე გახლდათ და ორივენი ციხეში რატომ არ არიან, დღემდე ვერ ვხვდები! ანდა **სალომე სამადაშვილი** რომ ლაპარაკობს — **ივანიშვილს ეშინიაო!** — სა-

### ეჰ, ბიძინა, ბიძინა, ღორებს მარგალიტი რომ დაუყარე, ნამდვილად შეცდი!

სწორედ ეს ღორებია, დღეს ერთ ამბავში რომ არიან და ახალი სალაფავის ძიებაში არ ჩერდებიან. თქვე მართლა ღორებო, **რომის პაპი** რომ საქართველოში ჩამოვიდა, დაჯავშნილი შუშებით არ ჩამოატარეს? 2005 წელს **ბუში** რომ თბი-

**— რა მოხდა 1995 წლის 29 აგვისტოს, ეს ტერაქტი იყო თუ შევარდნაძის მიერ დადგმული მორიგი სპექტაკლი?**

— ვაცხადებ სრული პასუხისმგებლობით და კატეგორიულად: **1995 წლის 29 აგვისტოს და 1998 წლის 9 თებერვალს არავითარი ტერაქტი არ მომხდარა, ეს იყო შევარდნაძის მიერ დადგმული სპექტაკლი!** 1995 წელს საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდა, ხოლო 1999 წელს — საპარლამენტო არჩევნები. ორივე ეს **ე.წ.** **სიაში ჩასვა.** ეს რომ სხვას ეთქვა, ცოცხალი თავით არ დავუჯერებდი, მაგრამ **შევარდნაძემ** პირადად მითხრა და ამის ჩანაწერიც მაქვს — **ბიჭებს მე თვითონ ლანგრით მივართვი ხელისუფლება და მეტი რაღა უნდათო?!** სხვათაშორის, იმავე ინტერვიუში შევარდნაძემ **იგორ გიორგაძის** შესახებაც მითხრა — **რას ვერჩი, უდანაშაულო იყო. ჩემთან არც პროკურატურა მოსულა და არც ჩვენება ჩამოურთმევიათ. მე რას მერჩით, იგორ გიორ**ზე მოვიდა და 2016 წელს გიორგაძე „წითელი ცირკულარიდან“ ამოიღო...

**— ისე, საინტერესოა, რატომ არ ჩამოდის იგორ გიორგაძე საქართველოში?**

— ეგ უმჯობესია, თავად მას ჰკითხოთ, მაგრამ **იგორ გიორგაძემ** იმდენი რამ იცის, საქართველოში რომ ჩამოვიდეს, შესაძლოა, მოკლან! ერთი რამ ვიცი ზუსტად — სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე **შოთა კვირაია** იგორ გიორგაძესთან მივიდა, დაუჩოქა, პატიება სთხოვა და ყველაფერს მოუყ-

## კვირგვინოსნები

**სალომე სამადაშვილი**
*კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი*



კორუმპირებული რუსული რეჟიმი ერთადერთი, რასაც ხალხს ჰპირდება, არის **წინა ხელისუფლების გასამართლება და ოპოზიციის გაუქმება.** ეს ქართველ ხალხს აჩვენებს, რომ **ქვეყანას მართავს გაკოტრებული რუსული რეჟიმი.**

„ინტერპრესნიუსი“

**ხატია დეკანოიძე**
*ნაციონალური მოძრაობის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე*



**იმ პლატფორმაზე დაბრუნება,** საიდანაც მე ბრძოლა რამდენიმე წლის წინ დავიწყე, **არის ბუნებრივი და ამაში არაფერია განსაკუთრებული.** მე ჩემს ფუნქციას ვხედავ, პირველ რიგში, **ბრძოლაში ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ.**

„ინტერპრესნიუსი“

**ანა წითლიძე**
*ნაციონალური მოძრაობის დეპუტატი*



პარტიაში, საპარლამენტო სიის ხათრით, **ხატია დეკანოიძის** სახით, **კიდევ ერთი უძღები შვილი ბრუნდება** — ყველაფრის შეზელვის დიდოსტატი.

„ინტერპრესნიუსი“

**სანდრო რაქვიაშვილი**
*„გირჩის“ წევრი*



**კაკო ბობოხიძე, გიორგი ვაშაძე** დაბრუნდნენ, რომლებიც **ხან მიშას ლანძღავდნენ, ხან — ნაცებს.** ასევე, თავის დროზე **ხაბეიშვილი კეზერაშვილს ლანძღავდა,** მაგრამ ამან ხომ არ შეუშალა გაერთიანებას ხელი? ამიტომ, სხვებთან შედარებით, არც **ხატია დეკანოიძეს** ჩაუდენია ისეთი რამ, რაც ვერ დააბრუნებდა. თუმცა, არ მინდა, არ დავაფასო **ანა წითლიძის** გულწრფელობა, მისი ემოციებიც მესმის. **ხატია დეკანოიძის ადგილას რომ ვიყო, ასეთი პასუხის შემდეგ ნაცებში ველარ დავბრუნდებოდი.**

„პირველი არხი“

ვა! **იგორ გიორგაძე არის მოსიარულე ენციკლოპედია, ყველაფერი იცის.** იცით, რატომ არ აწყობთ გიორგაძის საქართველოში ჩამოსვლა? იმიტომ, რომ იმ 29 აგვისტოს ე.წ. ტერაქტის მომზადების საქმეში სააკაშვილიც მონაწილეობდა თავის საძმოსთან ერთად!

ვინ იყო 1995 წელს სააკაშ-

**— დათო კოკაურს უნივერსიტეტიდან ვიცნობდი, დიდებული ვაჟკაცი იყო, ზვიად გამსახურდიას იდეების მიმდევარი და შევარდნაძესთან რა უნდოდა, დღემდე გაოგნებული ვარ!**

— რატომ ჰქონდათ იმ საცოდავ ბიჭებს — **დათო კოკაურსა და კახა შევარდენიძეს** უშიშროების უმაღლესი ჩინოსნების სავიზიტო ბარათე-

ბობს — **„ცოდოა ეს ერი, რომ გადაშენდეს, მაგრამ საშიშია, რომ გამრავლდეს!“** სააკაშვილით დაწყებული, ჩვენი ისტორიული მეზობლებით დამთავრებული, ყველა იმაზე მუშაობს, რომ არ გავმრავლდეთ, მაგრამ ქართველებს იმის ჭკუა არ ყოფნით, ეს გაითავისონ და საფრთხეს თვალი გაუსწორონ.

## ჩვენი „სტრატეგიული პარტნიორები“?

**— უკანასკნელ ხანს პრეზიდენტმა ბაიდენმა სალომე ზურაბიშვილს წერილი მოსწერა, რომელშიც ნათქვამია — იმედგაცრუებული ვარ საქართველოს ხელისუფლების ანტიდემოკრატიული ქმედებებით და „გამჭვირვალობის**

რესმენი **მაიკ ტერნერი...**

**— მაინც ვინ არის?**

— **მაიკ ტერნერი** ამერიკის დაზვერვის სუპერსპეციალისტი და ერთ-ერთი ხელმძღვანელია. აქ ატყდა ჟივილ-ხივილი — არიქა, **ტერნერი** კორუმპირებულიაო! თუ კორუმპირებულია, 2010 წლიდან მოყოლებული ასეთ მაღალ თანამდებობებზე როგორ არის? **ბაიდენის** წერილი **სალომე ზურაბიშვილისადმი** და საქართველოში **ჯინ შაჰინისა და მაიკ ტერნერის** სტუმრობა ერთ კონტექსტში უნდა განვიხილოთ და თან

## არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ რას ამბობდა სალომე ზურაბიშვილი 2009 წელს. აი, მისი სიტყვები:

*— ძალიან ვამაყობ, მშვიდობიანი გზით ხელისუფლება რომ გადაიბარეთ და კოჰაბიტაციას წარმატებულად ახორციელებთ! თქვენი ხელმძღვანელობის გარეშე ამის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა... ნუ დაივიწყებთ, რომ გისურვეთ დიდი წარმატება თქვენს ყველა საინტერესო წამოწყებაში!*

**— სამწუხაროდ, სალომე ზურაბიშვილის ეს სიტყვები არ მახსოვდა!**

— ეს ნამდვილად მისი სიტყვებია და ამ ქალის გაპრეზიდენტება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა. **ზურაბიშვილსაც და სააკაშვილსაც** ჰგონიათ, რომ **ბიძინა ივანიშვილი** შემთხვევით გამდიდრებული ადამიანია, მაგრამ ერთ რამეს ერთსაც და მეორესაც შევახსენებ: 2012 წელს **ჰილარი კლინტონმა** ბიძინა ივანიშვილს წერილი რომ გამოუგზავნა, იცით, რა ეწერა შიგ?



ედუარდ შევარდნაძის ავტომობილი 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტის შემდეგ

# „1995 წლის 29 აგვისტოსა და 1998 წლის 9 თებერვალს არავითარი ტერაქტი არ მომხდარა, ეს იყო შევარდნაძის მიერ დადგმული სპექტაკლი!“




1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტის დროს დაღუპული კახაბერ შევარდენიძისა და დავით კოკაურის ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალი

# „რატომ ჰქონდათ იმ საცოდავ ბიჭებს – დათო კოკაურსა და კახა შევარდენიძეს უშიშროების უმაღლესი ჩინოსნების სავიზიტო ბარათები და ტელეფონების ნომრები ნაქირავებ ბინაში? ვინმემ ეს ყველაფერი გამოიძია?“

ვილი, შევარდნაძემ მოქკავშირის საპარლამენტო სიაში რომ ჩაწერა და პარლამენტში შეიყვანა? 1999 წელს კი შევარდნაძემ სააკაშვილისა და მისი საძმოს სია კიდევ უფრო გააფართოვა. რატომ ხდებოდა ეს ყველაფერი? ცხადია, იმიტომ, რომ ედუარდს ამათთვის ხელისუფლება გადაებარებინა! რატომ მოხდა, რომ 1998 წლის 9 თებერვლის **ე.წ. ტერაქტის** დროს შევარდნაძის დაცვის ორი ბიჭი — **კახა შევარდენიძე და დათო კოკაური** დაიღუპა?

ბი და ტელეფონების ნომრები ნაქირავებ ბინაში? ვინმემ ეს ყველაფერი გამოიძია? როდემდე უნდა ატყუონ ქართველი ხალხი? გულწრფელად რომ გითხრათ, მაშინ **ედუარდ შევარდნაძეს** არავინ ემუქრებოდა, ხოლო **ბიძინა ივანიშვილს** ნამდვილად ემუქრებიან.

შევარდნაძის მოკვლა თუ უნდოდათ, მაშინ მოკლავდნენ, როცა ზვიად გამსახურდიას მომხრეებთან დიდი დაპირისპირება და ომი ჰქონდა! დიდი გერმანელი ფილოსოფოსი **ჰეგელი** ერთგან ქართველებზე ამ-

## ამერიკის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი მე–20 საუკუნის დასაწყისში ბედავდა და ქართველებს მოგვიწოდებდა – საქართველო სომხეთს უნდა შეუერთდესო! აი, ესენი არიან

**„შესახებ“ კანონის მიღებით! რას იტყვით?**

— ვეკითხები მსოფლიოს — დედამიწის ზურგზე ერთი ადამიანი მაინც არის, რომელსაც სჯერა, რომ ეს წერილი **ბაიდენმა** დაწერა ან **ბაიდენი** აზრზეა, რა წერია იმ წერილში? ბაიდენმა ან სენატორ **ჯინ შაჰინისა** და ან კონგრესმენ **მაიკ ტერნერის** არსებობის შესახებ თუ იცოდეს, გეფიცებით! **კაცი გათიშულია, აღარ არის ამ სოფლად და ვის ატყუებენ?** არცერთ ჩვენს ტელევიზიას არაფერი უთქვამს იმის შესახებ, ვინ არის სინამდვილეში კონგ-

## „მე მიყვარს ზბიგნევ ბჟეზინსკი და ჯორჯ სოროსი. ისინი ჩემი მასწავლებლები არიან და ვმეგობრობ მათთან. დროა, ქართველმა ხალხმა აზრი შეიცვალოს ჯორჯ სოროსზე!“

როგორ ფიქრობთ, ასეთ სიტყვებს შემთხვევით პიროვნებებს წერენ? სხვათაშორის, შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს, როცა საქართველოში კლინტონის ძმები ჩამოვიდნენ, სააკაშვილმა და მისმა ხროვამ ყველაფერი გააკეთეს, რათა ისინი შევარდნაძესთან არ შეეშვათ, მაგრამ მე და ერთმა პარლამენტარმა ქალბატონმა ყველაფერი გავაკეთეთ და ეს შეხვედრა მაინც შედგა...

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ლევან ხაბეიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



ჰელსინკის კომისიამ შავით თეთრზე დაწერა, რომ **ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ჩართულია ტრანსნაციონალურ დანაშაულში.** საუბარია იმაზე, რომ **ქოლცენტრების მეშვეობით მილიარდობით დოლარს იპარავენ ივანიშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები** და უკვე ამ შავ ფულს იყენებენ ხალხის წინააღმდეგ.

„ახალი თაობა“

**ნათია მეზვრიშვილი**
*„გახარია საქართველოსთვის“ წევრი*



მოვუწოდებთ „ქართულ ოცნებას“, **ქოლცენტრების საქმიანობაზე შეიქმნას დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისია.** თუ „ქართული ოცნება“ გამოძიებაზე უარს იტყვის, კიდევ ერთხელ დაადასტურებს იმას, რომ **ხელისუფლება შავ ფულზე, კორუფციასა და ძალადობაზე დგას.**

„ახალი თაობა“

**რომან გოცირიძე**
*ოპოზიციონერი პარლამენტარი*



„ქართული ოცნება“ **რუსეთის მხარეს დგას.** „ქართული ოცნება“ **დაადგა ღალატის გზას.**

„ახალი თაობა“

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



გვინდა, **ევროპის კავშირის წევრი, ერთიანი და მთლიანი საქართველო.** ეს მომავალი იწყება **„ქართული ოცნების“ დამარცხებით.**

„რეზონანსი“

**ნიკა გვარამია**
*კოალიცია „ცვლილებებისთვის“ ერთ-ერთი ლიდერი*



„ოცნების“ წინააღმდეგ **საჯარო სასამართლოს** დაწყებას ვითხოვ.

„ახალი თაობა“

*როგორც ჩანს, სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმისაგან დარჩენილი პოლიტიკური ნაგავსაყრელის ბინადარნი ძლიერ დააფრთხო და დაარეტიანა ბიძინა ივანიშვილის მიერ 2024 წლის 21 აგვისტოს მცხეთაში გაკეთებულმა განცხადებამ — თუ 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობას მოვიპოვებთ, ნაციონალურ მოძრაობას „ნიურნბერგის პროცესს“ მოვუწყობთ და ქართული პოლიტიკიდან ამოვშანთავთ!*



**კუზდარასტი ბარამიძე გახლავთ ცოცხალი სახე-სიმბოლო იმისა, რომ საქართველოში სამართალი არ აღმდგარა და „ნიურნბერგის პროცესის“ მოწყობა სასიცოცხლოდ აუცილებელია!**

**გიორგი ბარამიძე ბიძინა ივანიშვილისათვის „ხიხოს“, „მოღალატისა“ და „პუტინის მონის“ დაძახებას რომ ბედავს, ეს მხოლოდ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ბრალია!**

# კუზდარასტის ხმა ისმის!



ერთ-ერთი, ვისი ხმაც პოლიტიკური ნაგავსაყრელიდან ყველაზე კაპასად და ისტერიულად გაისმა, სააკაშვილის პირისფარეშად ჩამოყალიბებული **გიორგი ბარამიძე** გახლავთ, რომელმაც ბიძინა ივანიშვილს შეურაცხმყოფელი ეპითეტებით მიმართა:

> ***„შე მოღალატე ხიხო! 12 წელია, ნაციონალური მოძრაობის გაუქმებით იმუქრები. ვის გგონია, რომ შეაშინებ? მიხეილ სააკაშვილს, რომელსაც სიკვდილის არ შეშინებია, ჩამოვიდა საქართველოში და, როგორც პუტინის პატიმარი, ზის და ღირსებით უძლევება თავის გუნდს? მე შემაშინებ? ნაციონალური მოძრაობის 600 000 მომხრეს და წევრს შეაშინებ? შე პუტინის მონავ, ვინ უნდა შეაშინო? ქართველი ხალხი უნდა შეაშინო?“***

მოდით, პირდაპირ ვთქვათ: **გიორგი ბარამიძე რომ დღეს ისევ ქართულ პოლიტიკაშია,** ეს მხოლოდ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების კისერზეა!

**გიორგი ბარამიძე ამდენს რომ ლაპარაკობს,** ამაში დამნაშავე მხოლოდ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაა!

**გიორგი ბარამიძე ბიძინა ივანიშვილისათვის „ხიხოს“, „მოღალატისა“ და „პუტინის მონის“ დაძახებას რომ ბედავს,** ეს მხოლოდ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ბრალია!

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებას სააკაშვილის რეჟიმის მიერ მესტიის რაიონის სოფელ ეცერში ჩატარებული სისხლიანი სპეცოპერაციისა და აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტის საქმე რომ გამოეძიებინა, **დღეს გიორგი ბარამიძე პოლიტიკაში ყელყელაობისა და ბრიფინგებზე უზრდელობის მაგივრად, ძალიან დიდი ალბათობით, ციხეში იჯდებოდა, რადგან პირადად ხელმძღვანელობდა უდანაშაულო ქალებითა და მცირეწლოვანი ბავშვებით სავსე აფრასიძეების სახლის დაბომბვას, დაპატიმრებული და ხელებშეკრული ომეხ აფრასიძის დახვრეტასა და დაჭრილი ევგენი აფრასიძის ცოცხლად დაწვას ცეცხლწაკიდებულ სახლში.**

მიუხედავად იმისა, რომ **სააკაშვილის უშუალო ბრძანებითა და ბარამიძის უშუალო ხელმძღვანელობით** ამოჟლეტილი ოჯახის დიასახლისი, ძაძით შემოსილი ქალბატონი **დოდო სიდიანი-აფრასიძე** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოითხოვდა — მკვლელი და ჯალათი გია ბარამიძე დაკითხვაზე მაინც დაიბარეთო, პროკურატურას იგი ჩვენების ჩამოსართმევადაც კი არ გამოუძახებია.

**— ჩემი ქმარი და შვილი ბარამიძის ბრძანებით, მისივე თვალწინ დახოცეს. მის თვალწინ დაწვეს ჩემი სახლი და შიგ ცოცხლად გამოწვეს ჩემი მეუღლე. მთელი სოფელი, 400 ადამიანი მაინც არის იმის მოწმე, რომ ბარამიძე იქ იყო. მეზობლებს უთხოვიათ — ომეხის ცხედარი მოგვეცით, რომ გავაპატიოსნოთო, ბარამიძეს კი უპასუხია — ჯერ სახლიდან ევგენის ძვლები გამომიტანეთ და მერეო!** — ეს **დოდო აფრასიძის** სიტყვებია და დღეს სწორედ ეს ბარამიძე აგინებს ბიძინა ივანიშვილს, რადგან „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ პასუხი არაფერზე მოსთხოვა.

**— უამრავი მოწმე არსებობს, რომ სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ ბარამიძემ მეზობლებს კუზდარი მოსთხოვა, მაგრამ, რომ არ მიართვეს, თავის თანამშრომლებს მანქანიდან კონსერვები მოატანინა. მერე მიცვალებულის ფეხებთან ვნახეთ საჭმლის ნარჩენები. დაჰკითხონ მეზობლები და არაერთი მათგანი მისცემს ჩვენებას, გია ბარამიძე როგორ შეექცეოდა საჭმელს მიცვალებულის ფეხებთან, ჩემი სახლის ფიცრებსა და ჩემი მეუღლის ძვლებზე გაჩაღებულ კოცონზე ითბობდა ხელებს!** — ესეც **დოდო აფრასიძის** სიტყვებია და დღეს სწორედ ეს **კუზდარა,** უფრო ზუსტად, **კუზდარასტი ბარამიძე** უქნევს თითს ბიძინა ივანიშვილს, რადგან „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ დაუსჯელობის სინდრომით გააჯეჯილა!

**კუზდარასტი ბარამიძე გახლავთ ცოცხალი სახე-სიმბოლო იმისა,** რომ საქართველოში სამართალი არ აღმდგარა!

**კუზდარასტი ბარამიძე გახლავთ ცოცხალი დასტური,** რომ საქართველოში „ნიურნბერგის პროცესის“ მოწყობა და ნაცბანდის სისტემური გასამართლება სასიცოცხლოდ აუცილებელია!

სანამ ეს არ მოხდება, კიდევ ბევრჯერ გაისმება პოლიტიკური ნაგავსაყრელიდან **კუზდარასტი ბარამიძის** ხმა და კიდევ ბევრს „იბლატავებს“ **კუზდარასტი ბარამიძე,** რომელსაც ცხონებულმა **სოსო ჯაჭვლიანმა** ერთხელ პარლამენტის სხდომათა დარბაზში შესძახა — **„ნუ „ბლატაობ“, შე ჩმორო!“**

საერთოდ, საქართველოში ორად ორი ადამიანი აღმოჩნდა, ვინც **კუზდარასტ ბარამიძეს** ის უთხრა და უქნა, რასაც იმსახურებდა... ერთი, როგორც აღვნიშნეთ, სულგანათლებული **სოსო ჯაჭვლიანი** გახლდათ, ხოლო მეორე **ზურაბ ჟვანიას ვაჟი ბუსა ჟვანია,** რომელმაც

## საქართველოში ორად ორი ადამიანი აღმოჩნდა, ვინც კუზდარასტ ბარამიძეს ის უთხრა და უქნა, რასაც იმსახურებდა – ცხონებული სოსო ჯაჭვლიანი და ზურაბ ჟვანიას ვაჟი ბუსა ჟვანია!

## კვირგვინოსნები

**მიხეილ ყაველაშვილი**
*„ხალხის ძალის“ დეპუტატი*



ნაციონალური მოძრაობა **ერთხელ და სამუდამოდ უნდა გასამართლდეს** ისეთი დანაშაულებისთვის, როგორიცაა **ბიზნესების წართმევა, პატიმრების წამება და გაუპატიურება, უდანაშაულო ახალგაზრდების ქუჩაში ჩახოცვა** და სხვა უამრავი, რაც მათი ხელისუფლების დროს მოხდა. **ვერ იქნება ჩვენი სახელმწიფო სრულყოფილი,** თუ ამგვარი პოლიტიკური ერთეული იარსებებს პოლიტიკურ სივრცეში.

„აიპრესი“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*„ქართული ოცნების“ დეპუტატი*



რეალურად, საქმე გვაქვს **ერთ ნაციონალურ მოძრაობასთან,** რომელიც საქართველოში **ტრაგედიის და ომის თანაავტორი იყო** და დღესაც იმავე პოლიტიკის გამგრძელებელია. ამიტომ ამ კონგლომერატში რა გადაადგილება მოხდება, **რამდენ ნაწილად დაიშლებიან, მერე რაღაც ნაწილები გაერთიანდებიან თუ არა,** ეს მათ საერთო სახეს, მოცემულობასა და სურათს არ ცვლის.

„ინტერპრესნიუსი“

**გია აბაშიძე**
*ანალიტიკოსი*



პარტია, რომელიც მოწოდებულია, **არსებული ლეგიტიმური ხელისუფლება ჩამოანგრიოს,** არ შეიძლება, საჯარო სივრცეში ბოგინობდეს. 2008 წლის ომი იქნება ეს თუ სხვა უდიდესი ცოდვები, **ენმ-ს პასუხი უნდა მოეთხოვოს.** დროა, ამ გარეწრებმა **კანონის წინაშე პასუხი აგონ.**

„რეზონანსი“

**ნინო ფოჩხუა**
*ექსპერტი*



თუ არ ჩამოშორდა პოლიტიკურ სივრცეს **დესტრუქციული პარტია, როგორიცაა კოლექტიური ნაცმოძრაობა, რომელიც ასოცირდება ომთან, ნგრევასთან და ადამიანთა უფლებების ფეხქვეშ გათელვასთან,** არათუ საფრთხის ქვეშ დადგება ქვეყნის სუვერენიტეტი, მშვიდობა და ეკონომიკური წინსვლა, არამედ **ჯანსაღ ოპოზიციას არ უწერია პოლიტიკურ ველში შემოსვლა.** ამიტომ არის აუცილებელი, **„ქართულმა ოცნებამ“ ამ არჩევნებზე მოიპოვოს საპარლამენტო უმრავლესობა.**

„იმედინიუსი“



2015 წელს ბათუმის ერთ-ერთ კაფეში ბარამიძეს სილა გააწნა, რადგან მან „გაზით გაგუდული“ პრემიერ-მინისტრის შვილს უთხრა — **მინდა, იცოდე, რომ ზურას სულთან სუფთა ვარო!**

არადა, **გიორგი ბარამიძე,** რომელსაც ზურაბ ჟვანიას ყოფილი თანაგუნდელები მოღალატესა და გამყიდველს ეძახიან, თავისი მეგობრისა და პოლიტიკური პატრონის **ზურაბ ჟვანიას** სულისა და ხსოვნის წინაშე პირნათელი რომ იყოს, „გაზით გაგუდული“ პრემიერ-მინისტრის ქვრივი **ნინო ქადაგიძე** არ იტყოდა:

***„ბარამიძე ჩემ გვერდით ცხოვრობდა და ჩემს სახლში ფეხი არ შემოუდგამს გარდა პირველი კვირისა, სანამ ყველაფერი გაირკვეოდა. მოსასვლელი პირი არ ჰქონდა“.***

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებას საქართველოს პრემიერ-მინისტრის მკვლელობა უნდა გამოეძიებინა და, როგორც მინიმუმ, მოწმის სახით მაინც დაეკითხა გიორგი ბარამიძე, რომლის შესახებაც **ზურაბ ჟვანიას ძმას გოგლა ჟვანიას** არაერთხელ საჯაროდ აქვს გაცხადებული:

***„ბარამიძე მონაწილეობდა იმ ინსცენირებაში, რომელიც ხელისუფლებამ მოაწყო. იქ მიიტანეს საკვები, „ბორჯომი“, კონიაკი და სცენა დადგეს უბედური შემთხვევის. ამას პირადად მიხეილ სააკაშვილი ხელმძღვანელობდა და ამაში გიორგი ბარამიძე მონაწილეობდა. შეკრებილი იყო რამდენიმე ადამიანი, მათ შორის, სააკაშვილი, ადეიშვილი, მერაბიშვილი, ბარამიძე და მსჯელობდნენ, რა ნივთები მიეტანათ იქ და სად დაელაგებინათ“.***

ამ და კიდევ ბევრი სხვა დანაშაულის გამოუძიებლობამ, ბევრი დამნაშავის დაუსჯელობამ და განსასჯელის სკამზე დასასმელი ხალხის საპარლამენტო სავარძლებში დასმამ ქვეყანა იქამდე მიიყვანა, რომ **კუბდარასტი ბარამიძე** და მისნაირები პოლიტიკური ნაგავსაყრელიდან იჭიმებიან და ისევ ძალაუფლებისაკენ იქაჩებიან!

**კუბდარასტი ბარამიძე,** რომელიც ჯერ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობაში მონაწილეობდა, მერე კი პუტჩისტური პარლამენტის წევრი იყო და საქართველოს მოდერნიზებულ საბჭოთა კავშირში — „ესენგეში“ შეთრევას მისცა ხმა, სხვის „პუტინისტობასა“ და „რუსეთუმეობაზე“ რომ ლაპარაკობს, ეს კიდევ ცალკე საკითხია და მისი უშუბლისძარღვობის მორიგი დადასტურება გახლავთ.

**2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები კუბდარასტი ბარამიძისა და დანარჩენი კოლექტიური კუბდარასტებისათვის ნამდვილი პოლიტიკური განაჩენი უნდა აღმოჩნდეს, ხოლო სამართლებრივი განაჩენი მათ „ქართული ოცნების“ მიერ დაპირებულმა ქართულმა „ნიურნბერგის პროცესმა“ უნდა გამოუტანოს!**

თუ „ქართული ოცნება“ ამ დაპირებას ახლაც არ შეასრულებს, მაშინ თვითონაც იმ პოლიტიკურ ნაგავსაყრელზე აღმოჩნდება, სადაც ახლა კოლექტიური კუბდარასტები ყურთასმენის წამლებად ყმუიან!

***ჯაბა ხუბუა***

# „ბიძინა ივანიშვილი არის მშვიდობის ერთადერთი გარანტი საქართველოში!“

***ამერიკელი ჟურნალისტი, ჟურნალ „ვეტერანს თუდეის“ საქართველოს ბიუროს ხელმძღვანელი ჯეფრი სილვერმანი ეხმაურება ამერიკის მხრიდან ლუგარის ლაბორატორიისთვის დაფინანსების შეწყვეტას:***

— არა მგონია, ამერიკამ სრულიად შეწყვიტოს ლუგარის ლაბორატორიის დაფინანსება. დაფინანსების მექანიზმი ფულის წინასწარ გადახდას გულისხმობდა და რისი განხორციელებაც უნდოდათ, იმაში რამდენიმე წლით ადრე დებდნენ ფულს. ახლა, გინდაც ილაპარაკონ, ფულს აღარ გადავიხდითო, მაინც ყოველთვის იპოვიან გზას, გაიტანონ თავიანთი პროექტები. ამასთან, რამდენიმე წელია, ამ ლაბორატორიისთვის თანხებს გამოყოფს საქართველოს მთავრობა. კომიკურია, როდესაც ამერიკული მხარე აცხადებს, ლუგარის ლაბორატორიის აშენებით უდიდესი წვლილი შევიტანეთ ქართველი ხალხის ცხოვრებაშიო და მერე „ქართული ოცნების“ დასასჯელად ამბობს — პროგრამების დაფინანსებას ვწყვეტო. ვისაც ამით უნდა ესარგებლა, შეიძლება, სულაც არ არის ამ პარტიის მხარდამჭერი. ამასთან,

## რუსეთს უნდოდა ლუგარის ლაბორატორიის დახურვა და ამერიკა ახლა რუსეთს უსრულებს სურვილს?

**თუმცა, არსებობს ვარაუდი, რომ ბაიდენის ადმინისტრაცია რუსეთის მიზნებს ემსახურება.**

თავის დროზე ლუგარის ლაბორატორიის საეჭვო მუშაობის შესახებ ბევრჯერ ვილაპარაკე — კლინიკური კვლევებითა და ექსპერიმენტული წამლებით დიდძალ ფულს შოულობენ-მეთქი და, თუკი ვიღაცებს საეჭვო პროგრამებში ჩასართავად ფულს აღარ გადაუხდიან, იქნებ კარგიც იყოს.

**— ამ ლაბორატორიაში აღარ მუშაობს მისი ხელმძღვანელი ანა ჟვანია...**

— ჟვანია დაზვერვაში მუშაობდა, რომელსაც ამერიკის მთავრობა აფინანსებდა. ყველაფერი იცის, რაც აქ ხდებოდა, შეიძლება, ახლა რომელიღაც არასამთავრობო ორგანიზაციაშია. თუკი საქართველო დატოვებული აქვს და რომელიმე მესამე ქვეყანაშია, ეს უკეთესად შეეფერება მის პიროვნებასა და შავ გულს.

**— ახალი ვირუსული დაავადების „მაიმუნის ყვავილის“ შესახებ ვრცელდება განცხადებები, თუმცა, შეზღუდვებზე ჯერჯერობით არ საუბრობენ...**

— ყოველი ახალი დაავადებისა და ვირუსების უკან დიდი ფულის შოვნის სურვილი დგას. ახალი დაავადებების გავრცელება იგივე ბიოიარაღია. ჯერ კიდევ ვერ გაარკვიეს, კოვიდის გამო საჭირო იყო თუ არა ვაქცინები, მითუმეტეს, რომ ბევრი აცრილი იღუპება. **ამირან გამყრელიძე** ასე გამალებით რომ იბრძოდა მოსახლეობის აცრისთვის, გამოვიდეს და ახსნას, რა იყო ეს კოვიდი და აცრები? იმედია, ის არ გადაურჩება სამართლიან სასჯელს, როგორც დოქტორი **მენგელე** გადარჩა ბრაზილიაში გაქცევით. ყურადღებამისაქცევია ერთი ფაქტიც: კოლოების საწინააღმდეგოდ სოფლებში ადგილებზე ხდება რაღაც ქიმიკატების შესხურება. ვცდილობდი, მომეპოვებინა ინფორმაცია მათ შესახებ, მაგრამ დაპატიმრებით დამემუქრნენ. არადა, ამ ქიმიკატების შესხურებამ, შეიძლება, საფრთხე შეუქმნას სოფლად მცხოვრები ადამიანების ჯანმრთელობას, პირუტყვსა და ნათესებს. ხალხმა უნდა იცოდეს, რას ასხამენ მათ ბოსტნებსა და საძოვრებზე. ბიძინა ივანიშვილი სოფელში გაზრდილი კაცია, მეც სოფელში ვცხოვრობ და, თუ ამ ინტერვიუს წაიკითხავს, მიხვდება, რაც მაწუხებს.

**— ბიძინა ივანიშვილს საყვედურობენ, ხალხს ტყვიაგაუმტარი მინის მიღმა ელაპარაკებაო...**

— **ბიძინა ივანიშვილი საქართველოში არის მშვიდობის ერთადერთი გარანტი.** დიახ, ის უნდა იდგეს ტყვიაგაუმტარი მინის მიღმა — აკი, სულ რაღაც ორიოდე კვირის წინათ უსაფრთხოების სამსახური იძიებდა ივანიშვილის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადების საქმეს, ხოლო ტრამპს ესროლეს. ვისაც რა უნდა, ის თქვას, ივანიშვილი აგზავნის სრულიად გასაგებ მესიჯს: მთავრობა არ მოისმენს არავის მუქარას, ის განაგრძობს მუშაობას საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე და არა მისი ე. წ. მეგობრების კარნახით. ამასწინათ აქ ჩამოსული ამერიკელი სულელი სენატორები საყვედურობდნენ — ივანიშვილი არ შეგვხვდაო. ივანიშვილისთვის ისინი ზედმეტად დაბალი დონისანი არიან და იმიტომ არ შეხვდა, დრო არ დაკარგა ზურაბიშვილთან საჭორაოდ ჩამოსულებთან. ისინი ქართული კულტურის, მართლმადიდებლური ეკლესიის და თავისუფალი და დემოკრატიული საქართველოს მტრები არიან.



## ჯეფრი სილვერმანი:

# ამერიკელებს ეყოთ გონიერება და თავად ნუ გადაულოცავენ საქართველოს რუსეთს!

## საქართველოს საფრთხე ემუქრება ევროკავშირის კონკრეტული წევრებისგან და ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსისგან.

პირდაპირ ვამბობ — უკვე გვიანია დიპლომატიური თამაშები, საქართველოს ნამდვილი მეგობარი სჭირდება და ამერიკას შეუძლია, იყოს ეს მეგობარი! ეყოთ გონიერება და თავად ნუ გადაულოცავენ საქართველოს რუსეთს!

**— ამ არჩევნებში ოპოზიციას რისი იმედი უნდა ჰქონდეს?**

— ნაციონალური მოძრაობა ვაგზლის მეძავივით იქცევა და ფულის გამო ყველაფერს გააკეთებს, ოღონდ ხელისუფლებაში დაბრუნდეს. მთელ ოპოზიციას წამალივით სჭირდება აქ მეორე ფრონტის გახსნა, ამერიკიდან და ევროკავშირიდან ელიან დახმარებას, რათა მათ უარი თქვან არჩევნების შედეგების აღიარებაზე და ფერადი რევოლუცია მოაწყონ. შეიძლება ეთნიკური დაპირისპირებაც გამოიწვიონ. **საქართველო უკვე რევოლუციურ სცენარშია და ნუ გაგიკვირდებათ, პოლიტიკური მკვლელობებიც ვიხილოთ.**

ეჭვი მაქვს, რომ რეაქციულმა დასავლეთმა უკვე შეაღწია მაღალ ეშელონებშიც, ამიტომ უსაფრთხოების სამსახური ყურადღებით უნდა იყოს. საქართველო სჭირდებათ როგორც რუსეთთან, ისე ირანთან უფრო დიდი ომისათვის. ამასთან, ევროპას სჭირდება ადგილი უკრაინელი ლტოლვილების განსათავსებლად. მცდელობები, რომ საქართველო თავიანთი ლგბტ იმპერიის ნაწილად ექციათ, ჩაუვარდათ, ამიტომ ახალ სტრატეგიას მიმართავენ!

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

# „ყოველი ახალი დაავადებისა და ვირუსების უკან დიდი ფულის შოვნის სურვილი დგას!“

## კვირგვინოსნები



**გიორგი გამსახურდია**
*საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟი*

საჭიროა, რომ ყველა ჯანსაღად მოაზროვნე ქართველი, **ვისთვისაც ძვირფასია ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას იდეალები,** მოვიდეს არჩევნებზე და დაუჭიროს მხარი „ქართულ ოცნებას“. „იმედინიუსი“



**ლევან მაჭავარიანი**
*„ქართული ოცნების“ დეპუტატი*

თითქოს ნაციონალური მოძრაობის სხვადასხვა ფლანგი ცდილობს, რომ **საზოგადოება შეცდომაში შეიყვანონ და დაარწმუნონ, რომ ისინი დამოუკიდებელი პარტიები არიან.** საზოგადოებას შეცდომაში ისინი ვერ შეიყვანენ. **ჩვენ ამ არჩევნებსაც დამაჯერებლად, ძალიან დიდი ანგარიშით მოვიგებთ** და ამბიცია გვაქვს, რომ **საკონსტიტუციო უმრავლესობა** ავიღოთ.

„ინტერპრესნიუსი“



**იგორ კვესელავა**
*პოლიტოლოგი*

**მიხეილ სააკაშვილის** დროს მომხდარი ომი იყო ორ ქვეყანას — **ამერიკასა და რუსეთს შორის დუელში მოხვედრა.** ამერიკასა და რუსეთს ჰქონდათ გათვლა, რომ **„სამხრეთ ოსეთი“ და აფხაზეთი რუსეთს უნდა დარჩენოდა, ხოლო დანარჩენი საქართველო — ამერიკას. ასეც მოხდა.**

„რეზონანსი“



**დავით ჩიხლაძე**
*ექსპერტი*

„ქართული ოცნების“ მიერ **საკონსტიტუციო უმრავლესობის მოპოვება** საქართველოს **უკრაინიზაციისგან თავის არიდების** ერთადერთი საშუალებაა.

„იმედინიუსი“



# გელა ნიკოლაიშვილი:

## სავსებით სწორი იქნება, თუ ხელისუფლება კონსტიტუციიდან ამოიღებს ჩანაწერს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების შესახებ!

***„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს მიერ გამოქვეყნებულ საგანგებო განცხადებაში განმარტებულია, თუ რისთვის სჭირდება მმართველ გუნდს 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში საკონსტიტუციო უმრავლესობის, ანუ 113 სადეპუტატო მანდატის მოპოვება.***

*ნაციონალური მოძრაობის არაკონსტიტუციურად გამოცხადება და სისტემური გასამართლება; ლგბტ პროპაგანდის აკრძალვა და ოჯახური ღირებულებების დაცვა; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენის შემთხვევაში, მმართველობითი სისტემისა და ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის ახალ რეალობასთან მორგება! —* ***ეს არის სამი მიზანი, რის გამოც „ქართული ოცნება“ ამომრჩეველს სთხოვს, მომავალ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობის ფორმირების საშუალება მისცეს.***

*„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ არსებობს საქართველოს თვითმყოფადობისა და ეროვნული ფასეულობების დასაცავად უდიდესი მნიშვნელობის მქონე კიდევ ერთი საკითხი, რომლის გადაჭრასაც* **საკონსტიტუციო უმრავლესობა** *სჭირდება, თუმცა, მმართველი პარტია არ აკონკრეტებს, რა აქვს მხედველობაში და აცხადებს, რომ ამის თაობაზე უახლოეს მომავალში ისაუბრებს.* ***„ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს განცხადებიდან გამომდინარე, საზოგადოების გარკვეული ნაწილი ვარაუდობს, რომ შესაძლოა, ხელისუფლება,*** **საკონსტიტუციო უმრავლესობის** ***მოპოვების შემთხვევაში, კონსტიტუციიდან იმ ჩანაწერის ამოღებას გეგმავს, რომელიც საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას ეხება.***

*„კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელისუფლების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“ — ეს ჩანაწერი საქართველოს კონსტიტუციაში თავად „ქართულმა ოცნებამ“ შეიტანა, თუმცა, დღეს, შეცვლილი გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, კონსტიტუციიდან მის ამოღებაზე ფიქრობდეს.* ***საერთოდ, რამდენად მართებულია, ქვეყანას ევროკავშირში, ნატოსა თუ სხვა ნებისმიერ ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზანი კონსტიტუციით ჰქონდეს გაწერილი? ამ საკითხზე ცნობილ უფლებადამცველს, საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ ერთ-ერთ დამფუძნებელს*** **გელა ნიკოლაიშვილს** ***ვესაუბრებით:***

— 8 წლის წინათ, როცა ხელისუფლებამ კონსტიტუციაში ჩაწერა — **საქართველო ევროპული და ევროატლანტიკური სტრუქტურების წევრი უნდა გახდესო,** მსოფლიოში სრულიად სხვა რეალობა იყო და შეიძლება, იმის პერსპექტივაც არსებობდა, რომ ევროკავშირსა და ნატოში შესვლა ქვეყანას სარგებელს მოუტანდა. თუმცა, დღეს, რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, ვითარება რადიკალურად არის შეცვლილი და მიმაჩნია, რომ ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების შესახებ კონსტიტუციური ჩანაწერი საქართველოს სწორი გზით განვითარებას აბრკოლებს!

**— იმის თქმა გინდათ, რომ ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება საქართველოსათვის ხელსაყრელი აღარ არის?**

— დღეს ნათლად ვხედავთ, რომ საქართველოსა და ყველა იმ ქვეყანას, რომელიც ევროკავშირისა და ნატოსკენ მიისწრაფვის, საკუთარი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯების გადადგმას სთხოვენ. მაგალითად, ჩვენგან მოითხოვდნენ, რუსეთისათვის ფინანსური სანქციები დაგვეწესებინა და მეორე ფრონტი გაგვეხსნა, რაც ქართული სახელმწიფოს განადგურების ტოლფასი იქნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო დემოკრატიით, კანონის უზენაესობით, ადამიანის უფლებების დაცვით, ეკონომიკური განვითარებით, კრიმინალთან ბრძოლით, ციხეებში არსებული მდგომარეობითა და ბევრი სხვა კრიტერიუმით გაცილებით უფრო წინ არის, ვიდრე უკრაინა და მოლდოვა, მათ კანდიდატის სტატუსიც ჩვენზე ადრე მისცეს და საქართველოსაგან განსხვავებით, გაწევრიანებაზე მოლაპარაკებებიც გაუხსნეს მაშინ, როცა უკრაინაშიც და მოლდოვაშიც ოპოზიციურ პარტიებს კრძალავენ, პოლიტიკურ ოპონენტებს დევნიან და კრიტიკულ მედიასაშუალებებს ხურავენ... გამოდის, რომ ევროკავშირსა და ნატოში გასაწევრიანებლად სულაც აღარ არის საჭირო, დემოკრატიისა და სამართლის მაღალ სტანდარტებს აკმაყოფილებდე, არამედ, მთავარია, რუსეთს ავნო, თუნდაც ეს შენთვის დამღუპველი იყოს!

**— ესე იგი, მიგაჩნიათ, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული ჩანაწერი ხელისუფლებამ კონსტიტუციიდან უნდა ამოიღოს?**

— კონსტიტუციაში ასეთი ჩანაწერის არსებობა ქვეყანასაც და ხელისუფლებასაც ხელ-ფეხს უბორკავს! როგორც სახედარს ცხვირწინ სტაფილოს ჩამოუკიდებენ, სწორედ ასეთ სატყუარად გვაქვს ჩამოკიდებული მთელ ქვეყანას ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება, რაც, ცოტა არ იყოს, დამამცირებელია!

ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობისა და საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის განსაკუთრებით მიუღებელია, რომ ევროკავშირისა და ნატოს მესვეურები გვეუბნებიან — თუ ჩვენიანები ხართ და ჩვენი კლუბის წევრობა გინდათ, საქართველოში ლგბტ აღლუმები უნდა ჩაატაროთო! ამ და ბევრი სხვა ფაქტორის გათვალისწინებით, სავსებით სწორი იქნება, თუ საქართველოს ხელისუფლება კონსტიტუციიდან ამოიღებს ჩანაწერს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების შესახებ!

**— მერედა, ამას ე.წ. საერთაშორისო პარტნიორები საქართველოს მიერ საგარეო კურსის შეცვლად და ევროატლანტიკური გზიდან გადახვევად არ ჩათვლიან?**

— თუ კონკრეტულ ვითარებაში ჩვენი ეროვნული ინტერესებისათვის სასარგებლო იქნება, საქართველო სულაც არ იტყვის უარს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებაზე, მაგრამ ეს კონსტიტუციაში არ უნდა ეწეროს და ქვეყნის ცხოვრების უზენაეს მიზანს არ უნდა წარმოადგენდეს!

დღეისათვის საქართველოს ყველაზე მეტად სჭირდება **ნეიტრალური ქვეყნის სტატუსი,** რაც რუსეთს გარანტიას მისცემს, რომ აქ ნატოსა და აშშ-ის სამხედრო ბაზა არ განთავსდება!

*ესაუბრა*

**ჯაბა ხუბუა**

**„ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების შესახებ კონსტიტუციური ჩანაწერი საქართველოს სწორი გზით განვითარებას აბრკოლებს!“**




### თავი მეთერთმეტე. გარდამავალი დებულებები

**მუხლი 78. ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია**

კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.

**„დღეისათვის საქართველოს ყველაზე მეტად სჭირდება ნეიტრალური ქვეყნის სტატუსი, რაც რუსეთს გარანტიას მისცემს, რომ აქ ნატოსა და აშშ-ის სამხედრო ბაზა არ განთავსდება!“**



**„როგორც სახედარს ცხვირწინ სტაფილოს ჩამოუკიდებენ, სწორედ ასეთ სატყუარად გვაქვს ჩამოკიდებული მთელ ქვეყანას ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება, რაც, ცოტა არ იყოს, დამამცირებელია!“**

# გენერალისიმუსი

№42 (278) ★ 2024 წლის 26 აგვისტო ★ გამოდის 2003 წლიდან


***2024 წლის 27 აგვისტოს 100 წელი სრულდება 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყებიდან, რომლის დამარცხებასაც საქართველოში საშინელი რეპრესიები და სისხლის მდინარეები მოჰყვა. საქართველოში 1924 წლის აჯანყების შესახებ ბევრი იწერება და, შესაბამისად, ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ტრაგიკული თარიღის შეფასებაც არაერთგვაროვანია!***

# ასის წლის შემდეგ სურათი უცვლელია!




1924 წლის აჯანყების შეფიცულთა რაზმი. შუაში თეთრი ჩოხით – ქაქუცა ჩოლოყაშვილი

ჩვენ არ შევუდგებით 1924 წლის აჯანყების პოლიტიკური ისტორიის დეტალურ თხრობას და არც იმ მონაცემების დახვავებას, საქართველოს რომელ კუთხეს რამდენი შეიარაღებული მებრძოლი და პატრიოტი უნდა გამოეყვანა ბოლშევიკების რუსული საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ; ამ მონაცემების ნახვა „გუგლის“ საძიებო სისტემასა თუ ვიკიპედიაში ყველგან შესაძლებელია. **ჩვენ ვილაპარაკებთ იმაზე, რის შესახებ საუბარსაც თითქმის ყველა ერიდება!** დავიწყოთ მთავარი სათქმელით! **მიგვაჩნია, რომ 1924 წლის აჯანყება ავანტიურა იყო და ზოგიერთი ვაიმეცნიერის არგუმენტები იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა ხელისუფლებამ ხელი შეუწყო ამ აჯანყების გაღვივებას, რათა მეტი და მეტი მოწინააღმდეგე გამოევლინათ და ყველა ერთიანად მოესპოთ, სიცრუეა!**

ამას ბევრი რამ ადასტურებს და, უპირველეს ყოვლისა, ის, რომ 1922 წლის ზაფხულიდან, რაც ამ აჯანყების მმართველი ორგანოები — „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და „სამხედრო ცენტრი“ შეიქმნა, საბჭოთა „ჩეკა“, ფაქტობრივად, ყველაფრის შესახებ ინფორმირებული იყო.

როგორც ბოლოდროინდელი გამოკვლევებით დასტურდება, **1922 წლის ივნისში ინფორმაცია საქართველოში დაგეგმილი აჯანყების შესახებ ხელში ჩაუვარდა თბილისში დაბადებულ და გაზრდილ პეტრე ზუბოვს, რომელიც საბჭოთა საქართველოს „ჩეკას“ საგარეო დაზვერვის მიმართულებას ხელმძღვანელობდა და თურქეთში გადახვეწილ ქართველ პოლიტემიგრანტებში იყო ჩანერგილი.** სწორედ **ზუბოვმა** აცნობა **ლავრენტი ბერიას** მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, რასაც მოჰყვა მისი მყისიერი ზარი **ფელიქს ძერჟინსკისთან.**

**სტალინმა,** რომელიც კრემლში რეალურ ძალაუფლებას ჯერ კიდევ ვერ ფლობდა, თავის ცოლისძმას, ევროპულად განსწავლულ **ალიოშა სვანიძეს,** რომელიც საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენელი იყო გერმანიაში, დაავალა, ბერლინში საგანგებოდ მისულიყო **ნოე ჟორდანიას** წარმომადგენელთან და ეთქვა, რომ საქართველოში ხალხი არ აეჯანყებინათ და ტყუილუბრალოდ სისხლი არ დაეღვარათ, რადგან საბჭოთა საიდუმლო სამსახურებს აჯანყებულთა გეგმის შესახებ ყველა ინფორმაცია ჰქონდათ.

**1923 წლის მაისში თბილისში დააპატიმრეს და დახვრიტეს „სამხედრო ცენტრის“ 14 წევრი, მათ შორის, ილია ჭავჭავაძის დისწული, გენერალი კოტე აფხაზი.** იმავე წლის ნოემბერში ასევე დააპატიმრეს და დახვრიტეს პარიზიდან საიდუმლო ვითარებაში ერთი თვის ჩამოსული **ნოე ჟორდანიას ხელისუფლების მიწათმოქმედების მინისტრი და დამფუძნებელი კრების წევრი ნოე ხომერიკი...**

უფრო მეტიც, 1924 წლის 6 აგვისტოს „ჩეკამ“ თბილისში, პასტერის ქუჩაზე, დააპატიმრა სახალხო გვარდიის ყოფილი სარდალი **ვალიკო ჯუღელი,** რომელსაც თავის მიერ დამუშავებული აჯანყების გეგმა მაგიდაზე დაუდეს და უთხრეს, რომ ყველაფერი იცოდნენ. **ვალიკო ჯუღელმა** საკანში თვითმკვლელობა სცადა, მაგრამ გადაარჩინეს. ამის შემდეგ მან საკუთარი სისხლით დაწერა წერილი და მეგობრებს მოუწოდა — **აჯანყება ჩავარდნილია, ჩვენი გეგმა გამჟღავნებულია და უდანაშაულო ხალხს შარში ნუ გახვევთ! ვალიკო ჯუღელის** ეს მოწოდება გაზეთ „კომუნისტშიც“ კი გამოქვეყნდა, რაც უტყუარი მტკიცებულებაა იმისა, რომ ხელისუფლება სრულებითაც არ იყო დაინტერესებული აჯანყების პროვოცირებით და უდანაშაულო ცოდვის კალოს მიზანმიმართულად დატრიალებით!

1924 წლის აჯანყება, რომელიც მიზნად საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენასა და რუსული საოკუპაციო რეჟიმის ქვეყნიდან განდევნას ისახავდა, დააჩქარა 1924 წლის 21 იანვარს ლენინის გარდაცვალებამ. ნოე ჟორდანიას ემიგრანტული მთავრობა იმედოვნებდა, რომ ლენინის გარეშე დარჩენილი საბჭოთა ხელისუფლება ქვეყნის მართვა-გამგებლობას თავს ვერ გაართმევდა და მცირედი წინააღმდეგობის პირობებშიც კი დაინგრეოდა. ეს დიდი პოლიტიკური სიბეცე სამხედრო ავანტიურა იყო, რადგან „ნეპის“ წყალობით, რომელიც კომპარტიის მეათე ყრილობაზე, 1921 წლის მარტში, შემოიღეს, საბჭოთა კავშირის ეკონომიკა საგრძნობლად გამოცოცხლებული იყო. იმავე 1924 წელს დიდმა ბრიტანეთმა, ფაქტობრივად, აღიარა საბჭოთა კავშირი, როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო, ხოლო 1922 წლის 16 აპრილს, რაპალოს კონფერენციაზე, გერმანიამ საბჭოთა რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა.

აი, ასეთ სიტუაციაში პოლიტიკურად ბეც და ჭკუათხელ **ნოე ჟორდანიასა და მის გუნდს** ეგონათ, რომ, როგორც კი საქართველოში აჯანყება დაიწყებოდა, ევროპელები და ამერიკელები ქართველი ერის დასაცავად მაშინვე იარაღს აისხამდნენ და **ლევ ტროცკისა** და დანარჩენი ბოლშევიკი კანიბალების მიერ შექმნილ 600-ათასკაციან „წითელ არმიას“ დაუპირისპირდებოდნენ. ცხადია, ასე არ მოხდა და მოხდა ის, რისი განჭვრეტაც დიდ ჭკუას არ მოითხოვდა — **პატარა საქართველო კიდევ ერთხელ გაიწირა!**

საერთოდ, ქართველი ერის ისტორიული და სასიცოცხლო ინტერესები ევროპამ 1878 წლის ბერლინის კონგრესზეც ფეხებზე დაიკიდა, 1921 წლის 25 თებერვლის საბჭოთა ოკუპაციის დროსაც, 1924 წლის აჯანყების ქარცეცხლიან დღეებშიც და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის ჯოჯოხეთშიც, როცა ამერიკულმა ხომალდმა რუსეთის მიერ გადათქერილი საქართველოს დასახმარებლად წყალი და პამპერსები ჩამოგვიტანა.

თარიღის არაერთგზის გადაწევა-გადმოწევის შემდეგ საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ 1924 წლის აჯანყება 28-29 აგვისტოს ღამის 2 საათზე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ჭიათურაში, სოფელ შუქრუთში, აჯანყება 27 აგვისტოს დაიწყო, რასაც გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვა. აჯანყება ატარებდა მასობრივ ხასიათს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, სადაც სოფელი არ დარჩა, ხალხი არ გამოსულიყო. მაგალითად,

**ჩემს მშობლიურ ვანის მუნიციპალიტეტში, რომელსაც დღეს ვანდალები, ბიუჯეტის ვირთხები, წმინდა ჯვრის დამამხობლები, პორტირებული ნაცები, პროფესიონალი აფერისტები, თაღლითები და ლოთები მართავენ, სახელოვანი და ღირსეული ბრიგოლ ხურციძის ხელმძღვანელობით, საპრასიელებისა და უხუთელების 200-კაციანი შეიარაღებული რაზმი ბაღდათში გადავიდა, რაიონული ცენტრი დაიკავა, მერე იქიდან სოფელი სვირი გადაიარა და სარკინიგზო კვანძი გადაკეტა.**

ქაქუცა ჩოლოყაშვილის 600-კაციანი რაზმი, რომელიც ამ აჯანყების

## ასის წლის წინათ ★


*გაგრძელება „გენერალისიმუსის“ მე–2 გვერდზე*



სხედან: **ქაქუცა ჩოლოყაშვილი** და **გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე.** დგანან: *(მარცხნიდან მარჯვნივ)*: **ლელო ჩიქოვანი, ელიზბარ ვაჩნაძე, რაფიელ ერისთავი** და **ალექსანდრე სულხანიშვილი.** 1924 წლის სექტემბერი

# ასის წლის შემდეგ სურათი უცვლელია!

***დასაწყისი „გენერალისიმუსის“ პირველ გვერდზე***

სული და გული იყო, ფაქტობრივად, ყველასაგან მიტოვებული და განწირული აღმოჩნდა. **ქაქუცა, რომლის პიროვნებაც წინააღმდეგობრივია, იძულებული გახდა, 26 შეფიცულთან ერთად ემიგრაციაში წასულიყო და თურქეთის გზით საქართველო დაეტოვებინა.** გადმოცემის თანახმად, ქაქუცა ცნობილმა ქართველმა ბოლშევიკმა და პარტიულმა ფუნქციონერმა, ბერიას ცოლის **ნინა გეგეჭკორის ბიძამ საშა გეგეჭკორმა** თავისი სახლიდან გააპარა და თურქეთის საზღვრამდე მიაცილა, რაც მას არ აპატიეს და იძულებული გახდა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა.

მთელმა ქვეყანამ იცის, რომ 1924 წლის 30 აგვისტოს შორაპნიდან გამოსული მატარებლის ხუთი ვაგონი სადგურ არგვეთასთან რკინის ხიდის სიახლოვეს გააჩერეს და იაპონური ტყვიამფრქვევით **96 ქართველი ვაგონებში ამოჟლიტეს.** საერთო ჯამში, მხოლოდ შორაპნის მაზრაში **171 ადამიანი დახვრიტეს.** ქუთაისის „ჩეკას“ უფროსის **ილარიონ ტალახაძის** განკარგულებით, ხალხი ვაგონებში ამოხოცეს შორაპნის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარემ **დომენტი მშვენიერაძემ,** რომელიც დიდუბის პანთეონშია დაკრძალული და ამავე მაზრის კომკავშირული უჯრედის ხელმძღვანელმა, **ვინმე ძიძიგურმა.**

ცნობილია, რომ **ალექსი რიკოვი** — საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე, **ნაძირალა სერგო ორჯონიკიძეს** დეპეშას დეპეშაზე უგზავნიდა, რათა საქართველოში რეპრესიები შეეწყვიტა, მაგრამ ეს ღორეშელი ღორი, რომელიც ქართველების სისხლითა და ქართული მიწების წაღმაუკუღმა გაჩუქებით ვერა და ვერ გაძღა, ქართველ პატრიოტებზე ნადირობას არ წყვეტდა და ე.წ. „ტროიკების“ მეშვეობით ხალხს ხვრეტდა. ყველაზე მეტი მსხვერპლი იმერეთში იყო, ხოლო ყველაზე ნაკლები — გურიაში, რადგან **ფილიპე მახარაძემ** გურულები დაინდო და წინასწარ გააფრთხილა — უაზრო სისხლს მოერიდეთო! სამაგიეროდ, თავიანთი მშობლიური კუთხეების — იმერეთისა და სამეგრელოს მიმართ აბსოლუტური შეუბრალებლობა გამოიჩინეს **სერგო ორჯონიკიძემ და საშა გეგეჭკორმა.**

**1924 წლის აჯანყებამ ცხადყო, რომ საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ საბრძოლველად არც საკუთარი რესურსები გააჩნდა და არც სხვისი დახმარების იმედი უნდა ჰქონოდა!**

**1924 წლის აჯანყებამ ისიც აჩვენა, რომ ქართველებს ძალიან კარგად გამოსდით ერთმანეთის სისხლის დალევა...**

დღეს, **ასის წლის შემდეგ,** სურათი უცვლელია — არც არაფრის თავი გვაქვს, არც ვინმეა ჩვენი მშველელი, მაგრამ ერთმანეთის ამოსახოცად და ჩასაქოლად განწყობაც კარგი გვაქვს და მზაობაც!

***დიტო ჩუბინიძე***

## ასის წლის წინათ ★



ილარიონ ტალახაძე



დომენტი მშვენიერაძე

**ქუთაისის „ჩეკას“ უფროსის ილარიონ ტალახაძის განკარგულებით, ხალხი ვაგონებში ამოხოცეს შორაპნის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარემ დომენტი მშვენიერაძემ, რომელიც დიდუბის პანთეონშია დაკრძალული და ამავე მაზრის კომკავშირული უჯრედის ხელმძღვანელმა, ვინმე ძიძიგურმა!**

# კომპანია MONSANTO კაცობრიობას უკვე უკრაინიდან მოწამლავს!

***სოციალურ ქსელში საინტერესო ვიდეო გამოჩნდა. ახალგაზრდა ბლოგერი კაცობრიობის წინააღმდეგ გლობალისტების ვერაგ შეთქმულებაზე საუბრობს, რომლის თანახმადაც პლანეტის მოსახლეობა უახლოეს მომავალში, მინიმუმ, 10-15 პროცენტით უნდა შემცირდეს და ამაში სხვა ფაქტორებთან ერთად დიდი როლი გენმოდიფიცირებულმა მცენარეულმა საკვებმა პროდუქტებმა უნდა ითამაშოს:***

— **„ზელენსკიმ უკრაინა ამერიკის კოლონიად აქცია!“** — განაცხადა ახლახან ბუნდესტაგის უპარტიო წევრმა **რობერტ ფარლემ.** მისი თქმით, 2022 წლის ზაფხულში ზელენსკიმ **17 მილიონი ჰექტარი უკრაინის შავი მიწა** გადასცა ამერიკულ კონცერნებს Monsanto-ს, Cargill-სა და Dupont-ს. **ფარლემ** აღნიშნა, რომ ახლა ეს ამერიკული კონცერნები აკონტროლებენ ევროკავშირში უბაყო ექსპორტს.

## თქვენ წინაშეა პლანეტის ყველაზე მსხვილი სახნავი მიწების ტოპ ოცეული:

როგორც ხედავთ, ამ სიაში **უკრაინა მე-6 ადგილს იკავებს,** რომელსაც 43 მილიონ ჰექტარზე მეტი სახნავი მიწა გააჩნია. აქედან 17 მილიონი ამერიკამ უკვე გამოსცინცლა. ეს საკმაოდ მსუყე ლუკმაა, რადგან თითქმის მესამედს შეადგენს.

ახლა კი კომპანია Monsanto-ს შესახებ:

ყველასთვის იგი ასოცირდება გენეტიკურად მოდიფიცირებულ მცენარეთა — სიმინდის, სოიის და ა.შ. თესლეულთან. **დასავლური მედია აღიარებს, რომ ვიეტნამში ომის დასრულებიდან 40 წელზე მეტი ხნის შემდეგ** Monsanto Corporation**-ის პროდუქტები კვლავ იწვევს გენეტიკურ მუტაციებს ბავშვთა შორის.**

Monsanto-მ ასევე აწარმოა და გაყიდა ინსექტიციდი DDT, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ზრდის რეკომბინანტული ჰორმონი rBGH, რომლის უვნებლობის და საკვებში გამოყენების თემა კამათის საგნად იქცა. ასევე, Monsanto-ს პროდუქტია **დამატკბობელი დანამატი ასპარტამი,** რომელიც კიბოს იწვევს! მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული ჰერბიციდი (ჰერბიციდები — ერთწლიანი და მრავალწლიანი სარეველების განადგურების მიზნით შექმნილი ნივთიერებები) **„რაუნდაპიც“** Monsanto-ს ნაწარმია.

2013 წლის მაისში Monsanto უკრაინაში საკუთარი ფუნქციების გაფართოების შესახებ იუწყებოდა. კომპანიამ მაშინ დაგეგმა, 2015 წლამდე უკრაინის სიმინდის თესლეულის ბაზარი არსებული 20%-დან 30%-მდე გაეზარდა. ამ მიზნით Monsanto უკრაინაში ჩვეულებრივი სიმინდის თესლის წარმოებისთვის 140 მილიონი დოლარის (!) ღირებულების ქარხნის აშენებას გეგმავდა!

მსოფლიოში მრავალი ადამიანისთვის Monsanto მცენარეთა გენმოდიფიცირებული თესლეულის წარმოებასთან ასოცირდება და ეს ასოციაცია მკვეთრად ნეგატიური რჩება.

**თავიდან, 1901 წელს, MONSANTO აღმოცენდა, როგორც საქარინის შემქმნელი კომპანია, თუმცა, მისი ლოგოტიპი საკმაოდ უცნაური გახლდათ და ადამიანის ღორად ტრანსფორმაციას გამოხატავდა,**

რასაც, სიმართლე რომ ვთქვათ, ამჟამად კიდეც აღწევს (ცნობილია, რომ ღორი ნებისმიერ საკვებს ნთქავს; ლოგოტიპის თანახმად კი ამ ცხოველს ემსგავსება კაცობრიობა, რომელიც Monsanto-ს წარმოებულ გენ-

| რეიტინგი | ქვეყანა | სახნავი მიწების ფართობი (მილიონი ჰა) | წილი მსოფლიოს სახნავი მიწების ფართობში | სახნავი მიწების წილი ქვეყნის საერთო ფართობში |
|---|---|---|---|---|
| # 1 | ინდოეთი | 179.800 | 9.6% | 60.45% |
| # 2 | აშშ | 167.756 | 8.95% | 18.34% |
| # 3 | ჩინეთი | 165.228 | 8,82% | 17.71% |
| # 4 | რუსეთი | 155.799 | 8.31% | 9.54% |
| # 5 | ბრაზილია | 63.994 | 3.41% | 7.57% |
| # 6 | უკრაინა | 43.375 | 2.31% | 74.82% |
| # 7 | კანადა | 42.980 | 2.29% | 4.70% |
| # 8 | არგენტინა | 38.383 | 2.04% | 14.01% |
| # 9 | ინდონეზია | 37.441 | 1.99% | 20.68% |
| # 10 | ნიგერია | 35.655 | 1.90% | 39.16% |
| # 11 | ავსტრალია | 35.105 | 1.87% | 4.57% |
| # 12 | მექსიკა | 34.516 | 1.84% | 17.76% |
| # 13 | თურქეთი | 34.314 | 1.83% | 44.62% |
| # 14 | ირანი | 33.063 | 1.76% | 20.31% |
| # 15 | საფრანგეთი | 31.795 | 1.6978% | 58.02% |
| # 16 | ესპანეთი | 31.786 | 1.6973% | 63.73% |
| # 17 | ყაზახეთი | 25.885 | 1.38% | 9.59% |
| # 18 | ტაილანდი | 25.756 | 1.3753% | 50.35% |
| # 19 | ეთიოპია | 25.702 | 1.3724% | 25.71% |
| # 20 | სუდანი | 22.740 | 1.21% | 12.06% |




# თემურ მაისურაძე:

# ჩვენი თაობის თვალწინ კაცობრიობის მასობრივი განადგურების ახალი იარაღი შეიქმნა!

***გამოიყენებენ თუ არა გლობალისტები უკრაინაში მოწეულ გენმოდიფიცირებულ პროდუქტებს პლანეტის მოსახლეობის შემცირების ვერაგი გეგმისათვის? რა ობიექტური საშუალება არსებობს გენმოდიფიცირებული შხამით სიკვდილისგან თავის დასაღწევად? ვესაუბრებით ყოფილ პარლამენტარს, ტექნიკური უნივერსიტეტის, ასევე აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის პროფესორს, ბუნებრივი კატასტროფების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელს***

*თემურ მაისურაძეს:*



— ღიმილისმომგვრელი ილუზიაა, თითქოს ან უკრაინას ან საქართველოს დასავლეთი ეხმარება. სარგებლის გარეშე არავინ არაფერს იძლევა. რა თქმა უნდა, არც უკრაინას დასვამდნენ მუქთად დოტაციაზე. ასეთი მაქინაციების მიღმა მუდამ დგას კონკრეტული სახელმწიფოების, კორპორაციების, პირების ინტერესები. ირკვევა, რომ, თურმე, უკრაინას იარაღს აძლევენ, როგორც სესხს, თანაც მყარი გარანტიის საფუძველზე. როგორც წესი, საუკეთესო გარანტია გახლავთ ოქრო ან მიწა. ამ შემთხვევაშიც გარანტი გამოდგა ეროვნული ქონება — სახნავი მიწები, რომელთაც თანდათან ეუფლება ამერიკა. **თან ქვეყანას რუსეთთან აომებს, მკვიდრ მოსახლეობას წყვეტს, თან — აკაბალებს.** როგორც იკვეთება, საბოლოოდ უკრაინის ტერიტორია უნდათ, გადააქციონ ადგილად, სადაც ამერიკის შეერთებული შტატები ფულს გააკეთებს.

**— მაგრამ უბედურება ამით არ ამოიწურება, თუკი ამერიკული კონცერნები უკვე მათ საკუთრებაში გადასულ უკრაინის სახნავ მიწებს გენმოდიფიცირებული თესლეულის წარმოების ბაზად გადააქცევენ!**

— ეს ცალკე მწვავე პრობლემაა. ინტერნეტში არის გვერდი, „World population", ანუ დედამიწის მოსახლეობა. ეს გახლავთ ონლაინ სისტემა, სადაც მთელ დედამიწაზე ნებისმიერ წერტილში დემოგრაფიულ პულსაციას ასახავს — სად რამდენი ადამიანი იბადება, რამდენი კვდება; რომელი ქვეყნის მოსახლეობა იზრდება, რომელი მცირდება და ა.შ. მათი მონაცემებით, **პლანეტის მოსახლეობა ყოველდღიურად (!) 150-250 ათასი ადამიანით იზრდება.** აქედან გამომდინარე, უმსხვილესი ტრანსნაციონალური კომპანიების ხელმძღვანელები, პლანეტის უმდიდრესი ადამიანების კლანი, რომელიც დედამიწის მოსახლეობის 1 პროცენტს შეადგენს, გამუდმებით ფიქრობენ, როგორ გამოკვებავს დედამიწა მოსახლეობის ეგზომ მზარდ რაოდენობას, რაც მათ სიმდიდრესა და კეთილდღეობასაც აყენებს საფრთხის ქვეშ. **მათთვის იდეალური ვარიანტია, პლანეტაზე დარჩეს იმ რაოდენობის მოსახლეობა, რომელიც საკუთრივ ამ კასტას მოემსახურება.** პლანეტის მოსახლეობის ხელოვნურად შემცირების მიზნით ისინი უკვე რახანია, ახორციელებენ სხვადასხვა პროგრამას, აჩაღებენ ომებს, ქმნიან ხელოვნურ ვირუსებს და ა. შ. გენმოდიფიცირებული თესლეულის მსოფლიო მარაგის შექმნის პროგრამაც ამ მიზანს ემსახურება!



გაგრძელება „გენერალისიმუსის" ბოლო გვერდზე

**— რანაირად?**

— ამ კლანმა შექმნა **გენმოდიფიცირებული თესლეულის საკუთარი მარაგი,** რომელსაც ნელ-ნელა ავრცელებს მთელ მსოფლიოში. ამ გზით მოისპო ადგილობრივი, ენდემური ჯიშის მცენარეული პროდუქტების წარმოება. ამით აიხსნება, რომ ამ თესლიდან აღმოცენებულ კიტრს ან პომიდორს აღარ აქვს ის გემო, რაც ბუნებრივ პროდუქტს უნდა ჰქონდეს, თუმცა, ასეთი პროდუქტის წარმოება შეუდარებლად იაფია და ამის გამო ხდება მთელ მსოფლიოში მისი ჩანაცვლება. არის ქვეყნები, რომლებმაც თავიდანვე უარი თქვეს გენმოდიფიცირებული პროდუქტის კულტივირებაზე, მათ შორის, საქართველომაც. **2012-2016 წლებში თავად გახლდით საკანონმდებლო ორგანოს წევრი, როცა ჩვენმა ქვეყანამ საკუთარ ტერიტორიაზე გენმოდიფიცირებული პროდუქტის წარმოება კანონით აკრძალა.**

**— მაგრამ არ აკრძალულა ასეთი პროდუქტების უცხოეთიდან შემოტანა...**

— ამიტომაც დევს დახლებზე უცხოეთიდან შემოტანილი გენმოდიფიცირებული მცენარეული პროდუქტები, რომლებსაც დაბალი ფასის გამო ჩვენი ადგილობრივი პროდუქტი კონკურენციას ვერ უწევს. სამწუხაროდ, ამ პროდუქტს საკვებად ვიყენებთ, რის გამოც ჩვენი მოსახლეობა რჩება იმ ბიოლოგიური ექსპერიმენტების სამიზნედ, რასაც გლობალისტები კაცობრიობის შემცირების მიზნით ატარებენ. მეცნიერები უკვე მასობრივად ალაპარაკდნენ, რომ გენმოდიფიცირე-

## „გენმოდიფიცირებულ პროდუქციაში მიზანმიმართულად არის ჩაქსოვილი ადამიანთა პოპულაციაში სხვადასხვა დაავადების, მათ შორის, კიბოს გამოწვევის მექანიზმი!"

მოდიფიცირებულ პროდუქტებს საკვებად იყენებს)!

საინტერესო ფაქტია, რომ 2010 წელს კომპანია Monsanto-ს მთავარი აქციონერი გახდა პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი **ბილ გეიტსი,** რომელიც 8 მილიონი დოლარის ინვესტიციას ახორციელებს აფრიკაში **გენმოდიფიცირებული სოიის მარაგის შექმნის** მიზნით. იმავე 2010 წელს **ბილ გეიტსმა** წაიკითხა თავისი ყველაზე სკანდალური ლექცია, რა დროსაც განაცხადა:

> *„პლანეტაზე ამჟამად 6,8 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს. მალე რაოდენობა 9 მილიარდს მიაღწევს. თუ საშუალება მოგვეცემა, პროგრესს მივაღწიოთ ახალი ვაქცინების, ჯანდაცვის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების კუთხით, შევძლებთ პლანეტის მოსახლეობის რაოდენობა 10 ან 15 პროცენტით შევამციროთ!"*

მას შემდეგ მსოფლიო, რუსეთის გამოკლებით, კომპანია Monsanto-ს თესლეულის მომხმარებელი გახდა, ხოლო ძველი თაობებიდან შემორჩენილი მცენარეთა თესლეული მხოლოდ რუსეთს გააჩნია, დანარჩენ მსოფლიოში კი მცენარეული პროდუქტების კულტივირება მხოლოდ დაპატენტებულ თესლეულზე დაყრდნობით ხდება. ამის გამოა, რომ პომიდორს და კიტრს დამახასიათებელი გემო დაეკარგა, რომ პროდუქტები, ფაქტობრივად, პლასტიკებად იქცნენ.

## ომი ცეცხლით და უცეცხლოდ! ★



## MONSANTO-მ ასევე აწარმოა და გაყიდა ინსექტიციდი DDT, მსხვილფეხა რქოსანი საქონლის ზრდის რეკომბინანტული ჰორმონი rBGH, რომლის უვნებლობის და საკვებში გამოყენების თემა კამათის საგნად იქცა...

# ომი ცეცხლით და უცეცხლოდ! ★






## თემურ მაისურაძე:

# ჩვენი მოსახლეობა რჩება იმ ბიოლოგიური ექსპერიმენტების სამიზნედ, რასაც გლობალისტები კაცობრიობის შემცირების მიზნით ატარებენ!




## „ვშიშობ, უახლოეს მომავალში ამ იარაღის გასაუმჯობესებლად სასმელ წყლებსაც გამოიყენებენ, რადგან ადამიანი ყოველდღიურად წყლის დიდ რაოდენობას ლებულობს და ყველაზე ადვილი წყლის მოწამვლა იქნება!"

*დასაწყისი „გენერალისიმუსის" მეორე გვერდზე*

ბულ პროდუქციაში მიზანმიმართულად არის ჩაქსოვილი ადამიანთა პოპულაციაში სხვადასხვა დაავადების, მათ შორის, კიბოს გამოწვევის მექანიზმი.

**გენმოდიფიცირებული პროდუქტის მეშვეობით შესაძლებელი ხდება კონკრეტულ ერში, ეთნოსში ან ვიწრო ჯგუფში კონკრეტული დაავადებების ხელოვნურად გამოწვევა!**

გენმოდიფიცირებული პროდუქტით სამიზნე საზოგადოებასთან დაპირისპირება გაცილებით ეფექტურ შედეგს იძლევა, ვიდრე ადამიანების სათითაოდ აცრა. თუმცა, პლანეტის მოსახლეობის შემცირების მიზნით არც ძველ მეთოდებს მიიჩნევენ ყავლგასულად და კომბინირებული წესით იყენებენ ყველა მეთოდს.

**— უკრაინაში გენმოდიფიცირებული თესლეულის წარმოება უმთავრესად რომელი ქვეყნების მოსახლეობას აყენებს საფრთხის ქვეშ?**

— პირველ რიგში, დარტყმის საფრთხის ქვეშ დგანან განვითარებადი ქვეყნები, სადაც მეტად შეჭირვებული მოსახლეობა ცხოვრობს. არ მინდა, შეთქმულების თეორიებს დავესესხო, მაგრამ მათ მიაჩნიათ, რომ დედამიწას სწორედ ასეთი ხალხები ამძიმებენ.

საქართველოს მაგალითზე გავიხსენოთ — იყო სამოქალაქო დაპირისპირება, შიმშილი, უგაზობა და უშუქობა. ამ პირობებში საქართველო მზად იყო, ყველასგან მიეღო მოწყალება. უფრო მეტიც, იქამდე მიგვიყვანეს, რომ „ევროატლანტიკური არჩევანის" შესახებ კონსტიტუციაში საკუთარი ხელით ჩაგვაწერინეს! ამჟამად საქართველომ უცხოური გავლენის აღმოსაფხვრელად კანონი მიიღო, მაგრამ გლობალისტების მიერ მოსყიდული არასამთავრობო სექტორი გაშმაგებით იბრძვის პოზიციების შესანარჩუნებლად. **საზოგადოებრივი აზრის პროფანაციის მიზნით, სწორედ ამ ძალას ეყრდნობიან უცხოელები საქართველოში, რადგან აღნიშნული არასამთავრობოები ნებისმიერ ანტიეროვნულ და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებას, გლობალისტების მიერ ქართველი საზოგადოების მკვლელობის ნებისმიერ მცდელობას უჭერენ მხარს!**

მოქმედებს პრობლემების ხელოვნურად შექმნის მექანიზმიც — გვახსოვს, ჯერ ქათმის და მერე ღორის გრიპი მოწამლული საკვების შემოტანის გზით ააგორეს. ისიც ყველამ იცის, რომ ფაროსანას შემოსევაც ხელოვნურად იყო გამოწვეული. მოსახლეობას დაახოცვინეს შინაური ფრინველი! დაახოცვინეს ღორები! ააკაფვინეს თხილის პლანტაციები და დატოვეს შემოსავლის გარეშე! **შემდეგ კი თამამად შემოიტანეს გენმოდიფიცირებული ქათმის და ღორის ხორცი!** მოსახლეობას არჩევანი აღარ აქვს და ყიდულობს იმას, რაც დახლზე დევს. მერე კი უკვირთ, რატომ გახშირდა სიმსივნეები და აქამდე იშვიათი სხვა დაავადებები.

**— ამ თვალსაზრისით, შეიძლება თუ არა, გენმოდიფიცირებული საკვები მოსახლეობის მასობრივი განადგურების იარაღად განვიხილოთ?**

— დიახ, თანამედროვე მსოფლიოში ჩვენი თაობის თვალწინ კაცობრიობის მასობრივი განადგურების ახალი იარაღი შეიქმნა. **ვშიშობ, უახლოეს მომავალში ამ იარაღის გასაუმჯობესებლად სასმელ წყლებსაც გამოიყენებენ, რადგან ადამიანი ყოველდღიურად წყლის დიდ რაოდენობას ლებულობს და ყველაზე ადვილი წყლის მოწამვლა იქნება.**

წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ სასმელ წყალში ისეთ ნივთიერებას გაურევენ, რომელიც არა მყისიერად, არამედ დროის გონივრულ მონაკვეთში დაიწყებს გავლენის მოხდენას გენეტიკურ კოდზე ან სხვა სასიცოცხლო პარამეტრზე... თანაც, გათვლა იმგვარი იქნება, რომ ყველა ადამიანი ერთი და იმავე მიზეზით კი არ დაიღუპება, არამედ ახალი სენი ადამიანებს დარტყმას ინდივიდუალურად მიაყენებს მისი ჯანმრთელობისთვის ყველაზე სუსტ წერტილში. **ასეთი მექანიზმი უკვე იყო გამოყენებული ე.წ. კორონაპანდემიის დროს — ვისაც სუსტი გული ჰქონდა, გულით დაიღუპა; ვისაც თირკმელი აწუხებდა, შესაბამისი დაავადება გაუმწვავდა და ა.შ.**

ზოგადად,

**კორონა-პანდემია იყო კაცობრიობის ერთგვარი გატესტვა, რადგან, ვინც პანდემია დაგეგმა, მიიღო ამომწურავი პასუხები უმთავრეს საკითხებზე – რა გზით შეიძლება ვირუსის უსწრაფესად გავრცელება; რამდენად გემორჩილებიან სახელმწიფოები პანდემიის ფორმატში; რამდენად ეფექტურია ასეთ ვითარებაში ერთიანი მმართველობის თავსმოხვეული მოქმედებათა სისტემა...**

**— უმძიმესი სურათი დახატეთ. გამოსავალი სად არის? ქართველ ერს თუ გაგვაჩნია რაიმე რესურსი, ამ ვერაგული შეთქმულების მსხვერპლად არ ვიქცეთ?**

— ამ მომენტში საქართველოს პარტნიორებად ისეთი ქვეყნები ითვლებიან, რომლებიც სწორედ ამ მუხანათობას გეგმავენ. თუმცა, უკვე გამოიკვეთა სახელმწიფოთა მეორე ბანაკი, რომელიც ზნეობაზე, კანონისა და ეროვნული თვითმყოფადობის ერთგულებაზე არის ორიენტირებული. თუნდაც, „ბრიქსის" ქვეყნები, სადაც თითოეული პატივს სცემს საკუთარ კულტურასა და ტრადიციას. უფალი არასოდეს ტოვებს ადამიანებს გადარჩენის გზისა და სწორი არჩევანის შესაძლებლობის გარეშე, სხვა საკითხია, გვეყოფა თუ არა სიბრძნე ამისათვის!

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***



სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის" საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ფეისბუქი: **www. facebook.com/Asavali.com** გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

***შაბათს, 24 აგვისტოს, ბათუმის სახელმწიფო მუსიკალურ ცენტრში გაიმართა კომპოზიტორ გოგი ცაბაძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ფესტივალი — გალა-კონცერტი. ბათუმის გარდა, ფესტივალი ჩატარდება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში და ეს კონცერტები ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული იქნება. გვესაუბრება გოგი ცაბაძის ვაჟი, კომპოზიტორი კახა ცაბაძე, რომელიც მამისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ერთ-ერთი მონაწილეა:***



# გოგი ცაბაძე 100 წლისაა!

## „მინდა, ხალხმა მოისმინოს აქამდე უცნობი მისი სიმღერები!“



## კახა ცაბაძე:

# მამაჩემს ყოველთვის აფხაზეთში უხდიდნენ დაბადების დღეს!

— ჩემთან ინახება მამაჩემის მიერ შექმნილი, ჯერ კიდევ გაუჟღერებელი ნაწარმოებები, ნაწყვეტები ოპერეტებიდან, მიუზიკლები. მამის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მინდოდა, ამ კომპოზიციებს დღის სინათლე ეხილა, მაგრამ ფესტივალის შემოქმედებითი ჯგუფის სამხატვრო ხელმძღვანელმა **დავით მაზანაშვილმა** და სცენარის ავტორმა და წამყვანმა **ნიკა წულუკიძემ** მითხრეს — სჯობს, მომღერლებმა ძველი ჰიტები შეასრულონ და განახლებული ვერსიებიც შევთავაზოთო. დავთანხმდი. 24 აგვისტოს ორკესტრის თანხლებით ფესტივალის პირველი კონცერტი ჩატარდა, კონცერტები მოეწყობა კიდევ სამ ქალაქში: ქუთაისში, თელავსა და თბილისში. ქუთაისსა და თელავში კონცერტი ჩატარდება ბენდის თანხლებით, ხოლო თბილისში — ისევ ორკესტრი გამოვა სცენაზე. სამივე ქალაქში წარმოდგენილი იქნება სრულიად განსხვავებული პროგრამა.

**— გოგი ცაბაძე 38 წლის წინათ გორში კონცერტის დასრულების შემდეგ გარდაიცვალა. ამ ქალაქში ღონისძიების გამართვა არ იგეგმება?**

— დიახ, მამამ გორში დაასრულა სიცოცხლე. ეს იყო **1986 წლის 30 ნოემბერი,** მინდა, კონცერტი იქაც ჩატარდეს, მაგრამ ეს არ შედის ამ ფესტივალის პროექტში. იქნებ შევძლო საღამოს მოწყობა. როდესაც მამას 60 წელი შეუსრულდა, ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს სხვადასხვა ქალაქში კონცერტები გამართა, მერე უცებ მომღერლები სადღაც გაიფანტნენ, გასტროლზე წავიდნენ, ზოგს გადაღება ჰქონდა და ერთად ვეღარ შეიკრიბნენ. მამას არ უნდოდა, რომ სცენაზე ფრთამოტეხილად ყოფილიყო, ამიტომ გორში კონცერტის ჩატარება გადადო. ამასობაში ორი წელი გავიდა. უკვე 62-ის იყო, როდესაც მომღერლებმა ისევ ერთად მოიყარეს თავი. კონცერტზე დასასწრებად თბილისიდან გორში უამრავი სტუმარი ჩავიდა, მეგობრები, ნათესავები, მეზობლები. წარმოუდგენელი რამ ხდებოდა, ჩემმა ძმამ ვიდეოკამერაც კი ითხოვა. ბავშვობის მერე მამასთან ერთად ფოტო რომ არ გადაგვიღია, იმ საღამოს ჩემმა ძმამ ყველას ერთად გადაგვიღო. მამა გარდაიცვალა კონცერტის დასრულების შემდეგ, როცა მაყურებელს მადლობა გადაუხადა. საერთოდ, არ სჩვეოდა დიდხანს ლაპარაკი, მაგრამ იმ საღამოს სიტყვა გაუგრძელდა, ყველას გამოემშვიდობა, მერე გულზე ხელი მიიდო, კულისებში გავიდა და გარდაიცვალა. ეს იყო გულის შეტევა.

**— იმ დროს სად იმყოფებოდით?**

— მე და ჩემი 6 წლის შვილი თათა დარბაზში, კუთხეში ვისხედით. როცა კონცერტი მთავრდებოდა და მამა სცენაზე გამოიძახეს, გვერდზე ჩაგვიარა, თათას აკოცა და სცენაზე ავიდა. ეს იყო მისი ბოლო კოცნა შვილიშვილისთვის.

**— როგორ აღნიშნავდა გოგი ცაბაძე დაბადების დღეებს?**

— 24 აგვისტოს ყოველთვის სოხუმში ვიყავით, კომპოზიტორთა დასასვენებელ სახლში. აფხაზეთში უხდიდნენ ხოლმე დაბადების დღეს. სტუმართა შორის იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პირველი პირი **ბორის ადლეიბა.**

## ალბათ, დაბრუნდება დრო, როცა აფხაზი და ქართველი ხელოვანები ისევ აღვნიშნავთ და გადავუხდით ერთმანეთს დაბადების დღეებს.

ჩვენი გაყოფა ვისი დამსახურებაც არის, ყველას კარგად მოეხსენება.

**— ვინ იყვნენ გოგი ცაბაძის უახლოესი მეგობრები, ვისთან ერთად უხაროდა დღესასწაულების აღნიშვნა?**

— მისი უახლოესი მეგობარი იყო ოპერეტის თეატრის წამყვანი მსახიობი **ვახტანგ სალარიძე,** ბოლოს ის გორშიც მამაჩემთან ერთად იყო. მისი მეგობრები იყვნენ „ორერას“ წევრები, **ბუბა კიკაბიძე,** გორის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი **სანდრო კაჭარავა** და მისი ძმა **ვასიკო კაჭარავა.** ბევრი მეგობარი ჰყავდა, შეუძლებელია ყველას ჩამოთვლა.

**— შენახული გაქვთ მეგობრების მიერ მამათქვენისათვის მიძღვნილი საჩუქრები?**

— **ნინო რამიშვილსა და ილიკო სუხიშვილს** მამამ ცეკვა გაუფორმა, შემდეგ იმათ ჩამოუტანეს მაგიდაზე დასადები სიგარეტების ჩასაწყობი კომპლექტი, მათ შორის, საფერფლე, სანთებელა. მამა ბევრს ეწეოდა და ეს იცოდნენ. ანსამბლმა „ციცინათელამ“, რომელიც მამას სიმღერას „წეროებს“ ასრულებდნენ, გასტროლიდან ჩამოუტანეს რევოლვერის ფორმის სანთებელა წარწერით: „გოგი ცაბაძეს სიმღერისათვის — „წეროები“.

**— სად არის ინსტრუმენტი, რომელზეც იქმნებოდა გოგი ცაბაძის სიმღერები?**

— ეს ინსტრუმენტი ისევ არსებობს. ოღონდ ის არ დგას გოგოლის ქუჩაზე, სადაც მამამ ბავშვობა გაატარა. როცა დავიბადე, ჩვენი ოჯახი უკვე პავლოვის ქუჩაზე ცხოვრობდა, შემდეგ ნიკოლაძის ქუჩაზე მიიღეს ბინა, მაგრამ მამამ იქ მხოლოდ ორი თვე იცხოვრა. პირველად მამაჩემი გამოასვენეს იმ სახლიდან, მეორედ — ჰამლეტ გონაშვილი. იქით გახედვაც არ მინდა.

**— უნდოდათ, რომ გოგოლის ქუჩისთვის გოგი ცაბაძის ქუჩა ეწოდებინათ...**

— მამაჩემს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ამ ქუჩის მიმართ, **მორის ფოცხიშვილს** მისი სიმღერის ტექსტშიც აქვს სიტყვები: „გოგოლევის ქუჩელი ვარ...“ როცა მამა გარდაიცვალა და საკითხი დადგა ამ ქუჩისთვის მისი სახელის მინიჭებაზე, დედაჩემმა თქვა, გოგის ისე უყვარდა ეს ქუჩა და „ოქროს უბანი“, თბილისში როგორ მოვსპობთ მისთვის საამაყო ქუჩის სახელსო?! ბოლოს ტელმანის ქუჩას მიანიჭეს მამაჩემის სახელი. თუ არ ვცდები, ყოფილ **გოგოლის** სახელობის ქუჩას დღეს **გოგი დოლიძის** ქუჩა ჰქვია.

**— გოგი ცაბაძეს საინტერესო მოგონება „ოქროსუბნელ“ მალაკან ბიჭზე — კაროზე...**

— კარომ გარკვეული როლი ითამაშა იმაში, რომ **გოგი ცაბაძე** კომპოზიტორი და ქართული საესტრადო სიმღერების ავტორი გახდა. „ოქროს უბნის“ ყოჩი იყო, მამაჩემზე ცოტა უფროსი. როცა მამამ მუსიკალურ სკოლაში დაიწყო სიარული, ნოტებს პერანგის ქვეშ ამოიდებდა და ქუჩაში ისე გადიოდა. ერთხელ კარო გადაეყარა და მუცელზე ხელი დაუკაკუნა. ეს რა არის, მუსიკაზე დადიხარ? — ჰკითხა. იმ დროს მუსიკაზე ბიჭების სიარული მიღებული არ იყო. მამამ უკან არ დაიხია — კი, მუსიკაზე დავდივარო. კარომ მამა ერთ ოჯახში წაიყვანა, სადაც ინსტრუმენტი იდგა, დაუკარიო — უთხრა. მამაჩემმა „ბლატნოი“ სიმღერების დაკვრა დაიწყო, მაგრამ კარომ შეაჩერა — ეგ არ მინდა, რასაც მუსიკალურში გასწავლიან და რასაც შენ წერ, ის დაუკარიო. დაუკრა. კაროს ისე მოეწონა, მამაჩემი გარეთ გაიყვანა და ბიჭებს უთხრა, ამან მუსიკაზე უნდა იაროს, ისწავლოს და თუკი ვინმეს პრეტენზია აქვს, ჩემთან მოვიდესო. კაროს რომ ეთქვა, გოგი, შენ მუსიკაზე აღარ ივლიო, შეიძლება, მამა აღარც წასულიყო და სხვა ცხოვრებით ეცხოვრა.

**— ვინ არიან გოგი ცაბაძის შთამომავლები?**

— მე და ჩემი ძმა ვხუმრობთ ხოლმე — მამის სახელი და პროფესია გავიყავითო: ჩემი ძმა **გიორგი ცაბაძეა,** მე კომპოზიტორი ვარ. მყავს შვილები — ქალ-ვაჟი და ქალიშვილისგან 27 წლის შვილიშვილი **ნიკა.** ჩემს ძმას ორი ვაჟი ჰყავს — **გიორგი და ნიკუშა,** რომელთაც ორ-ორი შვილი ჰყავთ, გიორგის — გოგონები, ხოლო ნიკუშას — ბიჭი და გოგო.

**— რომ შეიძლებოდეს, რას ეტყოდით 100 წლის მამას?**

— მისთვის ბევრი რამის გაკეთება მინდოდა, მინდა, ხალხმა მოისმინოს აქამდე უცნობი მისი სიმღერები, გავაჟღერო მისი მიუზიკლები და ოპერეტები. აქამდე ვერ მოვახერხე, ძალიან რთულია საზოგადოებამდე ამის მიტანა, მაგრამ კიდევ ვეცდები...

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ლაშა ტალახაძე**
*სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი*



მინდა, **წაუგებელი სერიით დავასრულო სპორტული კარიერა,** ამიტომაც მომავალი გადაწყვეტილებები ბევრ რაღაცაზე იქნება დამოკიდებული. **„საპენსიო“ ასაკი ჯერ არ მაქვს, მაგრამ პატარაც აღარ ვარ,** წლების განმავლობაში მიღებული უდიდესი დატვირთვები კვალს ტრავმების სახით ტოვებს.

„კვირის პალიტრა“

**გიორგი ქინჭარაული**
*ძალოსნობის ეროვნული ნაკრების ექიმი-რეაბილიტოლოგი*



ლაშას რამდენ შეჯიბრზეც ვარ ნამყოფი, **იმ შეჯიბრს ოქროთი რომ დაავგვირგვინებდა,** ეჭვი არასოდეს შემპარვია. **მას აქვს ყველაფერი, რომ მოიგოს.** როგორც უნდა სტკიოდეს და რაც უნდა აწუხებდეს, წამსვლელია იმ მაქსიმუმზე, რაც გამარჯვებას დასჭირდება. **ლაშა ტალახაძე ნიშნავს გამარჯვებას!**

„სარკე“

**გოგა ჩანადირი**
*ფოტოხელოვანი*



**არავინ ვიცით,** ხვალ რა დღე გაგვითენდება. შეიძლება, დასასვენებლად წახვიდე და უბედურებად გექცეს. ტრაგედია ან ახლობლის გარდაცვალება **ხშირად გაფიქრებინებს,** რომ არავითარი აზრი არა აქვს გადამეტებულ შემგროვებლობას, მიმტაცებლობას, ტყუილს, საკუთარი თავის ყველაზე წინ დაყენებას. **კაბინეტ-სავარძელსაც არა აქვს ფასი და ტყუილად იკლავენ თავს ამისთვის.** ეს ყველაფერი ამაოა. იქ არავის არაფერი მიაქვს.

„ახალი თაობა“

**ზურაბ ცინცქილაძე**
*მსახიობი*



ჩვენ, ყველანი, **მათხოვრები** ვართ. ღმერთს **ვთხოვთ,** ოჯახის წევრს **ვთხოვთ,** სახელმწიფოს **ვთხოვთ** და ასე შემდეგ, სულ **თხოვნაში** ვართ. **ქუჩაში ვინც დგას, ის ორ კაპიკს ითხოვს, მე — ცოტა მეტს, ვინც ჩემს ზემოთ არის — ის კიდევ მეტს და ასე უსასრულოდ.** ეს კარგად მაქვს გაცნობიერებული, ვიცი, **ქუჩაში რომ მათხოვარი დგას, მეც ზუსტად მისნაირი ვარ.**

„თბილისელები“

დასაწყისი იხ. „ა-დ". 2024 წლის №30-35

*უფლებადამცველი*

# ლაზარე ჯორბენაძე:



# „არამარტო პატიმრებს, არამედ მათ ცოლებს, შვილებს, დედებს, დებს აუპატიურებდნენ და ამ ყველაფერს ეს გარეწრები იღებდნენ!"

***იმ გარყვნილი და სადომაზოხისტური რეჟიმის შესახებ გვესაუბრება, რომელიც სააკაშვილმა და მისმა ბანდამ პენიტენციალურ სისტემაში შექმნა:***

— არსებობს სამართალი, რომელიც ღვთისგან მომდინარეობს და არსებობს კანონი, რომელიც შესაძლოა, ისეთმა ვირთხებმაც კი დაწერონ, როგორებიც, მაგალითად, **ზურაბ ადეიშვილი და მიხეილ სააკაშვილი** არიან. იმის აღსაწერად, თუ რა ხდებოდა ნაცების ციხეში, ჯერ ის უნდა გავარკვიოთ, როგორ მივიდა აქამდე ეს საშინელი და საზიზღარი კაცი — სააკაშვილი!

**ეს უბინძურესი და ბილწი სისტემა სააკაშვილს არ შეუქმნია, მისმა პატრონებმა — ამერიკელებმა შექმნეს, ხოლო ყველაფრის თავი და თავი იყო ედუარდ შევარდნაძე.** სააკაშვილიც სწორედ იმ შევარდნაძის პოლიტიკური შვილი გახლდათ, რომელიც მიხვდა — თუ მის შემდეგ ხელისუფლებაში უფრო უარესი ჯალათი და სატანა არ მოვიდოდა, მას საქართველოში არ დააყენებდნენ, ანუ ამბროსოვიჩს დაემუქრებოდა ქვეყნიდან განდევნისა და ნაძარცვ-ნაპარავი მილიარდების დაკარგვის საფრთხე. აქედან გამომდინარე, **შევარდნაძეს** სჭირდებოდა გარანტია. ეს გარანტია ედუარდს ამერიკელებმა და ევროპელებმა მისცეს და უთხრეს, რომ, თუ მათ რეზიდენტს — **სააკაშვილს** ხელისუფლებაში მოიყვანდა და ყველაფერს გადააბარებდა, ამ შემთხვევაში ედუარდი იქნებოდა ხელშეუხებელი!

გაგახსენებთ ვაკის არჩევნებს, როცა შევარდნაძე სააკაშვილს ახლდა და ჟურნალისტებს მასზე უთხრა — **ეს იქნება თქვენი პრეზიდენტიო!** გათამაშებული სახელმწიფო გადატრიალებიდან ექვსი თვის შემდეგ ჟურნალისტებმა **შევარდნაძეს** ჰკითხეს — ბატონო ედუარდ, ვაკის პარკში ხომ გვითხარით, რომ სააკაშვილი იქნებოდა ჩვენი პრეზიდენტი, მართლაც ასე მოხდა და ამაზე რას იტყვითო? შევარდნაძეს სატანური ხითხითი აუვარდა — **კაცო, მე რამდენი რამ ვთქვი და რაღა მაინცდამაინც ეს ახდაო!** ერთი სიტყვით, სააკაშვილის ციხეებში არსებული ჯოჯოხეთი გარკვეულ მოვლენათა კონტექსტშია განსახილველი და დაკავშირებულია **შევარდნაძის** შემდეგ უფრო უარესი სატანის ხელისუფლებაში მოყვანასთან. მაგრამ ჯერ სააკაშვილი უნდა გამხდარიყო შევარდნაძეზე უარესი სატანა!

***— როგორ გახდა სააკაშვილი შევარდნაძეზე უარესი?***

— სააკაშვილი იყო კარიერისტი და სნობი, ბავშვობაში ნაცემ-ნატყეპი და ფსიქიკურად მოშლილი პირი, რომელსაც ავადმყოფურად სურდა ხელისუფლებაში მოსვლა, რათა, ვინც ბავშვობაში წამოუთაქა და დაჩაგრა, ყველა დაეჭირა და დაეჩაგრა. ასე შეიპყრო მან თავისი კლასელები და საკუთარი შვილის კლასელთა მშობლები. აქვე ხაზგასმით ვაცხადებ: **სააკაშვილის რეჟიმის დროს ციხეებში არსებული ჯოჯოხეთის უკან იდგნენ ამერიკისა და ევროპის სპეცსამსახურები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ ქართველი ერის გადაჯიშებას, სულიერ და მორალურ გატეხას, ოჯახის ინსტიტუტის დარღვევას და ტრადიციული ფასეულობების მოსპობას!** მაგრამ ამერიკული და ევროპული სპეცსამსახურების მიერ ზურგგამაგრებული სააკაშვილის რეჟიმის ნომერ პირველი ამოცანა მაინც იყო ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დანგრევა, მიწასთან გასწორება და საპატრიარქოს დაშლა. ეს ყველაფერი დაგეგმილი იყო უცხოელების მიერ და ხორციელდებოდა მათივე ხელით!

***— უცხოელები როგორ აკეთებდნენ?***

— „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გაირკვა, რომ ყველა სამინისტროსა და დეპარტამენტში, განსაკუთრებით ძალოვან უწყებებში — პროკურატურაში, იუსტიციის სამინისტროში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, კუდ-ში, სოდ-ში, ეკონომიკის სამინისტროში, კულტურისა და განათლების სამინისტროებში ისხდნენ ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვისა და სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალი რანგის ოფიცრები, რომლებიც გასცემდნენ შესაბამის ბრძანებებს. **საქართველოს სააკაშვილი და ნაცმოძრაობის ხროვა კი არა, სინამდვილეში ამერიკის სპეცსამსახურების მაღალი რანგის ოფიცრები მართავდნენ.** როგორც სწავლული იურისტი, გეტყვით, რომ რეჟიმის დასამყარებლად აუცილებელია, სახელმწიფო ინსტიტუტებზე დაამყარო კონტროლი. ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდა, ამერიკის სპეცსამსახურების დახმარებით და „რეფორმატორთა" სახელით, სააკაშვილმა ვითომ რეფორმა ჩაატარა და ხელში ჩაიგდო სასამართლო სისტემა, რასაც პროკურატურაც მიაყოლა. მე და ჩემი ძმა — სააკაშვილის ჯალათი მოსამართლე **ომარ ჯორბენაძე** ამ ყველაფრის მონაწილეები ვართ და ყველა პროცესმა ჩვენ თვალწინ ჩაიარა. სასამართლოსა და პროკურატურის ხელში ჩაგდებამ **სააკაშვილს** საშუალება მისცა, ე.წ. ვარდების რევოლუციის შემდეგ დაეწყო ტოტალური ტერორი და დაემყარებინა რეჟიმი. სასამართლოებსა და პროკურატურაში არა პროფესიონალ იურისტებს, არამედ ნაცმოძრაობის აქტივისტებს ნიშნავდნენ.

***— ამ კადრებს ვინ ნიშნავდა?***

— ტრიუმვირატი მართავდა ქვეყანას — **სააკაშვილი, ბოკერია და ადეიშვილი!** შესაბამისად, აი, ამ სამ კაცთან დაახლოებული ხალხი ნიშნავდა კადრებს...

***— ირაკლი ოქრუაშვილი თავიდან რა ნიშნით შეარჩიეს გენერალურ პროკურორად?***

— **ირაკლი ოქრუაშვილი** ყველაზე ხისტი იყო, რომელსაც თავიდან სააკაშვილი ყველაზე მეტად ენდობოდა. გარკვეულწილად მას ეშინოდა **ირაკლი ოქრუაშვილის,** რადგან სააკაშვილის მიერ ჩადენილი ყველა სიბინძურის შესახებ ზედმიწევნით იცოდა.

***— როგორ გახდა ზურაბ ადეიშვილი სააკაშვილის ფავორიტი და როგორ ჩაანაცვლა ირაკლი ოქრუაშვილი? დანამდვილებით ვიცი, რომ სააკაშვილი ოქრუაშვილის გარეშე ნაბიჯს არ დგამდა!***

— **ზურაბ ადეიშვილი** ჩემი ძმის კურსელი იყო და 1992 წლიდან ვიცნობ. ეს იყო თავის თავში ჩაკეტილი ერთი უმწეო, საცოდავი, არაკაცური ტიპი, რომელიც საერთოდ არ სვამდა, ქალი არ აინტერესებდა და გამოიყურებოდა, როგორც დამფრთხალი ვირთხა. არავითარი ცხოვრებისეული გამოცდილება მას არ ჰქონდა, მაგრამ ბევრი წიგნი ჰქონდა წაკითხული და, როგორც იურისტი, ძალიან ღრმა ცოდნის პატრონი გახლდათ. **საერთოდ, ზურაბ ადეიშვილი კაცი არ იყო!**

***— რას გულისხმობთ, მამამ სოდომური ცოდვის გამო სოფლიდან რომ გამოაგდო, იმას?***

— ადეიშვილის მამას, **ბატონ შალვა ადეიშვილს** თავის დროზე ვიცნობდი, ღირსეული კაცია, ხოლო, რაც ახლა თქვენ მითხარით, **ზურაბ ადეიშვილზე** ამის შესახებ მსმენია, მაგრამ ფაქტის შემსწრე პირი არ მინახავს. თუმცა, სასამართლოშიც და პროკურატურაშიც დღესაც მრავლად არიან სოდომისტები! **ზურაბ ადეიშვილი** „იმნაირი" არის თუ არა, ამის თქმის უფლება არ მაქვს, რადგან არ წამისწრია, მაგრამ საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ **სააკაშვილის** დროს მათ შვილებს, ძმებს, ქმრებსა და ახლობლებს ძირითადად ასამართლებდნენ ის მოსამართლეები და პროკურორები, რომლებიც სწორედ სოდომიასა და სატანიზმში იყვნენ ჩავარდნილი. ეს ხალხი არსად წასულა, ძირითადად ყველა სისტემაშია და მათ შესახებ ყველაფერი ვიცი!

***— მაინც რა იცით?***

— ხომ გეუბნებით, „ასავალ-დასავალის" ფურცლებზე მათ ვერ დავასახელებ, რადგან ამის უფლება არ მაქვს, მაგრამ, **თუ ვინმეს აინტერესებს, შემხვდეს და პირადად მოვუყვები, ვინ არიან სასამართლოსა და პროკურატურაში სოდომისტები და სატანისტები!** გვარებით, სახელებითა და დეტალებით ვიცი მათი ბილწი ცხოვრების შესახებ. უფრო მეტიც, არსებობს აურაცხელი რაოდენობის ვიდეო და აუდიოფაილი ამ უღმერთოების მონაწილეობით.

***— ეს ბინძური ჩანაწერები თქვენ ნანახი გაქვთ?***

— ვაი, რომ ეს ბინძური ვიდეო და აუდიოფაილები, სადაც სოდომისტი მოსამართლეები და პროკურორები ფიგურირებენ, ნანახი მაქვს!

***— მერედა, უშიშროებამ ამის შესახებ არ იცის? რა უნდათ სისტემაში ლგბტ მოსამართლეებსა და პროკურორებს?***

— უშიშროებაში ამ ყველაფრის შესახებ არათუ იციან, არამედ სწორედ ისინი ინახავენ ამ ფაილებს! ამ ბინძური ჩანაწერებით აშანტაჟებდა სააკაშვილის პროკურატურა და კუდ-ი მოსამართლეებსა და პროკურორებს! **სააკაშვილს, ადეიშვილს, მერაბიშვილს, ახალაიებსა და ბოკერიას** ყველას და ყველაფრის მიმართ ჰქონდათ ბინძური ინფორმაცია და კადრები. ამ ყველაფრის სათავეში, უპირველეს ყოვლისა, იდგა სწორედ **ზურაბ ადეიშვილი.**

სააკაშვილი „მოქკავშირის" პარლამენტში იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე რომ გახდა, იქიდან მოყოლებული, **ადეიშვილი** სააკაშვილის თანაშემწე იყო და ერთურთის სიბინძურეების შესახებ ყველაფერი იციან. სააკაშვილის მსგავსად **ადეიშვილიც** კარიერისტია, აბოდებდა თანამდებობაზე, რათა მერე ადამიანები დაეჩაგრა. საერთოდ, ეს სუსტი ადამიანების თვისებაა. ვიდრე ხელისუფლებაში მოვიდოდა, სააკაშვილს შინაგან საქმეთა სამინისტრო დამორჩილებული ჯერ კიდევ არ ჰქონდა. მოვიდა თუ არა, ძველი კადრები გაყარა და აქაც ისევე, როგორც სასამართლოსა და პროკურატურაში, თავისი „ხუნვეიბინები" მო-



# სააკაშვილის რეჟიმის დროს ციხეებში არსებული ჯოჯოხეთის უკან იდგნენ ამერიკისა და ევროპის სპეცსამსახურები!

# „არაერთხელ დამინახავს, რომ „მორგიდან" ცემით მოკლული პატიმრები გამოჰქონდათ!"

იყვანა. ეს იყო ბოლო ფაზა, რის შემდეგაც სააკაშვილმა დაიწყო ტერორი, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ იგი უცხოელი პატრონების გარეშე ნაბიჯს არ დგამდა. ახლა ამერიკელი სენატორები და კონგრესმენები, ასევე ევროპელი პოლიტიკოსები ღიად ცდილობენ, საქართველოში დაამყარონ ე.წ. ლიბერალური დღის წესრიგი და ლგბტ დიქტატურა, მაგრამ მაშინ ამის გაკეთებას ცდილობდნენ ჩუმად და შეფარვით, რადგან ქართველი კაცი ამ სიბინძურისთვის მზად არ იყო. **მთელი ამ ოცი წლის განმავლობაში ქართველობა შეაჩვიეს ლგბტ პროპაგანდას და ახლა უკვე პირდაპირ გვკარნახობენ და გვაიძულებენ იმას, რასაც წლების წინათ ღიად ვერ გვიბედავდნენ და სააკაშვილისა და მისი მსგავსი რეზიდენტების ხელით ჩუმად და მიზანმიმართულად გვაპარებდნენ.** ამიტომაც კიდევ ერთხელ გიმეორებთ: რა ჯოჯოხეთი და სიბინძურეც სააკაშვილის ციხეში ხდებოდა, ეს ყველაფერი მოდიოდა უცხოეთიდან, ამის უკან უშუალოდ იდგნენ საქართველოში მოვლინებული მაღალი რანგის ამერიკელი ოფიცრები, რათა ქართველი კაცი შეეშინებინათ, ცემით მოეკლათ, ეწამებინათ და გაეუპატიურებინათ.

**— ზემოთ არ მიპასუხეთ — მაინც რატომ ჩაანაცვლა სააკაშვილმა ოქრუაშვილი ადეიშვილით?**

— **ოქრუაშვილი** ხისტი და ხმაურიანი იყო, ხოლო **ადეიშვილი** — ჩუმი, მაგრამ ოქრუაშვილზე ბევრად ბოროტი. **ზურაბ ადეიშვილი** მართავდა პროკურატურასაც, სასამართლოსაც, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილსაც. უფრო მეტიც, ორთაჭალაში იუსტიციის სამინისტროს შენობა რომ ააშენეს და შავად შემინეს, აი, მანდ, მეცამეტე სართულზე, **ზურაბ ადეიშვილს** მოწყობილი ჰქონდა სამართავი პუნქტი, საიდანაც ხდებოდა წვდომა საქართველოს ყველა სამინისტროს, უწყების, სასამართლოს, პროკურატურის თუ თანამდებობის პირის სახლებში დაყენებულ კამერებზე. ჩაწერა და კონტროლი ხორციელდებოდა ოცდაოთხსაათიან რეჟიმში. ამ ყველაფერს მერე შიფრავდნენ და აცნობდნენ სააკაშვილს, ადეიშვილს, მერაბიშვილს, ოქრუაშვილს და ბოკერიას. სწორედ ამ მასალების მიხედვით გეგმავდნენ, ვის დასცემოდნენ, ვინ ეცემათ, ვინ მოეკლათ, ვინ ეწამებინათ, ვინ როგორ დაეყაჩაღებინათ, ვისთვის რა წაერთმიათ და ა.შ. მოკლედ, ეს იყო სისტემა, დანაშაულებრივი სინდიკატი, ტერორის მანქანა, რომელიც აწყობილად მუშაობდა და ადამიანებს ანადგურებდა.

**— ეს კამერები, რა თქმა უნდა, ჩუმად ჰქონდათ დაყენებული, ხომ?**

— არა, ოფიციალურ სახელმწიფო უწყებებში კამერები ღიად ჰქონდათ დაყენებული, მაგრამ, თანამდებობის პირების ოჯახებსა და აგარაკებზე დამონტაჟებული ჰქონდათ საიდუმლო კამერები, რომელთა შესახებაც კუდ-ის გარდა, არავინ არაფერი იცოდა. აი, ამ საიდუმლო კამერების ჩანაწერებია ყველაზე საინტერესო და ამაზრზენი. ამ კამერებით მართავდნენ ისინი დანაშაულებრივ სისტემას, აშანტაჟებდნენ და აშინებდნენ ადამიანებს. **ეს შანტაჟი და შიში დღემდე გრძელდება!**

**— ვინ შექმნა ეს უბინძურესი თვალთვალისა და მოსმენის სისტემა, სააკაშვილმა?**

— არა, ეს სისტემა საქართველოში დანერგეს ამერიკის სპეცსამსახურებმა, მაგრამ ბინძური სისტემა **სააკაშვილმა, ადეიშვილმა, მერაბიშვილმა, ახალაიამა, კოდუამა, მეგის ქარდავამ** და რეჟიმის სხვა ჭანჭიკებმა თუ წონადმა ფიგურებმა აიტაცეს! მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ რეჟიმს ნებისმიერ ქვეყანაში ახორციელებს პროკურატურა და სასამართლო. პროკურატურა ბრალს წარადგენს, ხოლო სასამართლოს ვერდიქტი გამოაქვს. პროკურორებისა და მოსამართლეების გარეშე რეჟიმს ვერც სააკაშვილი განახორციელებდა. აქედან გამომდინარე, **ხელთ მაქვს 60 ჯალათი მოსამართლისა და 80 ჯალათი პროკურორის სია, რომლებიც სისტემიდან გასაყრელი და დასაპატიმრებელია, მაგრამ,**

**საუბედუროდ, „ქართული ოცნება“ გაურიგდა ამ დანაშაულებრივ კარტელს და იმიტომაც არ აღდგა სამართლიანობა!**

**— რაც შეეხება ე.წ. ციხის კადრებსა და სააკაშვილის ციხეში შექმნილ ჯოჯოხეთს, ამაზე რას იტყვით?**

— ამასთან დაკავშირებით იმას მოგიყვებით, რაც პირადად მე გადამხდა! ჩემი ტრაგედია ისაა, რომ 2010 წლის 2 ივლისს ქსნის კოლონიასთან ჩემს დაპატიმრებაში მონაწილეობდა ჩემი ძმა — **სააკაშვილის ჯალათი მოსამართლე ომარ ჯორბენაძე,** ხოლო ჩემი დაჭერის გადაწყვეტილება მიიღო ადეიშვილის ერთ-ერთმა ვირთხამ **დავით საყვარელიძემ!**

**— რა იყო დაჭერის მიზეზი?**

— მიზეზი ის გახლდათ, რომ მე ამ კაცების გამაუპატიურებლებთან არ ვთანამშრომლობდი, არადა, მაგათი კორუფციული სქემებისა და ფულების შესახებ ყველაფერი ვიცოდი და ვიცი. ამას ემატებოდა ის, რომ მე ვიყავი ცხონებული **ბუტა რობაქიძის** მეგობრების ადვოკატი. მოკლედ, ყელში ვეჩხირებოდი და უნდოდათ, ციხით გავეტეხე თანამშრომლობაზე დასაყოლიებლად. გარდა ამისა, ჩემი დაჭერა **ადეიშვილთან** მომხდარ პიროვნულ კონფლიქტსაც უკავშირდებოდა. 2009 წლის ნოემბრის ბოლოს **ზურაბ ადეიშვილ**-ვირთხას თავის კაბინეტში სილა გავაწანი, რადგან მაგინა. მაშინ ვერ დამიჭირა, მაგრამ განაჩენი გამომიტანა. ვიცოდი, რომ ეს ვირთხა ამას არ მაპატიებდა, ამიტომ ამისთვის ვემზადებოდი.

**— ადეიშვილმა რატომ გაგინათ?**

— ამ ვირთხამ შემომითვალა — ნაცმოძრაობას 50 ათასი დოლარი ჩაურიცხეო, რაც არ შევასრულე. რომ დამიჭირეს, ქობულეთის „კაპეზეში“ პროკურორმა **ფრიდონ ქარცივაძემ** მითხრა — ახლა მხოლოდ შეგაშინეთ... **დავით საყვარელიძეს** ტელეფონზე დაგალაპარაკებთ, **ადეიშვილის** ცემის გამო ბოდიშს მოუხდი და გაგიშვებთო! უარი ვთქვი. ზუსტად ორ საათში ბათუმელმა მოსამართლე **ბეჟანიშვილმა** უკვე სასჯელი შემიფარდა და დამაპატიმრა. ბათუმის ციხეში უახლოესმა ნათესავებმა მიმიყვანეს. მოვხვდი კამერაში, რომელიც მდებარეობდა ნულ სართულზე. კამერაში იყო 9 ორიარუსიანი საწოლი, ანუ, საერთო ჯამში, 18 საწოლი და ჩემი ჩათვლით ვიყავით 64 პატიმარი. ეს ციხე კი არა, საკონცენტრაციო ბანაკი იყო — ნამდვილი ჯოჯოხეთი! არავითარი პირადი ჰიგიენის საშუალება. პატიმრებს მორიგეობით გვეძინა. იმ ცხრა საწოლიდან ორი საწოლი „ადეალებით“ იყო გადატიხრული, სადაც კრიმინალები იყვნენ...

ბათუმის ციხეში, რომელიც რეჟიმის გამორჩეულად სასტიკი ციხე იყო, ორი კვირის განმავლობაში ვიყავი და სწორედ იქ ჩამომაკითხა ჩემმა ძმამ **ომარ ჯორბენაძემ,** რომელმაც მითხრა — შენ ციხეში დიდხანს უნდა იჯდეო! ამის შემდეგ გადამიყვანეს მერვეში — გლდანის ციხეში, სადაც ჩემი არნახული ტანჯვა-წამება დაიწყო.

გლდანის ციხეში სულ რაღაც ორი კვირის გადაყვანილი ვიყავი, როცა ციხის უფროსი, ჩემი ძველი მეგობარი **თამაზ მელაძე** მოხსნეს. მიზეზი ის იყო, რომ მის დისშვილს, რომელიც რეჟიმის სამსახურში მუშაობდა, პატიმარი ცემაში შემოაკვდა. ციხის უფროსად დანიშნეს ნამდვილი სატანა, მანამდე „რეზბალნიცის“ ყოფილი დირექტორი და ბაჩო ახალაიას მარჯვენა ხელი **„კილერა“,** ანუ **ალექსანდრე მუხაძე.** 2010 წლის 8 აგვისტოს დაიწყო ასეთი „უცნაურობა“ — ჩემი საკნის კარის წინ, ყოველ ღამით მოჰყავდათ პატიმრები და ისე სცემდნენ, რომ საცოდავი ხალხი სიკვდილის პირამდე მიჰყავდათ, ანუ მე მაყურებინებდნენ და მასმენინებდნენ ამ ყველაფერს. ფსიქოლოგიურად მოვიშალე. რეჟიმის უფროსი იყო **ოლეგ ფაცაცია** — ცნობილი მწამებელი, რომელთან შეხვედრაც მოვითხოვე. ფაცაცია მოვიდა. — რას აკეთებთ, რას უშვრებით ამ პატიმრებს-მეთქი? **ფაცაციამ** ირონიულად გამომხედა და მკითხა — რა, შენ რომ არ გცემთ, არ მოგწონს? ამ საუბრიდან ორი დღის შემდეგ, დაახლოებით ღამის 3 საათზე, კამერაში შემოგვეჭრა სპეცრაზმი, რომელმაც ცემაში დაგვამტვრია.

**— და მაინც, როგორ მუშაობდა პატიმრებზე ძალადობის სისტემა?**

— ნულ სართულზე, ანუ სარდაფის კორიდორში, კიბესთან დადგამდნენ მაგიდას, სადაც ციხის დირექტორი, რეჟიმის უფროსი და მოადგილეები ისხდნენ. ოფიცრები და ციხის ადმინისტრაციის მთელი შემადგენლობა ამ გრძელ კორიდორში გარდიგარდმო იყვნენ ჩამწკრივებული და ხელში ეჭირათ მძიმე ხელკეტები. კარანტინის კამერებიდან პატიმრებს რომ გამოყრიდნენ, ამ კორიდორში სათითაოდ უნდა გაევლოთ. ვისზეც ციხის უფროსი იტყოდა და ნიშანს მისცემდა, იმ პატიმარს მწკრივში დამდგარი ოფიცრები და პერსონალი ხელკეტით სცემდნენ. კორიდორის ბოლოში პატიმარი გასისხლიანებული და მკვდარცოცხალი მიდიოდა... თუ ბოლოში გასული პატიმარი კიდევ ფეხზე იდგა, მერე მაგიდასთან მჯდომი ხალხი იწყებდა მის ცემას, ხოლო, თუ პატიმარი წაიქცეოდა, უკვე ყველა ერთად ურტყამდა. პატიმარს ასე რომ „დაამუშავებდნენ“, მერე უკვე მიიღებდნენ გადაწყვეტილებას, სად წაეყვანათ — კარცერში, კამერაში თუ „მორგში“. არაერთხელ დამინახავს „მორგიდან“ ცემით მოკლული პატიმრები რომ გამოჰქონდათ. სინამდვილეში, სააკაშვილის დროს ციხეებში 400-ზე მეტი პატიმარია ცემით მოკლული. პირადად მე სასწაულებრივად გადავრჩი, თუმცა, გამოვიარე ის საშინელებაც, როცა „მორგში“ მიცვალებულების დასასვენებელ სტელაჟზე სამი ქამრით ვიყავი დაბმული.

**— კი მაგრამ, „ქართული ოცნება“ რომ ხელისუფლებაში მოვიდა, ეს ამბები არავის გამოუძიებია?**

— „ქართული ოცნების“ პროკურატურას, ცხადია, ამ ყველაფრის შესახებ მოვუყევი, მაგრამ არავის არაფერი გამოუძიებია, რადგან „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მოვიდა კოჰაბიტაციისთვის და არა სამართლიანობის აღსადგენად. უბრალოდ, ამის შესახებ წინასწარ ვერ თქვეს!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## „2009 წლის ნოემბრის ბოლოს ზურაბ ადეიშვილ-ვირთხას თავის კაბინეტში სილა გავაწანი!“



## „გვარებით, სახელებითა და დეტალებით ვიცი მათი ბილწი ცხოვრების შესახებ. უფრო მეტიც, არსებობს აურაცხელი რაოდენობის ვიდეო და აუდიოფაილი ამ ულმერთოების მონაწილეობით!“



## „ხელთ მაქვს 60 ჯალათი მოსამართლისა და 80 ჯალათი პროკურორის სია!“

# რა უნდა იცოდეს ქართველმა

## თუ აფსუები დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ, მაშინ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ 1678 წელს აფსუებმა „აფხაზთა მეფის“ ლეონ მესამის (957-967 წ.წ.) მიერ აგებული მოქვის დიდებული ტაძარი გადაწვეს და გადაბუგეს?

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2024 წლის №29-35*

***ჩვენს წერილებში აფხაზეთის შესახებ არაერთხელ ვახსენეთ იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (1641-1707 წ.წ.), რომელმაც 1659 წელს საქართველოში, კერძოდ, „შუა სოფელში“ — ღალიძგიდან კელასურამდე ტერიტორიაზე, მოქვისა და დრანდის თემებში იმოგზაურა. პატრიარქი დოსითეოსი ზედმიწევნით კარგად იცნობდა როგორც დასავლეთ საქართველოს კუთხეებსა და გეოგრაფიას, ისე ქვეყნის შიდაპოლიტიკურ ვითარებას. სხვათაშორის, ეს ის პატრიარქია, რომელსაც ანდერძი აქვს დაწერილი, რომ ქართველებმა ჯვრის მონასტრის გამოსასყიდი თანხა ორჯერ პირნათლად გადაიხადეს და ამდენად, როგორც კი ქართველი იღუმენი ჩავა წმინდა მიწაზე, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ქართველებს უპირობოდ უნდა გადმოგვეცეს. უწმინდესი პატრიარქი დოსითეოსი ანდერძში იმასაც წერს, რომ ქართველებს ჯვრის მონასტრის გარდა წმინდა მიწაზე კიდევ ხუთი ტაძარი უნდა გადმოგვეცეს, მათ შორის, წმინდა ნიკოლოზის ეკლესია და ბასილი დიდის მონასტერი.***



**მოქვის ტაძარი აფხაზეთში, ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში**

აი, სწორედ ეს **დოსითეოს პატრიარქი** 1658 წლის 4 ივლისს სინოპიდან სამეგრელოსკენ გამოემართა და 1659 წელს ჩვენს ქვეყანაში კარგა ხანს დაყო. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ის კარგად იცნობდა ქართველი კაცის ბუნებას. იერუსალიმის პატრიარქი თავის ჩანაწერებში ბევრ რამეს აღწერს, მათ შორის, იმ პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც საქართველოში მისი მოგზაურობიდან ოცი წლის შემდეგ მოხდა. როგორც ჩანს, **პატრიარქ დოსითეოსს** საქართველოსთან კონტაქტი არასოდეს შეუწყვეტია და წმინდა მიწაზე მოღვაწე ქართველი ბერ-მონაზვნების მეშვეობით მე-17 საუკუნის დასავლეთ საქართველოში გამეფებული ფეოდალური ანარქიის შესახებ ყველაფერი ზედმიწევნით იცოდა.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა 1678 წლით დათარიღებული საშინელი ისტორია, როცა სამეგრელოს მთავარ **ლევან მესამე დადიანს,** იმერეთის მეფე **ბაგრატ მეოთხესა** და გურიის მთავარ **მამია მესამე გურიელს** შორის **ვახტანგ მეხუთე შაჰ-ნავაზის** ძმისწულის, ულამაზესი **თამარ კონსტანტინეს ასული მუხრანბატონის** გამო საშინელი ომი ატყდა. ცნობისათვის, უღვთო სილამაზის პატრონი თამარი 1661 წელს **ლევან მესამე დადიანს** შერთეს ცოლად, მერე **ბაგრატ მეოთხესთან** გაიყო სარეცელი, ხოლო სულ ბოლოს თავის სიძეს — ქალიშვილის ქმარს, **გიორგი მესამე გურიელს** შეუგორდა საწოლში მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი თამარისა და **ბაგრატ მეოთხის ქალიშვილს** გაშორდა, ანუ **გიორგი მესამე გურიელმა** ცოლად სიდედრი მოიყვანა, რასაც საქართველოს ისტორიაში პრეცედენტი არ გააჩნია. ცხადია, აქ არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტიც, რომ **ლევან მესამე დადიანის** ბიძამ, სამეგრელოს მთავარმა, მრისხნე, ძლევამოსილმა და შეუბრალებელმა **ლევან მეორე დადიანმა** საკუთარ ბიცოლაზე დაიწერა ჯვარი.

მოკლედ, მაშინ, როცა დასავლეთ საქართველოში ასეთი სამარცხვინო ამბები ხდებოდა და ამძუვნებული კაცები ერთ ულამაზეს, მაგრამ წყეულ და როსკიპ ქალს — **თამარ მუხრანბატონს** თავიანთი საწოლებისკენ ექაჩებოდნენ, როგორც იერუსალიმის პატრიარქი **დოსითეოსი** წერს, **აფსუებმა დრო იხელთეს და სამეგრელო-აფხაზეთში ყველაფერი გადაბუგეს!** აი, ეს ცნობაც — *„ბრმა ბაგრატის* (იმერეთის მეფე ბაგრატ მეოთხე. დ ჩ.) *მიერ შეურაცხყოფილი დადიანი ისეთი დასუსტებული იყო, რომ აბაზგებმა მოითარეშეს და გაანადგურეს მისი სამფლობელო, დაანგრიეს და აიკლეს მონასტრები — მოქვი, ხობი, კიანსი, ზუგდიდი და მთელი ქვეყანა დიოსკურიიდან ჰიპუსამდე...“* (ცხენისწყალი. დ. ჩ.)



**აშოტ კურაპალატის ბარელიეფი ოპიზის მონასტერში**

ბუნებრივად დაისმის კითხვა — **თუ აფსუები დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან ცხოვრობდნენ და როგორც ზოგიერთი ჩვენი გაკურდღლებული მეცნიერი ამტკიცებს, „აფხაზეთი მათი ერთადერთი სამშობლოა“, მაშინ რით აიხსნება ის ფაქტი, რომ 1678 წელს აფსუებმა „თავიანთი მეფის“, ანუ „აფხაზთა მეფის“ ლეონ მესამის** (957-967 წ.წ.) **მიერ დღევანდელი ოჩამჩირის მუნიციპალიტეტში აგებული მოქვის დიდებული ტაძარი გადაწვეს და გადაბუგეს?**

ამის ახსნა და გაგება ერთადერთი ლოგიკით შეიძლება — მოქვის ტაძარი, რომელიც შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მანათობელი ბრილიანტია, თავისი დანიშნულებით, სილამაზით, წარმოშობითა და არსით უცხო და მიუღებელი იყო იმ ველური, წარმართი და ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული ხალხისთვის — **ადიღეური წარმომავლობის აფსუებისთვის,** რომლებმაც, **პატრიარქ დოსითეოსის** თქმით, სოხუმიდან ცხენისწყლამდე ტერიტორია გადაწვეს და გადაბუგეს!

როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში, დასავლეთ საქართველოს აღმნიშვნელ ტერმინთა შორის **„აფხაზეთის“** ნაცვლად ხშირად მოიხსენიება **„ქვემო იბერია“.** მართლაც, უხსოვარი დროიდან აღმოსავლეთ საქართველოს **„ზემო იბერიას“** ეძახდნენ, ხოლო დასავლეთს — **„ქვემო იბერიას“...**

ერთ-ერთი ყველაზე უფრო საპოლემიკო და ხელზე დასახვევი საკითხი, რომლითაც ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებული აფსუები და მათი პატრონები ათეული წლებია, მანიპულირებენ და მოვლენებში გაუცნობიერებელ ადამიანებს თავგზას უბნევენ, **აფხაზეთის საკათალიკოსოს** შექმნის საკითხი გახლავთ!

ჩამოსახლებული აფსუები პროცესებს ისე წარმოაჩენენ, თითქოს აფხაზეთის საკათალიკოსო ქართული სამყაროსგან აბსოლუტურად „დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს“ უმაღლესი რელიგიური ინსტიტუცია იყო, რომელსაც მხოლოდ აფსუები მართავდნენ! ცხადია, ეს ყველაფერი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

დავიწყოთ იმით, რომ „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, **აფხაზეთის საკათალიკოსოს** დაარსება, ანუ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოყოფა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსგან, ტაო-კლარჯეთის „ქართველთა სამეფოს“ მეთაურის **ბაგრატ პირველი ბაგრატიონის** (826-872 წ.წ.) ძალისხმევით მოხდა. „ქართლის ცხოვრებაში“ პირდაპირ ვკითხულობთ — *„ხოლო ამან ბაგრატ განაჩინა და განაწესა კათალიკოზი აფხაზეთს!“* თარიღად მითითებულია 830 წელი. ეს პერიოდი ემთხვევა „აფხაზთა მეფის“ **დემეტრე მეორის** (825-861 წ.წ.) მოღვაწეობას, რომელიც „აფხაზთა სამეფოს“ დამაარსებლის **ლეონ მეორის** (753-798 წ.წ.) შვილი და **თეოდოსი პირველის** (798-825 წ.წ.) ძმა იყო.

შეუძლებელია, არ დაეთანხმო აკადემიკოს **პავლე ინგოროყვას,** რომელიც ქართველი მეფეების **ბაგრატ პირველი კურაპალატისა** და **დემეტრე მეორის** თანამშრომლობას ქართლის ერისმთავრის **ნერსე მეორისა** და „აფხაზთა სამეფოს“ დამაარსებლის **ლეონ მეორის** ურთიერთობას ადარებს! როგორც ცნობილია, ვიდრე **ნერსე** არაბებს აუჯანყდებოდა, ცოლშვილი „აფხაზთა სამეფოში“, ანუ დასავლეთ საქართველოში მეფე **ლეონ მეორის** კარზე გახიზნა, ხოლო არაბებთან მარცხის შემდეგ ნერსეც ლეონთან წავიდა... ანუ ქართლის ერისმთავარი **ნერსე,** რომლის არაბი მსახურიც, მენელსაცხებლე **ჰაბო თბილელი** არაბებმა ქრისტიანობის გამო 786 წელს აწამეს, როგორც ქართველი პატრიოტი და მამულიშვილი, მეორე ქართველ პატრიოტთან და მამულიშვილთან, „აფხაზთა სამეფოს“ დამფუძნებელ მეფე **ლეონ მეორესთან** ერთად შეთანხმებულად მოქმედებდა. სწორედ ასე, **აშოტ დიდი ბაგრატიონის ძე ბაგრატ პირველი ბაგრატიონიც,** რომელიც მთელი საქართველოს გასაერთიანებლად იბრძოდა და ამ ბრძოლაში ხან არაბების მხარეს იყო და ხანაც მათ წინააღმდეგ იქნევდა ხმალს, „აფხაზთა მეფის“ **დემეტრე მეორის** გვერდით „ქართლის ცხოვრების“ მიერ აღიარებულია, როგორც „აფხაზეთის საკათალიკოსოს“ დამფუძნებელი!

ბუნებრივად დაისმის კითხვა — **თუ ლეონ მეორის ძე, „აფხაზთა მეფე“ დემეტრე მე-**

## აფხაზეთის საკათალიკოსო აშოტ დიდი კურაპალატის ძემ ბაგრატ პირველმა ბაგრატიონმა შექმნა!

### კვირგვინოსნები



**მამუკა არეშიძე**

*„სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის“ ხელმძღვანელი*

აფხაზეთშია განთავსებული **ელექტრონული დაზვერვის ძალიან ძლიერი სისტემა, რომლითაც კონტროლდება უზარმაზარი სივრცე რუმინეთიდან კასპიის ზღვის სანაპირომდე და ირანის საზღვრამდე.** მთელი ეს სისტემა გასაიდუმლოებულია და აფხაზებმაც არ იციან, რა ხდება. თავის დროზე აფხაზებმა ხელი მოაწერეს დოკუმენტს, რომლის თანახმადაც **თადარიგში გასულ ეფ-ეს-ბეს ოფიცრებს შეუძლიათ, აფხაზეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე მოითხოვონ მიწები და აძლევენ კიდეც.** ეს ხდება **გალის რაიონში,** ნაწილობრივ **გულრიფშისა და ტყვარჩელის რაიონებში.**

„კვირის პალიტრა“



**კაკო ზაქარეიშვილი**

*რეინტეგრაციის საკითხებში ყოფილი სახელმწიფო მინისტრი*

**ანაკლიის პორტთან უკანონო შეიარაღებული ძალების ყოფნა დააშინებს ძალიან ბევრ ინვესტორს** — ღირს თუ არა ტვირთების ანაკლიის პორტში გაგზავნა, რამდენად სარისკო და სანდო იქნება ეს. როგორც წესი, საზღვაო ტვირთებს აზღვევენ და **ნებისმიერი სადაზღვევო კომპანია რუსული სამხედრო ბაზის არსებობის გამო მომსახურებას გააძვირებს.** ამიტომ გადამზიდსა და ინვესტორს **ანაკლიის პორტით ტვირთების გატარება უფრო ძვირი დაუჯდებათ** და შეიძლება ისევ ხმელთაშუა ზღვით გატარებას მიანიჭონ უპირატესობა.

„კვირის პალიტრა“



**ოთარ შამუგია**

*გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი*

მევენახეების შემოსავალი კახეთში **10-12 წლის წინ 50 მილიონი ლარი იყო, წელს ველოდებით, რომ, სულ მცირე, 350 მილიონი ლარი იქნება,** რაც ჩვენი სწორი პოლიტიკის შედეგია.

„პირველი არხი“

# აფხაზეთის, აფხაზებისა და აფსუებების შესახებ?

**ორმა ქართველი არ იყო, ქართული მისთვის უცხო ენა გახლდათ და დანარჩენ საქართველოსთან არც კულტურულად, არც ეთნიკურად და არც რელიგიურად საერთო არაფერი ჰქონდა, როგორ მოხდა ის ამბავი, რომ ამ „დამოუკიდებელმა“ „აფხაზმა“ დაუშვა და მეორე ქართული სამეფოს მეთაურს, ტაო-კლარჯეთის „ქართველთა სამეფოს“ თავკაცს ბაგრატ პირველ ბაგრატიონს „აფხაზეთს კათალიკოზი განაწესებინა“?**

მეორე და ყველაზე მთავარი — თუ **„აფხაზეთის საკათალიკოსო“** „დამოუკიდებელი და სუვერენული“ ქვეყნის ეკლესია იყო და საქართველოსთან საერთოდ არაფერი აკავშირებდა,

## რატომ იყო „აფხაზთა სამეფოში“ წირვა-ლოცვის ენა ქართული და არა ის ენა, რომელზედაც ვლადისლავ არძინბა და მისი სულიერი და გენეტიკური დაძმები ლაპარაკობენ?




აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებით დასავლეთ საქართველოში ბერძნული, როგორც წირვა-ლოცვის ენა, მოისპო და ამოიძირკვა. უფრო მეტიც, **დემეტრე მეორემ** და **ბაგრატ პირველმა**, როგორც ორმა ქართველმა პატრიოტმა, ამოშანთეს და გაანადგურეს ჯერ კიდევ ბიზანტიის იმპერატორ **იუსტინიანე პირველის** მიერ დაარსებული ცხუმის, ანუ სოხუმისა და ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსოები. მათ ნაცვლად დააარსეს აფხაზეთის კათალიკოსთა ახალი ცენტრი — **ბიჭვინთის კათედრა,** სადაც აფხაზეთის კათალიკოსები ისხდნენ. პარალელურად, **დემეტრე მეორემ** დიდი ცვლილებები განახორციელა ლაზეთის მიტროპოლიაშიც, სადაც როდოპოლისის, ანუ **ვარდციხის კათედრა** აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქ ქუთაისში გადაიტანა. გააუქმეს ზღვისპირა ფაზისის კათედრაც და მის ნაცვლად ახალი ცენტრი გახდა **ჭყონდიდი.**

ამას გარდა **დემეტრე მეორემ** ახალი საეპისკოპოსო კათედრები გახსნა მოქვსა და ბედიაში, ლეჩხუმსა და ნიკორწმინდაში...

მოკლედ, ყველაფრიდან ჩანს, რომ „აფხაზთა მეფე“ **დემეტრე მეორემ** და „ქართველთა სამეფოს“ თავკაცმა **ბაგრატ პირველმა „აფხაზეთის საკათალიკოსოს“** დაფუძნებით და ახალი სასულიერო ცენტრებისა და კათედრების შექმნით ბიზანტიელებს იმის ცდუნებაც კი მოუსპეს, რომ დასავლეთ საქართველოზე ოდესმე თავიანთი საეკლესიო გავლენა აღედგინათ. ამ მიზნით მათ უფრო დასავლეთ საქართველოს შიდა რაიონებზე აიღეს ორიენტაცია და საეკლესიო ცენტრები არა უშუალოდ ზღვისპირეთში შექმნეს, სადაც ბერძნები ხომალდების მეშვეობით ადვილად მიუდგებოდნენ, არამედ უფრო ქუთაისზე, ჭყონდიდსა და დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან, ძნელად მისასვლელ ადგილებზე — რაჭა-ლეჩხუმზე შეაჩერეს ყურადღება.

გარდა ამისა, მოხდა უმნიშვნელოვანესი რამ — **აფხაზეთის საკათალიკოსომ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა არა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან, რომელიც ბიზანტიის იმპერიის სული და გული იყო, არამედ ანტიოქიის საპატრიარქოსთან იმდენად, რამდენადაც უძველესი დროიდან მოყოლებული, ვიდრე ვახტანგ გორგასლის დროს თვითმწყემსობის, ანუ ავტოკეფალიის უფლებას მოვიპოვებდით, საქართველოში ქრისტიანობის გაძლიერებას განსაკუთრებით მეურვეობდა ანტიოქიის საპატრიარქო.**

მოკლედ, **აფხაზეთის საკათალიკოსო** აშოტ დიდი კურაპალატის ძემ **ბაგრატ პირველმა ბაგრატიონმა** შექმნა, რომელმაც ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, მთელი მესხეთი დაიმორჩილა, „ქართლში მეფობა აღადგინა“ და 842 წელს შიდა ქართლზეც დაამყარა კონტროლი.

## აფხაზეთის საკათალიკოსომ ჩაანაცვლა ბიზანტიის იმპერიის გავლენას დაქვემდებარებული ლაზეთის მიტროპოლიაც და ამდენად, დასავლეთ საქართველო ეკლესიურადაც ერთიანი ქართული პოლიტიკურ-კულტურული და რელიგიური სივრცის განუყოფელი ნაწილი გახდა.

სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო, რადგან **აფხაზეთის საკათალიკოსო** იმ გვარისა და დინასტიის კაცმა — **ბაგრატ პირველმა ბაგრატიონმა** შექმნა, რომლის მემკვიდრენიც სულ ცოტა ხანში ერთიანი საქართველოს მართვა-გამგებლობას შეუდგნენ. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს დამაარსებელი **ბაგრატ პირველი** გახლდათ პაპა **ადარნასე მეორე ბაგრატიონისა** (888-923 წ.წ.), რომელმაც 888 წელს ბაგრატიონებს შორის პირველმა მიიღო „ქართველთა მეფის“ ტიტული.

თუმცა, ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს განსხვავებული აზრიც და ეს ეხება აფხაზეთის საკათალიკოსოს შექმნის თარიღს. მაგალითად, ქართველ მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ **აფხაზეთის საკათალიკოსო** შეიქმნა არა 830 წელს, არამედ ბევრად უფრო ადრე, კერძოდ 740-იან წლებში, მას შემდეგ, რაც ბიზანტიის იმპერატორმა **ლეონ მესამე ისავრელმა** 730 წელს გამოცემული ედიქტით მთელ იმპერიაში ხატმებრძოლობა გამოაცხადა და ხატების თაყვანისცემა აკრძალა. მაშინ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან განსხვავებით, ანტიოქიის საპატრიარქო ხატების თაყვანისცემას ძველებურად ემხრობოდა და **წმინდა იოანე დამასკელი** მთელ საქრისტიანოს მოუწოდებდა, რომ ბერძენთა მსგავსად ერესში არ ჩავარდნილიყვნენ. ქართველები, როგორც დასავლეთ საქართველოში, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ხატების თაყვანისცემის ერთგული დარჩნენ და აქედან გამომდინარე, ანტიოქიის საპატრიარქო უფრო შემოიძმეს, ვიდრე ხატმებრძოლობის აპოლოგეტი იერუსალიმის საპატრიარქო!

მოკლედ, ქართველ მეცნიერთა ნაწილის აზრით, **„აფხაზთა სამეფოს“** დამფუძნებელი **ლეონ მეორის ბიძამ ლეონ პირველმა** ისარგებლა ბიზანტიაში არსებული არეულობით და დასავლეთ საქართველოს საეკლესიო დამოუკიდებლობა მოუტანა! ხოლო 830 წელი ის თარიღია, როცა მცხეთის საკათალიკოსო ტახტმა აფხაზეთის საკათალიკოსოს ავტოკეფალია ცნო!

ამრიგად, ქართველებს ორი ავტოკეფალური ეკლესია გვქონდა — **დასავლეთ ქართული, ანუ აფხაზეთის საკათალიკოსო და აღმოსავლეთ ქართული, ანუ მცხეთის ტახტი,** რაც გასაკვირი სულაც არ არის. სხვათაშორის, ბერძნებს ოთხი საპატრიარქო ჰქონდათ. ასე იყო სხვა ერებშიც, მაგრამ მირონი მხოლოდ მცხეთაში იხარშებოდა და აფხაზეთში, კერძოდ, ბიჭვინთაში იგზავნებოდა, სადაც აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქები ისხდნენ. ოდითგანვე ცნობილი და დამტკიცებული იყო, რომ მცხეთის საკათალიკოსო ტახტი აფხაზეთის საკათალიკოსო ტახტზე უხუცესად, ანუ „უმრწმესად“ ითვლებოდა!

აფხაზეთის საკათალიკოსო მთელ დასავლეთ საქართველოს, მათ შორის, საკუთრივ დღევანდელი აფხაზეთის გარდა სამეგრელოს, იმერეთსა და გურიას მოიცავდა და მისი პოლიტიკური გავლენა როგორც ჩრდილოეთით, ისე სამხრეთით, ბევრად სცილდებოდა საქართველოს საზღვრებს. აფხაზეთის კათალიკოსებს **„აფხაზეთის კათალიკოს-პატრიარქებსაც“** უწოდებდნენ. მე-11 საუკუნიდან, როცა საქართველოში **კათალიკოს-პატრიარქის ინსტიტუტი** შემოიღეს, აფხაზეთის საკათალიკოსო ერთიანი საქართველოს ეკლესიას — მცხეთის საპატრიარქო ტახტს დაექვემდებარა, ხოლო საქართველოს დაშლის შემდეგ აფხაზეთის საკათალიკოსომ ისევ მოიპოვა ერთგვარი დამოუკიდებლობა, თუმცა, მირონი ბიჭვინთაში კვლავაც მცხეთიდან იგზავნებოდა, ხოლო წირვა-ლოცვა ისევ და ისევ ქართულად აღესრულებოდა. **დიახ, აფხაზეთის საკათალიკოსოში ქართულის გარდა სხვა ენა არ ისმოდა!**

***დიტო ჩუბინიძე***

# დიახ, აფხაზეთის საკათალიკოსოში ქართულის გარდა სხვა ენა არ ისმოდა!

## კვირგვინოსნები

**მევლუდ მელაძე**

*საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი*



იშვიათია კამერა, რომელიც **უკნიდან იღებს,** უმეტეს შემთხვევაში **წინიდან იღებენ** და ეს მოტოციკლისტებმაც იციან. წინ მათ სანომრე ნიშანი არა აქვთ და ვერ მოხდება მათი იდენტიფიცირება. **ევროპის ქვეყნებში კამერები უკნიდან იღებს სანომრე ნიშნებს,** რათა დამრღვევი მოტოციკლის მძღოლიც ისევე დაჯარიმდეს, როგორც მანქანის. **ეს ჩვენთანაც გასაკეთებელია.**

„კვირის პალიტრა“

**ქეთევან მელიქაძე**

*გაეროს ბავშვთა ფონდის სოციალური და ეკონომიკური პროგრამების სპეციალისტი*



საქართველოში **აბსოლუტური სიღარიბე მცირდება,** მაგრამ კიდევ უამრავი ბავშვია, რომელთაც დახმარება სჭირდებათ. **შესაძლოა, არ არიან უკიდურესად ღარიბნი,** ამიტომაც მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამაში ნაკლებად ჩანან... თუმცა, **სახელმწიფო ნელ-ნელა ზრდის ბავშვის დანამატს** — თუ თავიდან თვეში **10 ლარი** იყო, ახლა ამ თანხამ **200 ლარს** მიაღწია. აღმოჩნდა, რომ **ეს თანხა მშობლებისთვის მნიშვნელოვანია** და ზოგიერთმა მშობელმა **გადაიფიქრა ემიგრაციაში წასვლა** სწორედ დამატებითი თანხის წყალობით.

„კვირის პალიტრა“

**პაატა არუშიძე**

*სოციოლოგი*



საქართველოში ხშირია **ე.წ. ოჯახის დაგეგმვა.** ეს ხდება თვითნებურად და, ხშირ შემთხვევაში, ახალგაზრდებში — წინასწარ გამიზნულად. ახალშეუღლებულები ცდილობენ, **პირველი შვილის გაჩენის დრო გადაწიონ რაც შეიძლება გვიან,** რომ შეირგონ თაფლობის პერიოდი, ახალგაზრდობა და ა.შ. ამის მერე **ისინი ჯერდებიან ერთ შვილს.** საქართველოში **ბევრი უშვილო წყვილია** სწორედ ე.წ. დაგეგმვის გამო.

„რეზონანსი“

**ანზორ თოთაძე**

*დემოგრაფი*



**დემოგრაფიულად მძიმე სიტუაციამდე,** ერთი მხრივ, იმის გამო მივედით, რომ 2003-2012 წლები, **როდესაც ნაციონალები ბატონობდნენ, საქართველოსთვის იყო საშინელი პერიოდი.** 350 ათასი პრობაციონერი იყო ქვეყანაში. **იმ წლებში უამრავი ადამიანი დაიჭირეს, რომელთა ძირითადი ნაწილი იყო საშუალო ასაკის მოსახლეობა** და თუ რომელიმეს სურდა, რომ, დავუშვათ, სამი შვილი ჰყოლოდა, **ერთი და ორი ბავშვის ამარა დარჩა.**

„რეზონანსი“

# მაია ბერაია: თანამედროვე ტექნოლოგიის სათვალით პაციენტს შეუძლია, კარგად დაინახოს ახლოს, შორს და შუალედურ მანძილზეც!



***შუახნის ასაკში თითქმის ყველა ადამიანს მხედველობის პრობლემები უჩნდებოდა. ამჟამად მხედველობისთვის კრიტიკული ასაკი კიდევ უფრო მეტად გაახალგაზრდავდა. სათვალეც უფრო ადრეული ასაკიდან სჭირდება ადამიანს. რა ფაქტორების გათვალისწინებით უნდა მოვირგოთ სათვალე, რათა თვალისჩინი ღრმა სიბერემდე შევინარჩუნოთ? გვესაუბრება მედიცინის დოქტორი, ოფთალმოლოგი, ოფთალმოქირურგი მაია ბერაია:***

— ოფთალმოლოგის პაციენტი შეიძლება, გახდეს თვეების ჩვილიც, მაგრამ მხედველობასთან დაკავშირებული ნეგატიური ცვლილებები, ზოგადად, 40 წლის ასაკიდან შეინიშნება. ამასთან, მხედველობის პრობლემები განსაკუთრებით იმ ადამიანებს უჩნდებათ, ვინც დიდი ხნის განმავლობაში ახლო მანძილზე მდებარე მონიტორსაა მიჩერებული. ასეთებს აღენიშნებათ თვალის სიმშრალე, დღის ბოლოს მხედველობის მკვეთრად დაქვეითება, თვალის წვა, ხანდახან — ცრემლდენაც. ამჟამად უფრო ხშირად ისეთი პაციენტები გვაკითხავენ, რომელთაც ასაკთან ერთად აკომოდაციის, ანუ სხვადასხვა მანძილზე საგნების მკვეთრად გარჩევის ბუნებრივი რესურსი ეწურებათ. გაჯეტებთან ხანგრძლივად ურთიერთობამ, ცხოვრების არანორმალურმა რეჟიმმა განაპირობა, რომ თვალი ახლო მანძილზე მზერის პროცესში დიდი ხნით რჩება დატვირთულ მდგომარეობაში. ამ დროს კუნთი მარტივად დუნდება და, შესაბამისად, თუ ადრე ადამიანები სათვალით სარგებლობას 50 წლის ასაკის მერე იწყებდნენ, ახლა 40 წელს მიღწეული ადამიანების დიდ ნაწილს უკვე სათვალე სჭირდებათ!

**— რა უნდა იღონოს ადამიანმა, რომელიც მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ შორს ან ახლო მანძილზე ძველებურად კარგად ვეღარ ხედავს?**

— ასაკის მატებასთან ერთად ჩნდება პრესბიოპიური მოვლენები, ბროლის დაბერების გამო გაძნელებულია ახლომდებარე საგნებზე ფოკუსირება. შეიძლება, პირიქითაც ხდებოდეს, როცა ადამიანი ახლო მანძილზე სათვალის გარეშეც კარგად ხედავს, არ უჭირს წვრილი შრიფტით დაბეჭდილი ტექსტის წაკითხვა და მონიტორთან მუშაობა, მაგრამ შორ მანძილზე საგნები მისთვის ბუნდოვანია და შესაბამის სათვალეს იყენებს. შეიძლება, შორს ადამიანი იდეალურად ვერ ხედავდეს, მაგრამ ასეთი მდგომარეობა ერჩიოს სათვალის ტარებას ან სათვალეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ვთქვათ, მანქანის მართვის დროს, ან საღამოს შორი მანძილიდან ტელევიზორის საყურებლად იყენებდეს. ისეთი შემთხვევებიც გვხვდება, როდესაც სხვადასხვა მანძილზე (შორზეც და ახლოზეც) დასანახავად სხვადასხვა სათვალის გამოყენება საჭირო. **ის, რომ ზარდაულ ასაკში ადამიანს სათვალე დასჭირდება, ჩვეულებრივი მოვლენა გახლავთ და შეშფოთებად არ ღირს!** მითუმეტეს, რომ არსებობს თანამედროვე ტექნოლოგიის სათვალე ე.წ. **„პროგრესული მინებით“**, რომელსაც ერთიან მინაში გააჩნია სამი ფანჯარა. შედეგად, ერთი სათვალით პაციენტს შეუძლია კარგად დაინახოს ახლოს, შორს და შუალედურ მანძილზეც!

**— როდემდე შეიძლება, მხედველობის პრობლემა უყურადღებოდ დავტოვოთ?**

— ადამიანს, რომელიც ახლო მანძილზე ძველებურად ვეღარ ხედავს, მაგრამ მუშაობას მაინც აგრძელებს, ეწყება მნიშვნელოვანი დისკომფორტი — თავის საშინელი ტკივილი, შრომისუნარიანობის დაქვეითება, რის გამოც ოფთალმოლოგთან ვიზიტია აუცილებელი. დიახ, **რობორც კი მხედველობის თუნდაც უმნიშვნელო პრობლემას აღმოვაჩენთ, ყველა საქმე უნდა გადავდოთ და დაუყოვნებლივ თვალის ექიმს მივაკითხოთ, რადგან ნებისმიერი პათოლოგიის განკურნება დასაწყის სტადიაში უფრო ადვილია, დაყოვნების გამო კი შეიძლება ადამიანმა თვალისჩინი სამუდამოდ დაკარგოს!**

**— ზოგი ოფთალმოლოგთან მისვლას თავს არიდებს. პირდაპირ მზა სათვალეს ირგებს და პრობლემას მარტივად იგვარებს.**

— ოფთალმოლოგთან ვიზიტი და ზუსტი დიაგნოზის დადგენა აუცილებელია, რის საფუძველზეც თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად უნდა დამზადდეს შესაბამისი სათვალე. მზა სათვალის მორგებას მრავალი ნეგატიური ასპექტი გააჩნია. უმთავრესად, ეს არის მინების ცუდი ხარისხი; ხშირად არც გუგებს შორის მანძილია სწორად განსაზღვრული — მაგალითად, ადამიანს სჭირდება 62 მილიმეტრი და იკეთებს სათვალეს, რომლისთვისაც გუგებს შორის მანძილი 70 მილიმეტრია. ამ დროს ადამიანს უჩნდება სიმძიმისა და გულისრევის შეგრძნება და, საერთოდ, თვალისჩინს დიდ ზიანს აყენებს, ვინც მომჭირნეობის გამო ძალიან იაფ სათვალეს ირჩევს!

**— მსმენია, რომ სათვალის შერჩევისას მხედველობაშია მისაღები, მაგალითად, დიაბეტით დაავადებული უზმოზე იტარებს კვლევას თუ ჭამის შემდეგ. რამდენად სწორია ეს მიდგომა?**

— ყოველ პაციენტს ვეკითხებით, აქვს თუ არა რომელიმე ზოგადი დაავადება. **მაგალითად, ოსტეოქონდროზის დროს თვალის სისხლით მომარაგების პროცესი ქვეითდება.** რაც შეეხება დიაბეტს, აუცილებელია დაზუსტება, პაციენტს შაქარი ნორმაში აქვს თუ არა. თუ შაქარი არეულია, პაციენტს რამდენჯერმე ვიბარებთ. აუცილებელია, გუგა გაფართოვდეს და უკანა ნაწილი ინახოს, დადგინდეს, არის თუ არა დიაბეტური ცვლილებები, რადგან ეს დაავადება იძლევა სხვა გართულებასაც, თუნდაც დიაბეტური რეტინოპათიის სახით.

სისხლში შაქრის მატება იწვევს ბადურის სისხლძარღვების დაზიანებას. ფერხდება სისხლძარღვში სისხლის მოძრაობა და დროთა განმავლობაში ბადურაზე ჩნდება ახალი, პათოლოგიური სისხლძარღვები, რაც თვალშიგნითა სისხლჩაქცევისა და მხედველობის მკვეთრი გაუარესების მიზეზი ხდება. **თუ პაციენტი ამ პრობლემას დროულად არ მიხედავს, შესაძლოა, ბადურის ჩამოშლამდე და სრულ სიბრმავემდეც მივიდეს!** ზოგჯერ პაციენტს მოულოდნელად აღმოუჩენია, რომ ცუდად ხედავს ან ვეღარ ხედავს. კვლევისას აუცილებლად უნდა გაიზომოს თვალის წნევა. ძალიან მაღალი მაჩვენებელი გლაუკომას განაპირობებს, რაც აზიანებს მხედველობის ნერვს და შესაძლოა, მხედველობის დაქვეითებისა და მისი სრულად დაკარგვის მიზეზიც გახდეს. გლაუკომა სიბრმავის გამომწვევი ერთ-ერთი მთავარი მიზეზია და მოზრდილ ასაკში უფრო ხშირია, თუმცა, შესაძლოა, ნებისმიერ ადამიანს დაემართოს. **ჯობს, 40 წელს გადაცილებულმა ადამიანებმა 6 თვეში ან წელიწადში ერთხელ პრევენციული კვლევები ჩაიტარონ, რათა ადრიანად აღმოაჩინონ ფარულად განვითარებული პათოლოგიური ცვლილებები.** საწყის სტადიაზე ვიდრე მხედველობის ნერვის ატროფია დაიწყება, ეს საშიში სენიც განკურნებადია. ადამიანი აღარ ბრმავდება.



**— უნდა გკითხოთ მზის სათვალეზეც. მომხმარებლები, ძირითადად, იაფ, პლასტმასის სათვალეს ყიდულობენ. ის მავნებელია მხედველობისთვის?**

— სხვათაშორის, ნამდვილი მინა თანამედროვე ტექნოლოგიებში ძალზე იშვიათად გამოიყენება და შეცვლილია პლასტიკური მინით. იაფი მზის სათვალეც შეიძლება საუკეთესო აღმოჩნდეს, ოღონდ ნორმალურ ოპტიკის მაღაზიაში უნდა შეიძინოთ. მზის სათვალეს აუცილებლად უნდა გააჩნდეს მზისგან დამცავი ფენა, მორგებული იყოს თქვენი სახის ფორმაზე, არ იყოს დამზადებული ისეთი პლასტიკისგან, რაც გამოსახულების გამრუდებას იძლევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუცილებლად დაიწყება თავბრუსხვევა და გაჩნდება გულისრევის შეგრძნება.

მზის სათვალის ხანგრძლივად ტარების გამო, თუ სათვალე ხარისხიანია, ადამიანს მხედველობის გაუარესება არ დაეწყება. ამასთან, არსებობს სათვალე **პოლარიზებული მინებით,** რომელიც გათვლილია ისეთ ადამიანებზე, ვისაც სიბნელეშიც სურს კარგად დანახვა. ასეთ სათვალეს **„მძღოლის სათვალესაც“** ეძახიან. სხვათაშორის, **პოლარიზებული ლინზები** კარგად ერგებათ მხედველობის ნერვის დაზიანების მქონე ადამიანებსაც. ვინც პლუს სათვალეს იყენებს, ოფთალმოლოგები პლასტიკის მასალის ლინზებს ვურჩევთ, რადგან უფრო მჩატეა, ხოლო ვინც მინუსს იყენებს — უფრო მჩატე მინუსურ მინას.

> **„თუ პაციენტი ამ პრობლემას დროულად არ მიხედავს, შესაძლოა, ბადურის ჩამოშლამდე და სრულ სიბრმავემდეც მივიდეს!“**

## კვირგვინოსნები

**ივანე ჩხაიძე**
*იმუნიზაციის ტექნიკურ მრჩეველთა ეროვნული ჯგუფის ხელმძღვანელი*



**ყივანახველის** შემთხვევების გამრავლების ერთ-ერთი ხშირი მიზეზი **გამოტოვებული ვაქცინებია.** სამწუხაროდ, პანდემიის მიმდინარეობისას და შემდეგ წლებშიც გაგრძელდა **ვაქცინაციაზე უარის თქმის ტენდენცია** და ამჟამად ათასობით ბავშვია აუცრელი. ეს არ ეხება მხოლოდ **ყივანახველას, წითელას, წითურას, ყბაყურასა** და სხვა ინფექციების მატების რიცხვიც საყურადღებოა.

„კვირის პალიტრა“

**ზურაბ სიხარულიძე**
*ნარკოლოგი, ექსპერტი*



**ნარკოტიკი იოლად ხელმისაწვდომია.** ახალ-ახალი სელერები შემოდიან და ყიდიან სხვადასხვა ადგილას. დავთვალე და **ერთ დღეში 5 კილოგრამამდე ნარკოტიკი იყო განთავსებული სხვადასხვა ადგილას.** ეს დიდი მასშტაბია ჩვენი ქვეყნისთვის. **მიუხედავად იმისა, რომ შსს მაქსიმალურად ცდილობს ამის გაკონტროლებას, კურიერები მაინც ახერხებენ ჩამორიგებას.** მათ ხელმძღვანელებთან მისვლა ძალიან რთულია. შეიძლება სულაც სხვა ქვეყანაში იყოს და იქიდან აკონტროლებდეს ტელეგრამპოსტებს. **ისიც შეიძლება, საზღვარზე სრულიად არანარკოტიკული ნივთიერება შემოიტანონ და შემდეგ ორი ნივთიერების შერევით მძიმე ნარკოტიკი გააკეთონ.**

„კვირის პალიტრა“

**მაია ბუწაშვილი**
*ინფექციონისტი*



**„მაიმუნის ყვავილი“** შედარებით მძიმედ მიმდინარეობს ბავშვებში, ორსულებში და იმუნოსუპრესირებულ პირებში — **დასაწყისში გრიპისმაგვარი სიმპტომები ახასიათებს, 1–3 დღეში ვითარდება გამონაყარი.**

„ინტერპრესნიუსი“

# „თვალისჩინს დიდ ზიანს აყენებს, ვინც მომჭირნეობის გამო ძალიან იაფ სათვალეს ირჩევს!“



**— ოფთალმოლოგთან შერჩეული სათვალე პაციენტს რამდენ ხანს გამოადგება? შესაძლებელია თუ არა, სათვალის ტარების პერიოდში მას მხედველობა შეეცვალოს და ამან განაპირობოს დისკომფორტი?**

— დიახ, ეს შესაძლებელია. ცნობილია, რომ ყოველ 2 წელიწადში ერთხელ პლუს მხედველობა ნახევარი დიოპტრიით მატულობს. თუ მაგალითად, 0,5-ით დავიწყებთ, 4 წელიწადში 1,5 დაგვჭირდება, შეიძლება, პლუსის ზრდის ტემპმა ცალკეულ შემთხვევებში კიდევ უფრო იმატოს, რის გამოც ძველი სათვალე სრულიად უვარგისი გახდება. ზოგადად, **როცა ჯანმრთელი ადამიანის ასაკი 45 წელს გადასცდება, ჯობს, წელიწადში ერთხელ მაინც ოფთალმოლოგთან კვლევა ჩაიტაროს.** ისიც შესაძლებელია, ადამიანს ეგონოს, რომ სათვალე მასზე მორგებულია, თუმცა, სინამდვილეში ასე არ იყოს.

არსებობენ პაციენტები, რომლებსაც ბავშვობიდან აქვთ ახლომხედველობა, მაგრამ ამას იმდენად შეჩვეულები არიან, რომ თავს კომფორტულადაც კი გრძნობენ და სათვალეს არ ატარებენ. მათ სულაც არ მოსწონთ ასპროცენტიანი მხედველობა, შესაბამისად, სათვალის მორგებაზე უარს აცხადებენ, ხოლო, ვისაც მინუსი აქვს, რეფრაქციული ოპერაციის ჩატარებამდე და მინუსის მოცილებამდე ვურჩევთ, შესაბამისი სათვალე მოირგონ, რომლითაც 100-პროცენტიანი მხედველობა ექნებათ, რადგან ოპერაციის ჩატარების შემდეგ შეიძლება, საშინელი დისკომფორტი გაუჩნდეთ და შესაგუებლად წლები დასჭირდეთ.

**— 100-პროცენტიანი მხედველობა რას ნიშნავს?**

— ნიშნავს, რომ პაციენტი კვლევის ცხრილში ყველაზე წვრილი შრიფტით დაბეჭდილ ნიშნებსაც არჩევს. ჯანმრთელ მხედველობად ითვლება, თუ 5 მეტრის მანძილიდან ადამიანს შეუძლია იმ წვრილი შრიფტის ამოცნობა, რომელიც 100 პროცენტად იწოდება. მხედველობის სიმახვილე მოწმდება ჯერ ერთ და შემდეგ მეორე თვალში.

**— თვალში ფოკუსის დარღვევას რა იწვევს?**

— ასაკი და მასთან ერთად რეფრაქციის ცვლილება, ასევე სხვადასხვა დაავადება, მაგალითად, რქოვანას პრობლემები. **კერატოკონუსის** დროს იცვლება რქოვანას სიმრუდე, ადამიანი შეიძლება, ვთქვათ, 25 წლამდე იდეალურად ხედავდა და უეცრად ეწყება მხედველობის სიმახვილის მკვეთრი დაქვეითება, რაც სათვალით არ კორეგირებს. ეს პათოლოგია ძალზე გახშირდა და თუ დროულად არ მოხდა დიაგნოზის დასმა, შესაძლოა, თვალი საერთოდ დაკარგოს. საწყის სტადიაზე აღმოჩენილი კერატოკონუსის განკურნება სხვადასხვა მეთოდით არის შესაძლებელი, თუმცა, რქოვანა სრულად მაინც ვერ აღდგება.

**— ახლომხედველობას რა განაპირობებს?**

— არსებობს თანდაყოლილი ახლომხედველობა, რომელიც არ იცვლება. ბავშვებში ახლომხედველობის განვითარების მიზეზი შეიძლება იყოს აკომოდაციის სისუსტე, არასწორი კვება, მონიტორთან ხანგრძლივი ჯდომა, მხედველობის ჰიგიენის დარღვევა. თუ მიოპია განსაკუთრებით 14-15 წლის ასაკში გაჩნდა, ის საკმაოდ სწრაფად და აგრესიულად პროგრესირებს.

მიოპიის მკურნალობის უამრავი მეთოდი არსებობს, პირველ რიგში, სათვალის ან კონტაქტური ლინზებით კორექცია, ასევე ღამის ლინზები, მაგრამ ეს მაინც არ გახლავთ განკურნების გარანტია. მიოპიის დასტაბილურების შემთხვევაში მისი მკურნალობის ყველაზე ეფექტური და თანამედროვე მეთოდი რეფრაქციული ოპერაციაა, რის შემდეგაც პაციენტი ლინზებისა და სათვალეების გარეშე ხედავს იდეალურად.

**— ადრე მშობლები ბავშვებს უშლიდნენ დიდი ხნით ტელეეკრანის წინ ყოფნას. ამაში არის ლოგიკა?**

— როდესაც ადამიანი დიდი ხნით ერთ წერტილში იცქირება, თვალის მამოძრავებელი კუნთები და თავად თვალი მარტივად იღლება. ამ დროს მინუსის მატების დიდი შანსია. გაფართოებული კვლევის დროს ვნახულობთ თვალის რეალურ სიგრძეს და მიახლოებით ვადგენთ, პაციენტს მინუსი პროგრესირებადი ექნება თუ არა.

**— რაც შეეხება შორსმხედველობას?**

— ესეც ასაკობრივია. დროთა განმავლობაში ასაკთან ერთად იღლება მხედველობაზე პასუხისმგებელი კუნთი. ადამიანი შორ მანძილზე იდეალურად ხედავს, მაგრამ ახლომდებარე საგნებს ბუნდოვნად არჩევს, ეძაბება თვალები და სტკივდება თავი, განსაკუთრებით — კითხვის დროს. ასეთი მდგომარეობა ფიზიოლოგიურად ნორმაა, მაგრამ სათვალის შერჩევა ესაჭიროება, რათა ფოკუსი სწორად დასვას იქ, სადაც საჭიროა. ხანდაზმულებს კატარაქტის გამო შორ მანძილზე დანახვა უჭირთ, თუმცა, რაღაც ეტაპზე ამის ხარჯზე ახლოს ისე კარგად ხედავენ, რომ ძაფზე ნემსის აგებას ახალგაზრდებზე სწრაფად ახერხებენ. არსებობს იდეალური შემთხვევაც, როდესაც პაციენტს ცალ თვალში კატარაქტა არ განვითარებია და შორ მანძილზე კარგად ხედავს; მეორე თვალით კი, რომელშიც კატარაქტის გამო მინუსი აღმოცენდა — ახლოს ხედავს. ისე გამოდის, რომ ერთი თვალით შორს ხედავს, მეორეთი ახლოს და ჰგონია, ყველაფერი წესრიგში აქვს, მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ საუკეთესო ბალანსის შედეგია.

**— რატომ არ შეიძლება, მივაჩერდეთ კაშკაშა მზეს ან შედუღების აპარატის ნათებას?**

— დამწვრობის შედეგად ზიანდება რქოვანა. ზოგადად, ნებისმიერი სახით რქოვანის დაზიანება — დამწვრობა იქნება ეს თუ უცხო სხეულის მოხვედრის შედეგად გაფხაჭნა — იწვევს აუტანელ ტკივილებს. ამ დროს ადამიანს უჩნდება სინათლის შიში და ვერ ახელს თვალს. გარკვეული პერიოდის შემდეგ სათანადო მედიკამენტებით მკურნალობისას ხდება რქოვანის აღდგენა.

ხანგრძლივად შედუღების ცქერიდან 2-3 დღის განმავლობაში ადამიანი თვალს ვერ გაახელს. ანალოგიური მიზეზით არ შეიძლება მზისთვის თვალის გასწორება; ზოგადად, მცხუნვარე მზის ქვეშ მზის სათვალის გარეშე დიდი ხნით გაჩერებაც მიუღებელია, რადგან რქოვანასთან ერთად ლორწოვანი და ქუთუთოებიც კი შეიძლება დაიწვას მძიმე ფორმით.

**— თითქოს თვალში ქვიშაა — ამ შეგრძნებას რა იწვევს?**

— ეს მშრალი თვალის სინდრომია. გამოწვეულია, მაგალითად, მონიტორის წინ ხანგრძლივად ყოფნით. დამატენიანებელი საშუალებების ხშირად ჩაწვეთება აუცილებელია, განსაკუთრებით, ძილის წინ, რადგან რეჟიმიდან ამოვარდნის გამო დღის ბოლოს ადამიანს ისედაც უქვეითდება მხედველობა. თუ დამატენიანებელი საშუალება იმ მომენტში არ მოგეძევებათ, თვალებზე წყლის შესხმაც კი შვებას მოგანიჭებთ. მხოლოდ დამატენიანებელი პრეპარატების მოხმარება პრობლემას ვერ აგვარებს. აუცილებელია დახურული სივრციდან თავის დაღწევა, ამ სივრცის ხშირად განიავება. არსებობს მშრალი თვალის მკურნალობის ყველაზე თანამედროვე და ეფექტური მეთოდი, ფოტოდინამიკური თერაპია, რომელიც საოცარ შედეგს იძლევა.

თვალში უცხო სხეულის შეგრძნება შესაძლოა, ანთებითმა პროცესმაც გამოიწვიოს, უცხო სხეული შეიძლება ქარის გამო თვალში მოხვდეს და რამდენიმე დღით ჩარჩეს კიდეც. შეიძლება ექიმმა შეუიარაღებელი თვალით ვერ დაინახოს, მაგრამ მიკროსკოპში უცხო სხეული გამოჩნდება და მისი მექანიკურად ამოღება იქნება საჭირო, რადგან მიკროსკოპული ზომის უცხო სხეულსაც შეუძლია თვალის მძიმედ დაზიანება.

**— ადრე სახლის პირობებში თვალიდან უცხო სხეულის მოცილების მიზნით, ჩაის ნაყენში თვალის პარპალს აიძულებდნენ პაციენტს...**

— ითვლება, რომ ჩაის ნაყენი ანტისეპტიკურ მინარევებს შეიცავს, მაგრამ უმჯობესია, წინასწარ გადადუღებული და გაგრილებული წყალი ან ფიზიოლოგიური ხსნარი გამოვიყენოთ. მსმენია, რომ ხელოსნები თვალიდან უცხო სხეულს სიგარეტის ფილტრის შეხებით იღებენ, რომელიც მიკროსკოპულ ფრაგმენტს იკრობს, მაგრამ ამის გაკეთება დაუშვებელია, რადგან შეიძლება ინფექციის განვითარება გამოიწვიოს!

**— ამბობენ, ნერვიულობა თვალისჩინის მტერიაო. სწორია ეს შეხედულება?**

— სხვათაშორის, არსებობს „ისტერიული სიბრმავე“, როცა ადამიანი ნერვებს აჰყვება, ჰგონია, რომ კარგად ვერ ხედავს და შეიძლება, მერე მართლაც ვერ დაინახოს რამდენიმე წუთის მანძილზე. ეს უფრო შთაგონებითი მოვლენაა და შექცევადი პროცესია. თუმცა, ზოგადად, ნერვიულობა სისხლძარღვების შევიწროებას განაპირობებს, რაც თვალებში განსაკუთრებით სახიფათოდ აისახება. თვალში სისხლძარღვების სპაზმმა შეიძლება განაპირობოს სერიოზული პრობლემები.

**— მოდაშია თვალის ფერადი ლინზები. რამდენად სახიფათოა ჯანმრთელობისთვის?**

— თანამედროვე ლინზები ჰაერგამტარი მასალისგან მზადდება და სრულიად უხიფათოა, თუ მომხმარებელი ზედმიწევნით დაიცავს გამოყენების წესებს. დაუშვებელია, მომხმარებელმა დაზიანებული ლინზა გამოიყენოს; ან მოხმარების მითითებული ვადის გადაჭარბებით ისარგებლოს; ყოველდღიურად უნდა ცვალოს ლინზის შესანახი სითხე, თუ თვალში თუნდაც მცირე ანთებითი პროცესია, ლინზა აღარ უნდა ჩაისვას. ლინზის შერჩევაც ოფთალმოლოგის დახმარებით უნდა მოხდეს. ოპტიკის მაღაზიებშიც არიან ოფთალმოლოგები, რომლებიც ყველა პარამეტრის გათვალისწინებით მომხმარებელს სწორი ლინზის შერჩევაში დაეხმარებიან.




# P.S.

ოფთალმოქირურგ **მაია ბერაიასთან** ვიზიტი შეგიძლიათ მისამართზე: **კლინიკა „ავერსი“, ვაჟა-ფშაველას 27 ბ.** ვიზიტის დასაგეგმად ან კონსულტაციის მიზნით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ნომერზე: **250-07-00**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## კვირგვინოსნები

**ლევან რატიანი**
*რეანიმატოლოგი*



მე პირველი ვიყავი არამარტო ქვეყანაში, სამყაროშიც კი, რომელიც **კოვიდით დაავადებულ პაციენტებთან პირბადის გარეშე შევედი.** ისე გავიდა პანდემია, რომ **კოვიდი არ დამმართნია.** მეც მქონდა გარკვეული ნიშნები, მაგრამ არ მიფიქრია, რომ ეს ვირუსი მომერეოდა. სიცხეც არ შემიმჩნევია, როცა მქონია. **იგნორირება გავუკეთე ამ ვირუსს და ალბათ ამიტომაც ვერ მომერია.**

„სარკე“

**გია ჯაჯანიძე**
*ფსიქოლოგი, ტელეწამყვანი*



რაც სოციალური ქსელის მომხმარებელი გავხდი, არასოდეს **არ დამიწერია უარყოფითი კომენტარი, არც არავინ გამიკრიტიკებია.** არ გამომითქვამს უარყოფითი აზრი, არცერთ ცუდ კომენტარზე არ გამიცია პასუხი. კარგად მაქვს გააზრებული, რა მოაქვს ადამიანისთვის უარყოფით ემოციას, გულის ტკენას და უარყოფით დამოკიდებულებას, უფრო მეტიც, **თანავუგრძნობ იმ ადამიანებს, ვინც საშინელ აგრესიაში არიან.**

„ახალი თაობა“

**მარინა კახიანი**
*რუსთაველის თეატრის მსახიობი*



ბევრი რამ გადამხდენია, მაგრამ მაინც ვრჩები **პატარა გოგონად.**

„კვირის პალიტრა“

**თამუნა ამონაშვილი**
*მომღერალი*



**ასე მგონია, ოცი წლის ვარ.** ვცდილობ, კარგად ვიკვებო, ვივარჯიშო, **ბავშვის თვალებით, ნათელი შეგრძნებებით აღვიქვა ირგვლივ ყველაფერი** და ეს მაბედნიერებს, მავიწყებს იმ წლებს, რომელიც მემატება. „თბილისელები“

# მო**გელა**ნდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად



## „ოცნების„ რუსული სცენარი

# დასასპირტია!

ბატონმა **კურკუმალ ვაითმა** ჭუტაანთ უბორნიიდან თავისივე პირით განაცხადა — „ქართული ოცნება“ ნაციონალურ მოძრაობას ვერ გაასამართლებს, პირიქით, ქართველი ხალხი გაასამართლებს „ქართულ ოცნებასო“!

აბა, უყურეთ — ჩამამდგარა ჩინეთის რუკის ფონზე, შეუყრია შუბლზე ნაოჭები და იძახის — პროევროპიელი გახლავართო.

რა ევროპიელი, ბიჭო?

შუბლის პირველ სამ ნაოჭზე არ გეტყობა, რომ პირწავარდნილი პაჭანიკი ხარ?

ისე კი, **ნეტავ რეიზა უნდა გაასამართლოს ქართველმა ხალხმა „ქართული ოცნება“?**

გირგვლიანი მოკლა?

რობაქიძე მოკლა?

170 ახალგაზრდა ქუჩაში ჩაცხრილა?

პატიმრები „დუბინკებით“ აუპატიურა?

ციხეში ბართლომეს ღამე მოაწყო?

ასი ათასობით ადამიანს ქონება წაართვა?

ადამიანები აწამა?

ღამის 3 საათზე ბიზნესმენებისგან ქონება იჩუქა?

კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთი დაარქვა და რუსებს გადაულოცა?

უწვერულვაშო ბიჭების ცხედრები ცხინვალის ქუჩებში დაყარა?

გორში მოტოციკლეტის ხმა ბომბდამშენის ხმა ეგონა და ბნედა დაეცა?

რუსის ტანკის დანახვაზე წითელი ხიდისკენ გაიძურწა?

**განვაგრძო ჩამოთვლა?**

**განვაგრძობდი, მაგრამ მაშინ ერთი კვირა თქვენისთანა ნაგავზე უნდა მოვცდე, რომელსაც ისედაც უდრტვინველად გავიტანთ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ.**

☺

**დიახ, სრული სიმართლე თქვა ბიძინა ივანიშვილმა — ნაცმოძრაობა უნდა გასამართლდეს და აიკრძალოსო!** აკრძალვა იქით იყოს და პირადად შენ ნამდვილად დასასპირტი ხარ, რათა მომავალმა თაობებმაც იცოდნენ, **სადამდე შეიძლება დამოკლდეს ჭკუა და კურკუმალი!**

# აქაც ყოფილან ფოტოგრაფები...



გუშინ **მამუკას** წამოუწყენია — **მერამდენედ უნდა ვიხილოთ შეშინებული ბიძინა სცენაზე, რომელიც ტყვიაგაუმტარი შუშის აკვარიუმიდან ესაუბრება ხალხს, ასეთი სამარცხვინო და კაპიტულანტური ხელისუფალი ქვეყანას არასდროს ჰყოლიაო.**

დიახ, **მამუკამ** თქვა ესა, რომელიც **ბიძინა ივანიშვილის** წყალობით დადის ქუჩა-ქუჩა, მუნიციპალიტეტ-მუნიციპალიტეტ და თითო-ოროლა გონებადაბინდულს აბოლებს. **რომ არა „შეშინებული“ ბიძინა, მამუკას 2500-ზე მეტი გამოსახლებული და ასიათასობით პროცენტადლეტილი წიხლებით შესდგებოდა.**

ეს ერთი და... მეორეც — რაკი ივანიშვილს ტყვიაგაუმტარი შუშა იცავს, შეშინებულია? რაკი მაღალი თანამდებობის პირებს აქ თუ სხვა ქვეყნებში სპეცსამსახურები იცავენ, შეშინებულები არიან?

**ამ ხანდაზმულ თაღლითს, როგორც ჩანს, წარმოდგენა არა აქვს, რას ბოდავს... არადა, სახელმწიფოს მართვა-პატრონობაზე აქვს პრეტენზია!**

გახსოვთ, ამას **ვოზდუხ ბახარიამ** წერილი რომ გაუგზავნა?

ტიპი ისე იყო დამფრთხალი, ლონდონამდე ფეხით ჩავიდა, წერილს ექსპერტიზა ჩაუტარა და კაიხანს გარეთ ვეღარ გამოდიოდა.

**ეს ხანდაზმული ლენინელი ლაპარაკობს, ბიძინა ივანიშვილი შეშინებულიაო?**

☺

**სურათს შეხედეთ!**

ერთ ხანობას **მამუკა** ბიძინა ივანიშვილს სურათების გადასაღებად დასდევდა, სულ ფეხებში ებლანდებოდა, ეგებ ყურადღება მომაქციოსო. **ვერ მიიქცია მამუკამ ბიძინას ყურადღება, ვერ დაიკავა მის კარზე გავლენიანი კაცის ადგილი, როგორც კვირიკაშვილის კარზე ეკავა, ვერ ღლიტა სახელმწიფო ბიუჯეტი თავის ნებაზე და ახლა, თურმე, ასეთი სამარცხვინო ხელისუფალი საქართველოს არ ჰყოლია.**

☺

ისე, **მერაბ კოსტავას** სკამის ფეხით რომ გამოეკიდო საცემრად, ძაან გულადი უნდა იყო, არა?



ამათი შიშით დაბლა ძაღლს ვერ დაუძინია, მაღლა კიდე — ჭილყვავს!

შეხვედრა მოსახლეობასთანო... აბა, მოსახლეობა? **დადიან, დაწანწალებენ, საკუთარ თავებთან თათბირებს ატარებენ და თან ამტკიცებენ — მოვდივართო.**

# გამოსაქანებლები



**ისე, რაღა დაგიმალოთ და... ძაან პრინციპული წამოსვლა კი აქვთ. ვაკეზე რო ეგრე პრინციპულად მოდიან, მთაწმინდიდან და ჰიმალაიდან რანაირადღა წამოვლენ?**

## კვირგვინოსნები

**პეტრე ცისკარიშვილი**
*ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი*



ისედაც არიან **რუსეთის, ჩრდილოეთ კორეის, ირანისა და ბელარუსის ბანაკში** მოთავსებულები და, სამწუხაროდ, **აქეთ მიაქანებენ ქართულ სახელმწიფოს,** რაც ნამდვილად არ გამოვა, რადგან **26 ოქტომბრამდე ცოტა დრო დარჩა და დასრულდება მათი ხელისუფლებაში ყოფნა.**

„ინტერპრესნიუსი“

**სოფო ჯაფარიძე**
*ნაციონალური მოძრაობის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარე*



ამ ქვეყანაში **ჯანდაცვის სისტემა მოშლილია** და ახლა „ქართული ოცნება“ მას სრული ფინანსური კრიზისით ემუქრება ამერიკასთან ურთიერთობის დანგრევით. **ივანიშვილის რუსული კანონი არამხოლოდ გვიკეტავს ჩვენ გზას ევროპისკენ, არამედ გვიწყვეტს დახმარებასა და მხარდაჭერას,** რომელიც გადაარჩენს ძალიან ბევრ სიცოცხლეს საქართველოში.

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან ბეჟაშვილი**
*„ერთიანობა — ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი*



ყოველი არჩევნების წინ „ქართული ოცნებისგან“ **ნაციონალური მოძრაობის გასამართლებისა და პოლიტიკიდან ჩამოშორების შესახებ ვისმენთ** — „ქართულმა ოცნებამ“ **საზოგადოების გასულელება** უნდა დაამთავროს!

„ინტერპრესნიუსი“

**ანა დოლიძე**
*კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი*



ხელისუფლება იყურება სხვაგან და მას აინტერესებს ერთადერთი რამ: **ჯიბის გასქელება, ტენდერები და საკუთარი თანამდებობის შენარჩუნება.** შესაბამისად, შემდეგ არჩევნებზე **ჩვენ უნდა გავაკეთოთ არჩევანი ჩვენი ოჯახის ყველა წევრის უსაფრთხოების სასარგებლოდ.**

„ინტერპრესნიუსი“

# საერთაშორისო სირიკოების დასანახად



**ვინ არიან, ეს ჩემის ტრამპა-ცუმპები, ამათი შიშით ქუჩაში ახალგაზრდას ველარ გაუვლია და ბაზარში — მოხუცს, ყველას ეჯაჯგურებიან — გინდა თუ არა, ჩვენ იდლიებში თავები უნდა შემოგაყოფინოთ, აეგ არი ევროპული ცხოვრება და დასავლური სურნელიო...**

ესენიც, უნდათ თუ არა, ჰყოფენ თავსა, წინააღმდეგობა რომ გაუწიო, შეიძლება, კისრის მალები ამოგამტვრიონ.

☺

დავალება აქვთ მიცემული აშშ-ელი პიარსონისგან: **ვისაც დაინახავთ, ყველას იდლიებში შეაყოფინეთ თავები, ვითომ მზეც, მთვარეც და ვარსკვლავებიც მაგათზე ამოგდითო.**

როგორც ჩანს, ესენი სურათებს აგროვებენ, 27 ოქტომბერს გადაითვლიან და მერე დაიწყებენ — **გაგვიყალბეს, ჩვენ გაცილებით მეტ გამვლელს ჩავეხუტეთ და ცესკოს მონაცემებს არ ემთხვევაო.**

საერთაშორისო სირიკოებიც დაუჯერებენ... რას ამბობთ, ჯერ არ დაუჯერებიათ?





# ნიკუშას ეგზარეგოდეთ!

ჯერ არ მოსულა და როგორ განცხრომაშია... თუ მოვიდა, მერე რას იზამს? ალბათ, „ლახანკაშიც“ ჩაწვება და ესენი კიდევ ფეხებს დაბანენ! ჩემ ფეხებს მოვა, მაგრამ **თავი ისე უჭირავს, გეგონება, უკვე განაღდებული აქვს ყველაფერი და მარტო 26 რიცხვსღა ელოდება, რომ ხელისუფლება გადაიბაროს.**

ესენიც, ეს ნაადრევად გაფუჭებულებიც, უმღერიან — **შენთანა ვართ, შენთანა ვართ, შენ ნურაფრის გეშინიაო...** სინამდვილეში კი ასე გამოსდით: **პოლიქრონიონ, პოლიქრონიონ, პოლიქრონიოოოოოონ!**

უმღერეთ, შვილებო, უმღერეთ... ალბათ, ათეული წლების მერე მაინც მიხვდებით, როგორი უტვინოები იყავით!




# ერისნაცი

ამდგარა, თურმე, ეს ჩემის 1918-იანი, სამშობლოს კეთილდღეობა სასწორზე დაუდვია, გარშემო გირები შემოუწყვია, უსაყვარლესი საქმის კეთებაც იქვე დაუგდია და სიმშვიდეც ზემოდან დაუმატებია.

წარმოგიდგენიათ?

**ეგეთი რამ არც ილიას უთქვამს, არც აკაკის უთქვამს, არც ვაჟას უთქვამს, არც გალაკტიონს უთქვამს...**

ერთი-ორჯერ ჯოხს გაიქნევენ და ლაყე თავები უკვე ერისკაცები ჰგონიათ.

**ეგრე არ არი, ფითილს დაუწიეთ, თქვენი ადგილი მოძებნეთ, სადმე კუთხეში დაეგდეთ, ემანდ, როიალის სახურავმა არ გაგიჭყლიტოთ თავი!**






# მოლოკილები

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, რაღაც ფორმით ყველა არჩევნებს ვაშუქებდი და ვაკვირდებოდი. დღემდე ქიციც ვნახე, ქიცმაცურიც, ღირსებაც, უღირსობაც, ნამუსიანობაც, უნამუსობაც, გაყალბებაც, კაცობაც, მაგრამ **ეგეთი მათხოვრული არჩევნები,** ე.წ. ოპოზიციას რომ უდგას, არასდროს მინახავს!

განა არ მინდა, ესენი უფრო გაპარტახებულები ვნახო? ნამდვილად მინდა და, ერთი მხრივ, მსიამოვნებს კიდეც, მაგრამ საკუთარი თავი ერთ რამეშიც გამოვიჭირე — **მომენტებში ამათ მაგივრად მრცხვენია. მაგათაც ხომ ჩემი ქვეყნის პასპორტები უდევთ, ესენიც ხომ ჩემი ქვეყნის ჰაერს სუნთქავენ, რუსეთიდან შემოტანილი ზეთის ჭამით იტანჯებიან, რუსული გაზის გამოყოფილ ცეცხლს ყნოსავენ, ღამე თვალებს რუსული დენით ითხრიან და გული ამიჩუყდება ხოლმე...**

იცით, ბიძინა ივანიშვილი ამათზე რას იტყვის ხოლმე?

**რა ვქნათ, რაც არი, ეგ არიო!**

თუმცა, ბოლო დროს აღარ იძახის — **რაც არი, ეგ არიო,** მაგასაც მობეზრდა ამათი **ლოკობა** (ქიზიყში ბოლმიან ადამიანს ეძახიან **ლოკს,** ხოლო ბოლმას — **ლოკობას**).

მაინც მრცხვენია ამათ მაგივრად, მაინც განვიცდი, რომ ბაზრებში დაწანწალებენ და იხვეწებიან, ხელი ჩამოგვართვითო. **ამათი ხელის ჩამორთმევა ვის ეხალისება, ვის რა ჯანდაბად უნდა, მაგრამ, ეტყობა, იმათაც ეცოდებათ, ამათ მაგივრად იმათაც რცხვენიათ და განიცდიან.**

## წარმოგიდგენიათ, რა დეემართებათ 26 ოქტომბრის ღამეს და 27-ში კიდე დილიდან?

# კახა კალაძე და ჭუჭუკორი

ამასწინებზე **კახა კალაძეს „ჭუჭუ პირველის“ კორესპონდენტი** მიადგა და ეკითხება — 500-ათასიანი მანქანა საიდან იყიდეთო?

**კალაძემ** — რომელი მანქანაო?

**ჭუჭუკორმა** — აი, ისა, 500-ათასიანიო.

**კალაძემ** — ააა... ეგ მანქანა კი იქნება თქვენისთანა ბრიყვებისთვის 500-ათასიანიო.

**ჭუჭუკორმა** — შეურაცხყოფას რატომ მაყენებთო?

**კალაძემ** — შეურაცხყოფას არ გაყენებთ, უბრალოდ, ეგ მანქანა თქვენისთანა ბრიყვებისთვის მართლა ეღირება მაგდენიო.

**არა და არ მოეშვა ქალბატონი ჭუჭუკორი** — საიდანო?

**კალაძემ** — რა თქვენი საქმეა, საიდანო?

**ჭუჭუკორმა** — არა, მართლა საიდანო?

**კალაძემ** — თქვენ ვინ გეკითხებათო? თუ რამე გამაჩნია, ყველაფერი მითითებულია დეკლარაციაშიო.

ჭუჭუკორი ჩაფლავდა. თავის **უმფროს შავნოდარას** გახეთქილი სკანდალი ვერ მიუტანა. დარწმუნებული ვარ, საერთოდ არ იცოდა, **კალაძე** მერობამდე რას აკეთებდა. ახლა მე რომ ვუთხრა და განვანათლო, ვიცი, პირს დააღებს და ბოლოს მკითხავს — **იტალია სად არიო?** მერე უნდა ავუხსნა, იტალია სად არი და რატომ არი. **რუკაზე რომ ვაჩვენებ, ახლა იმას მკითხავს** — ჩექმის ფორმა რატომ აქვსო?

**და მე მაქვს, ხალხო, ამდენი ნერვები, რომ „ჭუჭუ პირველს“ კადრები აღვუზარდო?**

☺

ისე, რაც მართალია, მართალია, კარგად დაუმუღამა ამათ **კახა კალაძემ** — **ისე ზრდილობიანად ამოარტყამს ხოლმე პანჩურს, კახელებსაც კი გაგვიკვირდება!**

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ჭიაბერაშვილი**
*„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საგარეო მდივანი*



საერთაშორისო კრიმინალი, აშშ-ის მიერ სანქცირებული რუსეთის აგენტი **ოთარ ფარცხალაძე არის ივანიშვილის ახლო გარემოცვის წევრი და „ქართული ოცნების“ კორუფციული კლანის ნაწილი,** ამიტომ რუსეთში იქნება თუ საქართველოში, **ის ყოველთვის ემსახურება ივანიშვილის ინტერესს** და **ივანიშვილს** იმიტომ სურს საქართველოს იზოლირება ევროპისგან და აშშ-სგან, რომ **სწორედ ასეთი კრიმინალური კლანის მეშვეობით მართოს საქართველო.**

„ინტერპრესნიუსი“

**ლევან ცუცქირიძე**
*კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი*



„ქართული ოცნება“ **ჯიუტად ადგას დიქტატურის დამყარების გზას** — ისინი საზოგადოებას სთხოვენ მანდატს ქვეყანაში **ერთპარტიული დიქტატურის ჩამოსაყალიბებლად.**

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი სიორიძე**
*კოალიცია „ძლიერი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი*



არჩევნების მოახლოებასთან ერთად „ქართული ოცნება“ ყველაფერს ცდილობს, რათა **ქართველი ხალხის არჩევანი მიიტაცოს** და ხელისუფლებაში ყოფნა გაიხანგრძლივოს.

„ინტერპრესნიუსი“

*ცნობილი ჰომეოპათი და ექიმი* ***კახა საბახტარიშვილი*** ***იმ საფრთხის შესახებ გვიამბობს, რასაც კვების მრეწველობაში შაქარზე ბევრად საშიში და ვერაგი პროდუქტი — მალტოდექსტრინი წარმოადგენს:***

# ფრთხილად, მალტოდექსტრინია!






## *კახა საბახტარიშვილი:*

## მალტოდექსტრინი შაქარზე გაცილებით საშიში პროდუქტია, რასაც ხალხს უმალავენ!

— შაქრის შემცველი პროდუქტები და ტკბილეულობა რომ უამრავი დაავადების გამომწვევია, ყველამ იცის. ამიტომ ჭკვიანი და საკუთარ ჯანმრთელობაზე მზრუნველი ადამიანი ყოველთვის ცდილობს ისეთი საკვებისა და სასმლის შეძენას, რომელშიც შაქარი ან საერთოდ არ შედის, ანდა მისი რაოდენობა მინიმალურია. საკვები პროდუქტების, განსაკუთრებით ტკბილი, გაზიანი სასმელების მწარმოებლებმა ამ პრობლემას, როგორც იტყვიან, ალღო აუღეს და საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად საშიშ ფანდს მიმართეს — თავიანთი პროდუქტების ეტიკეტზე საგულდაგულოდ აწერენ, რომ **„შაქარს არ შეიცავს“,** მაგრამ უმრავლესობა წარმოებაში იყენებს შაქარზე გაცილებით საშიშ ინგრედიენტს, რომელსაც ერთი შეხედვით უწყინარი სახელწოდება აქვს — **მალტოდექსტრინი!**

**— მაინც რას წარმოადგენს მალტოდექსტრინი და რა საფრთხის შემცველია ის?**

— **მალტოდექსტრინი** მოდიფიცირებული სახამებელია, რომელსაც სხვადასხვა საკვებ პროდუქტებსა და გამაგრილებელ სასმელებს უმატებენ. ის პროდუქტების ერთგვარი შემავსებელი და შემასქელებელია, საკვებს ტექსტურასა და გარკვეულ გემოს აძლევს, ამასთან, მისი შენახვის ვადას ახანგრძლივებს. **მალტოდექსტრინი** თეთრი ფერის ფხვნილია და ძალზე იაფია. მისი 30 გრამი შეერთებულ შტატებში, სულ რაღაც, 1 ცენტი ღირს. **მალტოდექსტრინს შეიცავს პროდუქტების უმრავლესობა — ჟელე, სოუსები, პური და მაკარონი, ლიმონათები, ნაყინი, ბავშვთა კვების პროდუქტები, ღია ფერის ლუდი, კანფეტები, ნამცხვრები, ზოგიერთი მედიკამენტი და ვიტამინი.**

მთელი უბედურება ის არის, რომ მალტოდექსტრინის შაქართან კავშირის შესახებ არსად წერენ და მას უბრალოდ ნახშირწყლის სახელით მოიხსენიებენ. არადა, **მალტოდექსტრინი** რეალურად შაქარზე გაცილებით საშიში პროდუქტია, რასაც ხალხს უმალავენ! თავად განსაჯეთ — პროდუქტების შესაფასებლად არსებობს **გლიკემიური ინდექსის** ცნება, რაც იმას გვიჩვენებს, ამა თუ იმ პროდუქტის მიღების შემდეგ ადამიანის ორგანიზმი რამდენად სწრაფად ითვისებს შაქარს და რამდენად იწევს შაქრის დონე სისხლში.

გლუკოზის გლიკემიური ინდექსი 100 ერთეულია, ხოლო ჩვეულებრივი თეთრი შაქრის — 70. ეს იმით არის განპირობებული, რომ ჩვეულებრივ თეთრ შაქარში გლუკოზასთან ერთად ფრუქტოზაც შედის, რომელიც გლიკემიურ ინდექსს დაბლა სწევს. ამ ყველაფრის ფონზე მალტოდექსტრინის **გლიკემიური ინდექსი 110 ერთეულიდან 170 ერთეულამდე მერყეობს,** რაც ნამდვილი კატასტროფაა. ფაქტობრივად, სახეზე გვაქვს ადამიანების ჯანმრთელობის მასობრივად დანგრევის მცდელობა —

**მომხმარებელს ჰგონია, რომ უშაქრო პროდუქტს მიირთმევს, რადგან ეტიკეტზე სწორედ ასე აწერია, მაგრამ სინამდვილეში პროდუქტი გაჯღენთილია სინთეზური შაქრით – მალტოდექსტრინით, რომელიც ძალიან სწრაფად შეიწოვება კუჭში და შაქარს წარმოუდგენლად მაღლა სწევს.**

ზედმეტი შაქარი კი სხვა არაფერია, თუ არა ცხიმი, რომელიც ყველგან ლადგება, მათ შორის, ღვიძლშიც და მის გაცხიმოვნებას იწვევს. არანამკურნალევი გაცხიმოვნებული ღვიძლი ციროზისა და ღვიძლის კიბოს წინაპირობაა.

**— მაინც როგორ მიიღება მალტოდექსტრინი?**

— **მალტოდექსტრინი** შესაძლოა, დამზადდეს სიმინდისგან, ხორბლისგან, კარტოფილისგან და ბრინჯისგან. უფრო ხშირად მას სიმინდისგან ამზადებენ. კერძოდ, იღებენ არა საკვებ, არამედ საფურაჟე, ანუ ცხოველებისთვის განკუთვნილ სიმინდს, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში გენმოდიფიცირებულია. შემდეგ მისგან ღებულობენ ფქვილს, ასხამენ მჟავას ან ტუტეს და აშორებენ უსიამოვნო სუნს. ამ პროცედურების შედეგად, სახამებელი წვრილ ნაწილებად იშლება და მიიღება თეთრი ფერის ფხვნილი — **მალტოდექსტრინი,** რომელიც პროდუქტს მოცულობას უმატებს. ისეც ხდება, რომ იოგურტის ზოგიერთი მწარმოებელი მას ცხიმს აცლის და ეტიკეტზე აწერს, რომ იოგურტი უცხიმოა, მაგრამ სინამდვილეში ცხიმის ადგილს იჭერს **მალტოდექსტრინი,** რომელიც პროდუქტს ასქელებს და ყველა უბედურებასთან ერთად ცხიმის როლსაც ითვისებს. ასეთი იოგურტი რეალურად შაქრის დიდი ოდენობის შემცველია და ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

**მალტოდექსტრინს** დიდ რეკლამას უწევენ ბავშვთა კვების მწარმოებლები და მის თითქოსდა დადებით ეფექტს იმით ხსნიან, რომ პატარების საჭმლის მომნელებელი სისტემა ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, ხოლო **მალტოდექსტრინი** სწრაფად აითვისება და მათ ენერგიას აძლევს. ამ ბოლო დროს წარმოებაში ფართოდ იყენებენ ე.წ. **რეზისტენტულ მალტოდექსტრინს,** რომელსაც ბოჭკოების ფორმა აქვს, თითქოს მწვანილსა და ხილში შემავალი სასარგებლო უჯრედისის ანალოგია და იმავე დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია. რა თქმა უნდა, ეს ბლეფია. **მალტოდექსტრინი,** თუნდაც ბოჭკოების ფორმით იწვევს: 1. ნაწლავების ანთებას; 2. ორგანიზმის მიკროფლორის განადგურებას; 3. ზედმეტ ფერმენტაციას და გაზების დაგროვებას.

**— ცნობილია, რომ მალტოდექსტრინი ხშირად გამოიყენება სპორტულ კვებაში. კერძოდ, მას ფართოდ იყენებენ კუნთოვანი მასის მოსამატებლად. რას იტყვით ამის შესახებ?**

— კუნთოვანი მასის გასაზრდელად ახალგაზრდები, რომლებიც ფიტნესით არიან დაკავებული, ხშირად ღებულობენ პროტეინების ფხვნილის სახით წარმოდგენილ კონცენტრატებს. ისინი ორგანიზმისთვის მართლაც სასარგებლოა, მაგრამ არსებობს ისეთი სპორტული დანამატები, რომელსაც **გეინერები** ეწოდება. ჩვეულებრივი პროტეინებისგან განსხვავებით, **გეინერებში** ჩამატებულია **მალტოდექსტრინი,** რომელიც ინსულინს მაღლა სწევს, ხოლო მომატებული ინსულინი ანაბოლიკია და კუნთოვან მასას მართლაც ზრდის. **უბედურება ის არის, რომ ამ მეთოდით გაზრდილ კუნთებთან ერთად ორგანიზმში ცხიმის ოდენობაც მატულობს.** თავად განსაჯეთ, სპორტული საკვები დანამატის, ე.წ. **გეინერების** ერთ პორციაში სულ 50 გრამი **პროტეინი** და 250 გრამი **მალტოდექსტრინი** შედის, რაც კატასტროფაა, რადგან 250 გრამი **მალტოდექსტრინი** 60 ჩაის კოვზ თეთრ შაქარს უდრის!

**მალტოდექსტრინის** შემცველი გეინერებით გატაცება იწვევს:

**1.** აკნეს;

**2.** მუცლის შებერვას;

**3.** ნაწლავების ანთებას;

**4.** გაღიზიანებადობას;

**5.** უძილობას;

**6.** დოფამინის მომატების გამო, ნარკოდამოკიდებულების მსგავსად, მიჩვევას;

**7.** პირის ღრუში მჟავიანობის გაზრდას და კბილების გაფუჭებას;

**8.** შაქრის მომატებას;

**9.** ცუდი ქოლესტერინის ზრდას და ღვიძლის გაცხიმოვნებას.

ბევრი **გეინერებს** იმისთვის სვამს, რომ წონაში მოიმატოს. **პირდაპირ ვაცხადებ: ასეთი გზით წონაში მომატება ნამდვილი კატასტროფაა!**

**— ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსახლეობას რას ურჩევთ?**

— ვიდრე პროდუქტს შევიძენთ, კარგად წავიკითხოთ ეტიკეტი და გავარკვიოთ, ხომ არ შეიცავს ის **მალტოდექსტრინს?** იგი შესაძლოა, სხვა სახელწოდებითაც შეგვხვდეს:

**1.** დექსტრინი;

**2.** მოდიფიცირებული საკვები სახამებელი;

**3.** გლუკოზის სიროფი;

**4.** სიმინდის სიროფი.

საერთოდ, სახამებელი და მალტოდექსტრინი პროდუქტებში ადვილი აღმოსაჩენია. ამისათვის პროდუქტის მცირე ნაწილი უნდა გავხსნათ წყალში და მასში რამდენიმე წვეთი იოდი ჩავაწვეთოთ. თუ ხსნარი გალურჯდა, პროდუქტი სახამებელსა და მალტოდექსტრინს შეიცავს, სხვა შემთხვევაში ხსნარი იოდისთვის დამახასიათებელი მოქროსფერო-მოყვითალო იქნება.

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***




## „სპორტული საკვები დანამატის, ე.წ. გეინერების ერთ პორციაში სულ 50 გრამი პროტეინი და 250 გრამი მალტოდექსტრინი შედის, რაც კატასტროფაა, რადგან 250 გრამი მალტოდექსტრინი 60 ჩაის კოვზ თეთრ შაქარს უდრის!“

### კვირგვინოსნები

**ნიკოლოზ რაჭველი**
*კომპოზიტორი*



შეიძლება, მეტისმეტად ამპარტავნად ჟღერს, მაგრამ მომიტევეთ, რომ **ვამაყობ ჩემი პოზიციით და შეხედულებებით...** სასწორზე დავდე საკუთარ სამშობლოში კეთილდღეობაც, უსაყვარლესი საქმის კეთების შესაძლებლობაც და სიმშვიდეც... მაგრამ ოდესმე, ასაკში მყოფს, **მინდა, რომ ჩემს ბიოგრაფიას არ ახლდეს კონფორმიზმის ანარეკლი.**

„აიპრესი“

**ვასილ მაღლაფერიძე**
*საქართველოს „პირველი არხის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე*



„პირველი არხის“ ჟურნალისტებს **ცხოვრების ჯოჯოხეთად ქცევით** ამჯერად იმ ლეგიონის წევრები ემუქრებიან, რომლებიც **ადამიანების დაგესვლაში დაოსტატებულები არიან** და ეტყობათ, სათანადო მომზადებაც გავლილი აქვთ. რიტორიკული შეკითხვა სიძულვილის ლეგიონის წევრებს და მათ გულშემატკივრებს: **ნუთუ მართლა გენატრებათ ისეთ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც თქვენი გამოთქმული აზრისთვის ან გაკეთებული სიუჟეტისთვის ცხოვრებას ჯოჯოხეთად გიქცევენ?!** პაწა დაფიქრებულიყავით, არ გაწყობდეთ იქნება!

„ინტერპრესნიუსი“

**იოსებ არჩვაძე**
*ეკონომისტი*



საქართველოს სახელმწიფომ **ორჯერ აიღო უცხოეთიდან კრედიტი გაზსაცავის მშენებლობისთვის.** ერთხელ ეს იყო აგვისტოს ომამდე, აპრილში — 500 მილიონი, მეორედ 200-მილიონიანი კრედიტის აღება უკავშირდებოდა **ანგელა მერკელის** ვიზიტს საქართველოში, მაგრამ **ორივეჯერ ეს თანხა სხვა მიზნებისთვის იქნა გამოყენებული.**

„თბილისელები“


ჯემალ ჭკუასელი, ჯემალ ღაღანიძე, ნიკა წულუკიძე, ვახტანგ ტატიშვილი, გივი ბერიკაშვილი, გელა ჩარკვიანი

# ვახტანგ ტატიშვილი:

# ქვეყანაში მშვიდობა რომ არ ყოფილიყო, ამ სამახსოვრო ფოტოს ვერ გადავიღებდით!

***მომღერალი და პედაგოგი, ანსამბლ „ივერიის“ უხუცესი წევრი, 82 წლის ვახტანგ ტატიშვილი იხსენებს მტკვარზე ტივით სეირნობას, როცა თბილისობის დღესასწაულზე შეიკრიბნენ ხელოვანები და სამახსოვრო ფოტო გადაიღეს:***

— ფოტო, სადაც გადაღებული ვარ **ჯემალ ჭკუასელთან, ჯემალ ღაღანიძესთან, ნიკა წულუკიძესთან, გივი ბერიკაშვილთან და გელა ჩარკვიანთან** ერთად, 10 წლის წინანდელია. მტკვარზე ტივით ვსეირნობთ და ხილითა და შამპანურით ვიქცევთ თავს. საერთოდ, ტივზე ქეიფი ძველი ყარაჩოხელების ტრადიციიდან მოდის, სადღეგრძელოები და მეზურნეების დუდუკების ხმა ძალიან უხდებოდა ამ სიტუაციას. თბილისში მტკვარი მდორედ მიედინება, ზიხარ ტივზე, ფილტვები ჟანგბადით გევსება და თბილისის სიყვარული კიდევ უფრო გიმძაფრდება. ამ ადგილზე ქეიფს არაფერი სჯობს. აგარაკი მაქვს არმაზში, მტკვრის სანაპიროზე, მაგრამ იქ ისეთი სწრაფი დინებაა, შეუძლებელია ტივით სეირნობა, მცხეთაშიც სწრაფი დინებაა, აი, მტკვარი თბილისში კი სულ სხვაა.

**— თქვენი შეკრების მიზეზი რა იყო?**

— თბილისობაზე კონცერტის დაწყების მოლოდინში გასეირნება გადავწყვიტეთ, მსუბუქად წავიხემსეთ. **ჯემალ ჭკუასელი** იმ დღეს ბოლოჯერ ვნახე, ტელეფონით კი მოვიკითხავდი ხოლმე, მაგრამ ეს იყო ჩვენი ბოლო შეხვედრა. გურული იყო და კარგად გვესმოდა ერთმანეთის, შესანიშნავი ანსამბლი შექმნა — „ერისიონი“, რომელმაც მთელ მსოფლიოში აღიარება მოიპოვა. მის გვერდით ზის მსახიობი **ჯემალ ღაღანიძე** — უნიჭიერესი კაცი, რომელიც ახლოს გავიცანი კონცერტზე „მღერიან და ხუმრობენ თეატრისა და კინოს ვარსკვლავები“ და „იუმორინას“ დროს. ყველას ახსოვს მისი სიმღერები, მისი როლები კინოსა თუ თეატრში. ახლო მეგობრები არ ვყოფილვართ, მაგრამ, როცა კი კონცერტებზე ვხვდებოდით, თავისი ნიჭიერებით აღტაცებაში მოვყავდი.

ამ ფოტოზე ჩემ გვერდით ზის **გივი ბერიკაშვილი** — წესიერი და მართალი კაცი. რა უნდა გეთხოვა, რომ არ დაგხმარებოდა, თან გადაგყვებოდა, ძალიან მომთხოვნი იყო საკუთარი თავის მიმართ, თავისი პროფესია მიაჩნდა ყველაზე აღმატებულად, თავდაუზოგავი იყო და მთელი მონდომებით სწავლობდა ტექსტებს, ერთ ხარვეზსაც ვერ უპოვიდით. ქეიფი უყვარდა, მაგრამ, თუ გადაღება ან კონცერტი ჰქონდა, არავითარ შემთხვევაში არ დალევდა. შეუდარებელი იყო მისი და **კახი კავსაძის** დუეტი. ისტორიას დარჩება მათი მეგობრობა და ხუმრობები. შეუძლებელია ამათი დავიწყება, ასე ძალიან უხდებოდნენ სცენას, თბილისსა და სრულიად საქართველოს.

**— გელა ჩარკვიანთან მეგობრობდით?**

— როცა კი მხვდებოდა, ყოველთვის სერიოზული საუბრები გვქონდა, უცხო ენების ინსტიტუტში ასწავლიდა, სადაც ჩემი მეუღლეც სწავლობდა. გელას გამოცემული აქვს შესანიშნავი წიგნები, სამწუხაროდ, ჯერ ვერ შევიძინე. არ იყო უბრალო კაცი, დაგელაპარაკებოდა თუ არა, მის მიმართ პატივისცემით განეწყობოდი. გული მტკივა, რომ ამ ფოტოზე აღბეჭდილთაგან მხოლოდ მე და **ნიკა წულუკიძე** ვართ ცოცხლები, მე — 82 წლის და ნიკა — ჩემზე ბევრად ახალგაზრდა. შესანიშნავი ბიჭია, ხელოვანი და ხელოვნების პატივისმცემელი, ღონისძიებების სულისჩამდგმელი. მის ოჯახში ტრაგედია დატრიალდა, შვილი გარდაეცვალა, დიდი ტკივილი დაატყდა თავს, მაგრამ ცხოვრება გრძელდება, ვუსურვებ წარმატებებს და მოკითხვას ვუთვლი. ამ ფოტოზე არ არის ერთი ადამიანი, რომელსაც ჯერ კიდევ 16 წლიდან ვიცნობ და წლებმა ვერაფერი დააკლო ჩვენს მეგობრობას.


ვახტანგ ტატიშვილის ნათლიის – ჯემალ ბაღაშვილის ოჯახი: მეუღლე მანანა პატარაია-ბაღაშვილი, შვილი – გია ბაღაშვილი და შვილიშვილები

**— ვის გულისხმობთ?**

— ჩემს ძმაკაცს **ჯემალ ბაღაშვილს.** პედაგოგიურ ინსტიტუტში პირველ კურსზე რომ ვსწავლობდი, იქიდან ვიცნობ, თან მისი მონათლული ვარ და დამანათლა ბევრი კარგი რამ, რაც კი ცხოვრებაში გადამხდა. ჯარში ვმსახურობდი, როცა წერილი მომწერა, როცა ჩამოხვალ, ერთად ვიმღეროთო. ასე მოვხვდი ფილარმონიაში. **ჯემალ ბაღაშვილთან და მარეხ გოძიაშვილთან** ერთად ვმღეროდი. მერე იყო ანსამბლი „ივერია“, გავხდი პოპულარული. ძალიან გული მტკივა, რომ ჯემალს გარდაეცვალა შესანიშნავი მეუღლე, ქალბატონი **მანანა.** ეს იყო შესანიშნავი წყვილი, მანანა თვითონ ავად იყო, კლინიკაში იწვა და იქიდან ჯემალს ურეკავდა, წამლის მიღება არ დაგავიწყდესო. ჩემი აზრით, მამაკაცს მეუღლეს ვერავინ შეუცვლის, ვერც — შვილი, ვერც — მეგობარი. ვთვლი, რომ მარტოდ დარჩენილი კაცი ძალიან ცოდოა. როცა ქალი რჩება ქმრის გარეშე, იმდენი საქმე აქვს ოჯახში, შვილებსა და შვილიშვილებზე ზრუნვაში გულს აყოლებს, აი, მამაკაცი კი უამრავი ახლობლის გარემოცვაშიც კი მარტოა. ჩემს ძმაკაცს **ჯემალ ბაღაშვილს** ვუსურვებ მხნეობას, შესანიშნავი შვილიშვილები ჰყავს, ვაჟი — **გია ბაღაშვილი** თავზე ევლება, მინდა, რომ იყოს ჯანმრთელად.

**— ღონისძიებებსა და კონცერტებში იღებთ მონაწილეობას?**

— დიახ, ხშირად მეძახიან, ბახმაროშიც ვიყავი, აჭარის სოფელშიც, ზღვის დონიდან 2 500 მეტრზე, ქრისტიანები და მუსულმანები ერთად ცხოვრობენ, სოფლის ზეიმში მივიღე მონაწილეობა. როცა მოლამ ლოცვა დაიწყო, კონცერტი 15 წუთით შევაჩერეთ, პატივი ვეცით ერთმანეთს. ეს არის საქართველო, სადაც ერთად ცხოვრობდნენ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები და ეს არ იყო დაპირისპირების საგანი. რთულ დროში გვიწევს ცხოვრება, კარგად გავაანალიზოთ ყველაფერი, ვიმსჯელოთ მეგობრებთან, მეზობლებთან და ვიცხოვროთ მშვიდობიანად. ჩვენ ირგვლივ ომია, ჩვენ კი თავისუფალად ვართ, ვის ვეომოთ, იმპერიებს? დავფიქრდეთ ამაზე. ზემოთ ფოტოსურათზე ვისაუბრეთ, 10 წლის წინათ, მშვიდობა რომ არ ყოფილიყო, ამ სამახსოვრო ფოტოს ვერ გადავიღებდით, არც თბილისობა იქნებოდა და არც სხვა რამ სიკეთე. მშვიდობის დროს იქმნება ყველაფერი, გავუფრთხილდეთ ერთმანეთსაც და ჩვენს ქვეყანასაც.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიტაშვილი***

## კვირგვინოსნები

### ბორის ბედია
*მომღერალი*



არ მიყვარს **ინტრიგები და ზურგს უკან რაღაცების ხლართვა.** ასეთი რამ არცერთ კაცს არ შეეფერება. სამწუხაროდ, **ჩვენს შოუ-ბიზნესში დღეს ბევრია ასეთი.**

„თბილისელები“

### ეკა ნიჟარაძე
*მსახიობი*



**მინდა, კრემაცია გამიკეთონ** და სადმე კარგ ადგილას, **ბუნებაში მიმოფანტონ ჩემი ფერფლი.**

„თბილისელები“

### თათა გიორგობიანი
*„ჯამბის შოუს“ ბენდის წევრი*



როცა ორ ადამიანს შეხედავ და **მათი თვალებიდან სიყვარული იღვრება,** ამაზე ლამაზი, ალბათ, დედამიწის ზურგზე არაფერია.

„სარკე“

### მაკა შალიკაშვილი
*მსახიობი*



უნდა **დაშორდე ყველას,** ვინც გიმტრო და ტკივილი მოგაყენა!

„სარკე“

### პაატა გულიაშვილი
*რუსთაველის თეატრის მსახიობი*



**ღვინოს მოფერება უნდა,** როცა მის მოსარევად მიდიხარ, **აუცილებლად კარგ ხასიათზე უნდა იყო.**

„სარკე“

### ქეთევან ქემოკლიძე
*საოპერო მომღერალი*



ვეტრფი და ქედს ვიხრი იმ ქალბატონების წინაშე, რომლებსაც შეუძლიათ, **დილით ადგნენ, თავი მოიწესრიგონ, გამოიპრანჭონ** და ასე დაიწყონ დღე.

„თბილისელები“



# მიხეილ ცაგარელი:

# ასტროლოგია და ჩვენი ოთხფეხა მეგობარი

*— რომელი ზოდიაქოს ნიშნით დაბადებული ძაღლია ყველაზე ოპტიმისტი, თავგადასავლების მოყვარული, კეთილგანწყობილი, მეგობრული და შეუძლია მოგზაურობისას, პატრონს ჩინებული კომპანიონობა გაუწიოს? რომელი ნიშნით დაბადებული ძაღლი გამოირჩევა პასუხისმგებლობით და შრომისმოყვარეობით, უყვარს ახალი დავალების შესრულება, არის სახლის კარგი მეთვალყურე, ოჯახის დამცველი და ძალუძს სხვა ძაღლების აყოლიება და წინამძღოლობა? რომელი ძაღლია ინტელექტუალური, რაციონალური, ექსცენტრული, უყვარს ახალი შეგრძნება-ემოციები და ახლის შეცნობა? რომელი ძაღლია დაჯილდოებული განსაკუთრებული მგრძნობელობით, ძლიერი ინტუიციით, მშვენივრად გრძნობს პატრონის განწყობას და შეუძლია, რთულ სიტუაციაში ერთგვარი თერაპიული დახმარება გაუწიოს ანდა ვისთვის იქნება ამგვარი ძაღლი საუკეთესო არჩევანი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— განვაგრძოთ საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ დაგვეხმარება ასტროლოგია ჩვენთვის შესაფერისი ოთხფეხა მეგობრის შერჩევაში.**

— 9. **მშვილდოსანი (22 ნოემბერი-21 დეკემბერი) ზოდიაქოთა შორის ყველაზე უფრო ოპტიმისტია და საზრდოობს თავგადასავლებით, მოგზაურობით. მას დიდი ამბიციურობა გააჩნია და, ამავდროულად, კეთილგანწყობილია. მშვილდოსან-ძაღლს** ასევე სჭირდება სასეირნო ტერიტორია, რადგან ჩაკეტილ სივრცეში დიდხანს ყოფნისას შფოთავს და დისკომფორტს განიცდის. იგი, რაც უფრო მეტს სეირნობს და თამაშობს ეზოში თუ მის გარეთ, მით უფრო ბედნიერია. **მშვილდოსანი-ძაღლი** აქტიურია და სახასიათო თვისებებიც გააჩნია. ძალიან მეგობრულია როგორც ადამიანების, ისე სხვა ცხოველების მიმართ და მშვენიერ კომპანიონობასაც გასწევს მოგზაურობისას. ნიშანდობლივია ისიც, რომ ამგვარი ძაღლი ყველაზე ბედნიერად თავს გრძნობს მაშინ, როცა სადმე, სახლის გარეთ მიწაზე წამოწოლილი მზეს მიეფიცხება და საკუთარ ხუთივე გრძნობას შეისწავლის. **მისი საყვარელი გასართობია ლაშქრობები, გადაადგილებები, უცნობ ადგილებში სეირნობა. საყოველთაოდ ცნობილია მისი პატრონისადმი ერთგულება. მშვილდოსანი-ძაღლი ასევე გამოირჩევა კარგი ჯანმრთელობით და მხიარული ხასიათით.** ძალიან უყვარს ახლის შეცნობა, ამიტომ ასეთი ძაღლის ყოლა სასიამოვნოა მოგზაურობის მოყვარული ადამიანისთვის, თუმცა, მშვილდოსან-ძაღლს შეუძლია, პატრონს გაეპაროს და მიმდებარე ტერიტორიების დასათვალიერებლად გაეშუროს. **ამგვარი ძაღლი განსაკუთრებით შეესაბამება ვერძის, ლომისა და მერწყულის ნიშნით დაბადებულ ადამიანებს.**

**10. თხის რქის ნიშანი (22 დეკემბერი-19 იანვარი) ასოცირდება შეუპოვრობასთან და დიდ პასუხისმგებლობასთან. პლანეტა სატურნის** ზემოქმედებით, ზოდიაქოს წარმომადგენელი გამოირჩევა ენერგიით, პრინციპულობით, შრომისმოყვარეობით, ამბიციურობითა და მიზანსწრაფვით. **თხის რქა-ძაღლს ვერასოდეს შეამჩნევთ სიზარმაცეს, მას ახალისებს ახალი დავალების შესრულება ან ახალი ილეთისა თუ უნარის შესწავლა. სახლს განსაკუთრებით კარგად უყარაულებს. ასევე თანდაყოლილი აქვს ძიძის ჩვევები და ძალუძს, დაიმორჩილოს არამარტო სხვა ცხოველები, არამედ ოჯახის წევრებიც. თხის რქა-ძაღლი ნებისმიერ სიტუაციაში ავლენს ძლიერ ჯანმრთელობასა და ფსიქიკას, ამიტომ ოჯახის კარგ დამცველად ითვლება.** პატრონის ბრძანებასა და თავის მოვალეობას ადვილად ასრულებს და უსაქმოდ ყოფნა და მოწყენილობა არ უყვარს. იგი პასუხისმგებლიანი და ავტორიტეტულია და შეუძლია სხვა ძაღლების აყოლიება ან წინამძღოლობა. ხშირ შემთხვევაში მას ესაჭიროება დრო ოჯახის სხვა ძაღლთან შესაგუებლად. **ამგვარი ძაღლის საუკეთესო პატრონად კი მოიაზრება კუროს, ქალწულის ანდა ღრიანკალის ნიშნით დაბადებული ადამიანი.**

**11. მერწყულის ნიშნით (20 იანვარი-18 თებერვალი) დაბადებული ძაღლი ჭკვიანი, ჯიუტი, რაციონალური და ექსცენტრულია.** ცდილობს, სახლში საკუთარი წესები დაამკვიდროს, ცვლილებები უყვარს და მოწყენილობას ვერ იტანს. სეირნობისთვის, ახალი ილეთის ასათვისებლად და ახალი სათამაშოს მისაღებად მუდამ მზადაა. ახალ გარემო-სიტუაციაში ადვილად ადაპტირდება და ადვილად ამყარებს კავშირს ახალ ადამიანებთან თუ სხვა ცხოველებთან. **მერწყული-ძაღლი** ყველაზე საუკეთესო ერთგული მეგობარია. მას ახალისებს ახალ-ახალი შეგრძნება-ემოციები, ამიტომ ახალ ადგილას სეირნობა, ახალ ადამიანებთან ურთიერთობა და ძაღლებთან თამაში მოსწონს. **ამასთან ერთად იგი გამოირჩევა ინტელექტუალობით, სიახლის შეცნობის ინტერესით, თუმცა, მუდმივად საჭიროებს ყურადღებას, განსაკუთრებით სეირნობის დროს, რათა ცნობისმოყვარეობამ პრობლემა არ შეუქმნას.** ზოგჯერ ზედმეტად ენერგიულია, რაც შესაძლოა, ნეგატიურად აესახოს ფსიქიკაზე. ასეთ შემთხვევაში ის ნაკლებად დამჯერი ხდება და ბრძანების შესასრულებლად დამატებით მოტივაციას საჭიროებს. **ამგვარი ძაღლის ყველაზე შესაფერისი პატრონი იქნება ტყუპის, სასწორის ან მშვილდოსნის ნიშნით დაბადებული ადამიანი.**

**12. თევზების (19 თებერვალი-20 მარტი) მმართველი პლანეტაა ნეპტუნი, ამიტომაც ამ ნიშნით დაბადებული ძაღლი არის განსაკუთრებით მგრძნობიარე, ძალიან ინტუიციური და გამოირჩევა სულიერებით, უხილავი შესწავლელი შთაგონებით.** მას სხვა ძაღლებზე მეტად ესაჭიროება თავისი ფართობი, საკუთარი ადგილი და სიმშვიდე. **იგი ნაზი, კეთილი და მზრუნველია. პატრონი უზომოდ უყვარს და ცდილობს, ღამითაც მის გვერდით იყოს. თევზები-ძაღლი მშვენივრად შეიგრძნობს პატრონის განწყობას და რთულ სიტუაციაში ერთგვარ თერაპიულ დახმარებასაც გაუწევს.** თავად კი ძალიან უყვარს მზის სხივების ქვეშ, მშვიდი მუსიკის ფონზე წამოწოლა და თვლემა. იგი თავისი რბილი მიმნდობი ხასიათის გამო ხშირად სხვა ძაღლის ან ცხოველის ზეწოლისა და აგრესიის საგანი შესაძლოა, გახდეს, თუმცა, თავად იმდენად მშვიდობიანი ბუნებისაა, რომ ყველაფერს იღონებს, რათა კონფლიქტს თავი აარიდოს მაშინაც კი, როცა მოწინააღმდეგეზე ფიზიკურად გაცილებით ძლიერია. **თევზებ-ძაღლს** შინაგანი ჰარმონიისთვის დრო და თავისუფალი სივრცე ესაჭიროება, სადაც ფიქრს და გარემოზე დაკვირვებას შეძლებს. იგი მშვიდი, მოსიყვარულე, სახლზე მიჩვეული შინაური ძაღლია, რომელიც ძლიერ მიჯაჭვულია პატრონს და მის გარეშე მოწყენილია და დეპრესია ეძალება. **მეგობრობისა და ურთიერთგაგების თვალსაზრისით, ამგვარი ძაღლისთვის საუკეთესო პატრონი იქნება კუროს, კირჩხიბისა და თხის რქის ნიშნით დაბადებული ადამიანი.**

*რუბრიკას უძღვება*

***მარინა მერკვილაძე***

## 26 აგვისტო - 1 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)

დაქვეითდება ენერგობალანსი და გაუარესდება გუნება-განწყობა. არ გარისკოთ და მოერიდეთ საქმეში ან პირადი ზრახვებისთვის სხვისი ფულის გამოყენებას. ურთიერთობებში შესაძლოა ჩვეულებრივზე მეტად აგრესიული იყოთ, ამიტომ ეცადეთ, დამოუკიდებლად იმოქმედოთ და აკონტროლეთ ემოციები. საჭიროების შემთხვევაში რჩევა ჰკითხეთ გამოცდილ და ავტორიტეტულ ადამიანებს. საყვარელ ადამიანთან მეტად გაგიადვილდებათ ურთიერთობა, თუ ზოგჯერ მის პრობლემებსაც მოისმენთ, მოგზაურობა კი ჯობს, გადადოთ.

**კურო** (21.04-20.05)

საკმაოდ ნაყოფიერი პერიოდია. გარკვეული მოვლენები გაიძულებთ, შეიცვალოთ ცხოვრების ჩვეული განრიგი. წარმატებას მოგიტანთ საყვარელი საქმე და ახალი ხალხის გაცნობა. ახალი საქმის დაწყება კი სასურველია, ცოტა ხნით გადადოთ. კავშირების სიუხვემ და ცხოვრებისეულმა ცვლილებებმა შესაძლოა, გადაგღალოთ და ქაოსი შემოიტანოს თქვენს აზრებში. საყვარელ ადამიანთან ჰარმონიის შესანარჩუნებლად ეცადეთ, დაიოკოთ შეწინააღმდეგების სურვილი.

**ტყუპი** (21.05-22.06)

იმგვარად მოაგვარეთ სახლისა და სამსახურის საქმეები, რომ არ წარმოქმნათ პრობლემები და კონფლიქტები. ნუ ეცდებით დიქტატორული თვისებების გამოვლენას და მომთმენი იყავით ახლობლებთან. ეს დრო არ უწყობს ხელს ახალი საქმეების დაწყებას და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებას. დაშვებული შეცდომები ჯობს, დროულად გამოასწოროთ და არ მოაწეროთ ხელი გადაუმოწმებელ საბუთებს. სასიყვარულო ურთიერთობები შეიძლება დაიძაბოს თქვენი დაღლილობისა და უხეშობის გამო.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი ძლიერი იქნება, რაც თქვენი სამუშაოს სწრაფად და გულმოდგინედ შესრულების საწინდარი გახდება. თუმცა, ახალი საქმის დაწყება დროებით გადადეთ. მეტი დრო დაუთმეთ განათლებასა და საჭირო კავშირების დამყარებას. მოგზაურობა და გადაადგილებები დამღლელი, მაგრამ შედეგიანი აღმოჩნდება. ეს კარგი დროა სახლის კეთილმოწყობისთვის, ჯანმრთელობის პროფილაქტიკისა და ორგანიზმის გაკაჟებისთვის.

**ლომი** (23.07-23.08)

ყოველდღიურ საქმეებში შეიძლება ხელი უამრავმა წვრილმანმა შეგიშალოთ. ასევე, შესაძლოა დაუპირისპირდეთ სახელმწიფო სტრუქტურებს ან ხელმძღვანელ პირებს. არსებული კონფლიქტების მოგვარებისას ყოველთვის სასურველ შედეგს ვერ მიაღწევთ, ამიტომ წინასწარი გათვლების გარეშე ჯობს, არაფერი მოიმოქმედოთ. პირად და საოჯახო სფეროში სიმშვიდე მეტად თავდაჯერებულს გაგხდით. მოგზაურობები კი დასვენებისა და ძალების აღდგენის საშუალებას მოგცემთ.

**ქალწული** (24.08-23.09)

ყოველდღიური ყოფიერი და პროფესიული საქმეები მოითხოვს მთელ თქვენს ენერგიას, რის გამოც ცოტა დრო დაგრჩებათ პირადი ცხოვრებისა და სასიყვარულო ურთიერთობებისთვის. შესაძლოა, მოგიწიოთ იურიდიული საბუთების გაფორმება, კონტრაქტების გადახედვა, კანონებში ჩაღრმავება. გაიზრდება ხარჯი მოგზაურობასა და სწავლაზე, ბავშვებსა და საყვარელ ადამიანზე. ახლობლებისათვის უზრუნველი პირობების შექმნისას ეცადეთ, ხარჯოთ მხოლოდ თქვენი დანაზოგი და არ გამოიყენოთ სხვისი ფული.

26 აგვისტო - 1 სექტემბრის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)

ენერგიის უკმარისობა ემოციურ დისბალანსს გამოიწვევს, რაც შესაძლოა, ცუდად აისახოს საქმიან ურთიერთობებზე. გაიზრდება გადაადგილებების რაოდენობა, თუმცა, ფინანსური და საბუთებთან დაკავშირებული საქმეების სიუხვე არ მოგცემთ რიგიანად დასვენების საშუალებას. ეს კარგი დროა მიმოწერის, ძველი კავშირების აღდგენისა და ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დასაწყებად. მეტი ყურადღება დაუთმეთ ოჯახის წევრებსა და ბავშვებს, რათა არ დაძაბოთ მათთან ურთიერთობა.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)

პროფესიულ საქმეებში აუჩქარებლად, გეგმის მიხედვით იმოქმედეთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება კი დროებით არ ღირს, რადგან შეიძლება გამოგრჩეთ მნიშვნელოვანი დეტალები. მიუხედავად ბევრი კონტაქტისა, მივლინება ან მოგზაურობა შეიძლება გადაიდოს, ხოლო მოლაპარაკებები ჩაიშალოს. ძველი და დასასრულებელი საქმეების სიუხვე ცოტა დროს დაგიტოვებთ პირადი ურთიერთობებისთვის, რაც რჩეულის უკმაყოფილებას გამოიწვევს.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)

სიზარმაცე და მოდუნება ხელს შეგიშლით აქტიურ მოქმედებაში. განმარტოებისას შესაძლოა, ჩამოგიყალიბდეთ საინტერესო შემოქმედებითი გეგმები. კარგი დროა სულიერი, ეზოთერული, საგამომძიებლო და ლიტერატურული საქმიანობისთვის. გაიზრდება ფარული საქმიანობები და კავშირები, რამაც შეიძლება სასიყვარულო პარტნიორის ეჭვი და გაბრაზება გამოიწვიოს. დაგროვილი დაღლილობა შეგახსენებთ თავს. ამიტომ მეტი ყურადღება გმართებთ საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ.

**თხის რქა** (22.12-19.01)

იდეები ბევრი გექნებათ, მაგრამ შედეგიანად მუშაობისათვის მშვიდი და კომფორტული გარემო დაგჭირდებათ. გახშირდება ნათესავებთან, კლასელებთან, მეგობრებთან შეხვედრების რაოდენობა. განმარტოებისა და დასვენებისთვის ცოტა დრო დაგრჩებათ, რამაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ფსიქოსომატურ მდგომარეობაზე. სიფრთხილე გმართებთ საბუთებთან და უცხოეთთან დაკავშირებულ საქმეებში. კარგი იქნება, თუ დროებით თავს შეიკავებთ შორეული მოგზაურობისგან.

**მერწყული** (20.01-18.02)

ემოციურად დაძაბული პერიოდია. თქვენი სასიცოცხლო ტონუსი დაქვეითდება. გახშირდება უხასიათობა და დაღლილობის შეგრძნება. ამიტომ შეამცირეთ გადაადგილებების და შეხვედრების რიცხვი. ყოველი მიღებული ინფორმაციის შემდგომ სასურველია, განმარტოვდეთ და ყველაფერი რიგიანად გაიაზროთ. ოჯახში სიმშვიდის შესანარჩუნებლად გაითვალისწინეთ ოჯახის წევრების სურვილები და რჩევები. ქალაქგარეთ სეირნობა და დასვენება სასიკეთოდ აისახება თქვენს განწყობაზე და ჯანმრთელობაზე.

**თევზები** (19.02-20.03)

მომატებული ენერგია დაგეხმარებათ ახლებურად მოქმედებასა და განვითარებაში. მიუხედავად ამისა, ეს არასასიკეთო დროა სამსახურის გამოსაცვლელად ან ახალი საქმიანობის დასაწყებად, ფინანსური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მშვიდი გარემოს შესანარჩუნებლად, მეტად ტაქტიანი და დიპლომატიური იყავით საყვარელ ადამიანსა და ახლო ნათესავებთან. ეს კარგი პერიოდია როგორც დასვენებისთვის, ისე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსწორებისა და მკურნალობისთვის.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია

**26, 27, 28, 30 აგვისტო და 1 სექტემბერი**

**4 აგვისტო – ახალმთვარეობა, პიკი – 15.14 საათზე.**
**19 აგვისტო – სავსემთვარეობა, პიკი – 21.22 საათზე.**

## 26 აგვისტო, ორშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.21 საათზე, ჩადის 18.41 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (07.12) ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 21.45 საათზე, ჩადის 27 აგვისტოს 12.49 საათზე (მთვარის 23-ე დღე იწყება 22.38 საათზე. მე-4 ფაზა იწყება 13.29 საათზე). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 05.42 საათიდან 07.05 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს შესაძლებელია მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება. შედეგიანი იქნება ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, საზარდულის, მენჯ-ბარძაყის მკურნალობა. კარგი დღეა მოლაპარაკებებისთვის, ინფორმაციის გაცვლისთვის, საკომუნიკაციო საშუალებების შესაძენად, სამეცნიერო კვლევისთვის, სწავლისთვის, ინტერვიუებისთვის, სავაჭრო გარიგებებისთვის, მშენებლობისთვის. არ არის სასურველი ზედმეტი ლაპარაკი, საიდუმლოს გამხელა, უჰაერო სივრცეში ყოფნა, ქორწინება, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, თმის შეჭრა-შეღებვა. მაღალია ჭორების, ინტრიგის, მოტყუების ალბათობა. ნებისმიერი ინფორმაცია შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ამაზონიტი, ჰიაცინტი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 27 აგვისტო, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.22 საათზე, ჩადის 18.12 საათზე. **მთვარე** ტყუპის ზოდიაქოშია. ამოდის 23.22 საათზე, ჩადის 28 აგვისტოს 13.25 საათზე (მთვარის 24-ე დღე იწყება 23.13 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მოერიდეთ პროვოკაციებს, ბავშვებს მეტი დრო დაუთმეთ. შედეგიანი იქნება ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის მკურნალობა. კარგი დღეა კონტაქტებისთვის, მოლაპარაკებებისთვის, ახალი შთაბეჭდილებების მისაღებად, ძველი საქმის დასრულებისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, მშენებლობისთვის, ინფორმაციის გაცვლისთვის, საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად, რეკლამა-აუქციონებისთვის, მგზავრობისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, სასიყვარულო კონტაქტები, უჰაერო სივრცეში ყოფნა, თმის შეჭრა-შეღებვა, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, ჰელიოტროპი, ამაზონიტი, ლაბრადორიტი, ჰიაცინტი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 28 აგვისტო, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.23 საათზე, ჩადის 18.40 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (13.01) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 23.10 საათზე, ჩადის 29 აგვისტოს 15.35 საათზე (მთვარის 25-ე დღე იწყება 23.08 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 11.15 საათიდან 12.49 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები: გილოცავთ მარიამობას!** იმატებს ინტუიცია. შესაძლებელი იქნება პარტნიორთან რთული საკითხის განხილვა, მნიშვნელოვანი საქმიანი შეხვედრები. კარგი დღეა ინფორმაციის გაცვლისთვის, ხელშეკრულების დასადებად, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ტრადიციებში ჩასაღრმავებლად, შემოქმედებისთვის, ავეჯისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენისთვის. ამავდროულად მაღალია ფინანსური შეცდომების ალბათობა. ხელმოწერამდე საბუთები კარგად შეამოწმეთ. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მკერდი, კუჭი, ღვიძლი. **ქვები:** ტოპაზი, აკვამარინი, ზურმუხტი, აქატი, რაუხტოპაზი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპისთვის.

## 29 აგვისტო, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.24 საათზე, ჩადის 18.40 საათზე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 23.59 საათზე, ჩადის 30 აგვისტოს 16.37 საათზე (მთვარის 25-ე დღე გრძელდება. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** დღეიდან სიყვარულისა და სილამაზის მმართველი პლანეტა ვენერა გადაინაცვლებს სასწორის ზოდიაქოში (23 სექტემბრამდე), რაც ურთიერთობებისას გაამახვილებს დიპლომატიურობას, მშვიდობიანობას, კომუნიკაბელურობას და ასევე მერყეობას, სულსწრაფობას. ხელს შეუწყობს წარმატების მიღწევას ხელოვნებაში, არქიტექტურაში, პარფიუმერია-კოსმეტიკის ბიზნესში, საზოგადოებრივ საქმიანობაში, იურისპრუდენციაში. დღეს მოერიდეთ ფუჭ ქმედებებს, უარყოფით ემოციებს, ინფორმაცია შეამოწმეთ, ინტუიციას დაეყრდენით. კარგი დღეა საოჯახო-სანათესაო ურთიერთობებისთვის, ტრადიციებში ჩასაღრმავებლად, განთავისუფლდით უსარგებლო ნივთებისგან. ხელი შეეწყობა შემოქმედებას. არ არის სასურველი ქორწინება, სისხლის აღება-გაცემა, ბინის შეცვლა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** რაუხტოპაზი, ზურმუხტი, აქატი, ოპალი, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 30 აგვისტო, პარასკევი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.25 საათზე, ჩადის 18.37 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (21.20) ლომის ზოდიაქოში. ამოდის 01.10 საათზე, ჩადის 17.09 საათზე (მთვარის 26-ე დღე იწყება 01.20 საათზე. მე-4 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 19.26 საათიდან 21.10 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა **მერკური** დირექტიული ხდება, რაც ხელს შეუწყობს ახალი იდეის რეალიზაციას, სატრანსპორტო მოძრაობას, სწავლას, მოლაპარაკებებს, ვაჭრობას, მგზავრობას, ტექნიკის გამართულ მუშაობას. დღეს მაღალია ფინანსური ხრიკების ალბათობა. საკვირველი მოვლენების დღეა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, კულინარიული საქმიანობისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის, დალაგება-დასუფთავებისთვის, საყოფაცხოვრებო ნივთების შესაძენად. ურთიერთობისას მეტი ტაქტი და მოთმინება გამოიჩინეთ, ემოციები აკონტროლეთ. არ არის სასურველი ქორწინება, სასიყვარულო კონტაქტები, სისხლის აღება, ბინის შეცვლა, დაპირებების გაცემა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მკერდი, კუჭი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, გულ-სისხლძარღვთა სისტემა. **ქვები:** ზურმუხტი, რაუხტოპაზი, ბრილიანტი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** მერწყულისთვის.

## 31 აგვისტო, შაბათი

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.26 საათზე, ჩადის 18.36 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 02.17 საათზე, ჩადის 17.42 საათზე (მთვარის 27-ე დღე იწყება 02.42 საათზე. მე-4 ფაზა). **ტენდენციები:** კარგი დღეა კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, საბავშვო დღესასწაულებისთვის, ძვირფასი ნივთების შესაძენად, მეგობრული კონტაქტებისთვის, ახალი სამსახურის დასაწყებად, თანამდებობის დასაკავებლად, საჩუქრების, ტანსაცმელ-ფეხსაცმლის, პარფიუმერია-კოსმეტიკის შესაძენად, იურიდიული საქმეებისთვის, სახლის დალაგება-დასუფთავებისთვის. არ არის სასურველი ქორწინება, ფიზიკურ-ემოციური გადაღლა, ბინის შეცვლა, ფინანსური გარიგება, პრეტენზიების გამოხატვა. შედეგიანი იქნება თვალების, ნერვული სისტემის, ვენების მკურნალობა. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სერდოლიკი, ქარვა, სარდიონი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 1 სექტემბერი , კვირა

**მზე** იმყოფება ქალწულის ზოდიაქოში. ამოდის 05.27 საათზე, ჩადის 18.37 საათზე. **მთვარე** ლომის ზოდიაქოშია. ამოდის 03.23 საათზე, ჩადის 18.08 საათზე (მთვარის 28-ე დღე იწყება 04.05 საათზე. მე-4 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს რეფორმებისა და სიახლეების მმართველი პლანეტა ურანი რეტროგრადული (უკუმავალი) ხდება კუროს ზოდიაქოს ნიშანში მოძრაობისას, რაც ხელს შეუშლის რეფორმებსა და სიახლეებს საბანკო-საფინანსო სისტემაში, საკანონმდებლო სფეროში და დაგვაბრუნებს იმ ძველ საქმესთან ან მეგობრულ კონტაქტებთან, რომელიც ვერ განვავითარეთ. შეიზღუდება თავისუფლების ფაქტორი. დღეს მოერიდეთ ნერვულ-ემოციურ გადაღლას, გულს გაუფრთხილდით. კარგი დღეა საბავშვო ზეიმებისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, ძვირფასი ნივთებისა და საჩუქრების შესაძენად, მეგობრული კონტაქტებისთვის. არ არის სასურველი ფინანსური გარიგება, ბინის შეცვლა, სიმძიმის აწევა, ქორწინება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია გულ-სისხლძარღვთა სისტემა, ხერხემალი. **ქვები:** ბრილიანტი, მთის ბროლი, სარდიონი, ქარვა, სერდოლიკი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.



შევიძენ
ცნობილი ქართველი და საქართველოში მოღვაწე მხატვრების ნახატებს!
591 71 99 00

## საეკლესიო კალენდარი



28 აგვისტო – მიძინება ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა

✝ 26 აგვისტო. ორშაბათი. **წარგზავნა უფლის ფერისცვალების დღესასწაულისა.** ღირსისა მაქსიმე აღმსარებელისა.

✝ 27 აგვისტო. სამშაბათი. **წინადღესასწაული მიძინებისა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა.** მღვდელმოწამეთა: ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტისა ნაზარისა, გერმანე, იეროთეოს და სიმონ ხუცესთა, პროტოდიაკონისა ბესარიონისა და ყოველთა ახალმოწამეთა, ტოტალიტარული რეჟიმის დროს ურწმუნოთაგან ვნებულთა.

✝ 28 აგვისტო. ოთხშაბათი. **მიძინება ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. მარიამობა. სიონობა.** თაყვანისცემა ღმრთისმშობლის ხატთა: აწყურისა, გაენათისა, წილკნისა, მეტეხისა, ქვაბთახევისა, დმანისისა, მოზდოკისა, ვლაქერნისა და სხვათა.

✝ 29 აგვისტო. ხუთშაბათი. **შემდგომი დღესასწაული ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინებისა. წამოყვანება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტეს ხელთუქმნელისა ხატისა ედესით კონსტანტინოპოლს;** მოწამისა ქრისტეფორე გურულისა; წმიდა მებკამბრესი; მოწამისა დიომიდე მკურნალისა.

30 აგვისტო. პარასკევი. **ღირსისა მამისა ტბელი აბუსერისძისა, ჰაგიოგრაფისა და ჰიმნოგრაფისა ერისათვის თავდადებულისა.**

✝ 31 აგვისტო. შაბათი. ღირსისა ქრისტოდულე ფილოსოფოსისა; მოწამეთა ფლოროსისა და ლავროსისა; მოწამეთა: ერმოსი, სერაპიონისა და პოლიენოსი.

✝ 1 სექტემბერი. კვირა. მოწამისა ანდრია სტრატილატისა და მისთანა მრავალთა მოწამეთა.



მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

ლეგენდარული დიმიტრი ალავიძე
ლეგენდარული ვასილ მჟავანაძის
პირველი სტუმრობიდან 58-ე წელია,
მცხეთის სალობიეში
გეპატიჟებათ!




### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. მანგო; 8. შაგალი; 11. პოლემიკა; 12. რუბლი; 13. რაგბი; 14. ნარიტა; 15. სინეკურა; 16. გრაფა; 17. ლაიკა; 18. ბრაუნი; 19. მირაბელი; 23. მიუსე; 24. ვისი; 26. რიანა; 27. ნარკოლოგი; 28. განა; 31. ზურნა; 32. წინდა; 34. ამირეჯიბი; 39. ნაკლი; 40. ატლასი; 41. ლაკმე; 42. ტრაპიზონი; 43. ამნეზია; 44. ზიჩი; 46. კავალერია; 51. ვო; 52. მინიმალური; 55. ლეკიანობა; 56. დო; 57. ირაო; 58. სტელა; 59. სულთანი; 61. ნეი; 62. ლი; 63. მარტინი; 64. ანისი.

შვეულად: 1. ბოლიდი; 2. სენეკა; 3. მიფუნე; 4. მარალი; 5. ნაგლინი; 6. ორიგამი; 7. აბლაბუდა; 8. შინაბერა; 9. გარდაბანი; 10. ლიტანია; 19. მანია; 20. რურკი; 21. ბროსე; 22. ლიონი; 24. ვიზიტი; 25. სარკაზმი; 28. განიმედი; 29. ნიკელინი; 30. კატერი; 32. წილი; 33. ნეკნი; 35. მერია; 36. რუპია; 37. ჯეზვე; 38. ბანკი; 44. ზალტენი; 45. ჩარგალი; 46. კალასი; 47. ვოკალი; 48. ლიანა; 49. რიონი; 50. ავარია; 52. მორგი; 53. ნეონი; 54. მისია.

მოლიერიქათამილაზარემარკიზარალისტიმულინეგო
პასკალიმონიტორიჩელინიასაკიროსინიხრიკიკინი

| ფრანგი დრამატურგი | შინაური ფრინველი | ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა | მარკიზის მეუღლე | რალიში მონაწილე | საქარგავი ქაფი | იაპონური ჭადრაკი |
|---|---|---|---|---|---|---|

| მინდორი | ქახილი საშველად | ფერმენტი – დიასტაზი | გერმანელი მწერალი | ქონებრივი დანაკლისი | ბიძგი რაიმე მოქმედებისათვის | ღვიძლის სამკურნალო მცენარე |
|---|---|---|---|---|---|---|



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 4. ტროპიკული ხილი; 8. ფრანგი ფერმწერი; 11. კამათი, პაექრობა; 12. რუსული ფულის ერთეული; 13. სპორტის სახეობა; 14. აეროპორტი ტოკიოში; 15. შემოსავლიანი თანამდებობა; 16. სვეტი ცხრილში; 17. ძაღლის ჯიში; 18. ჰიტლერის საყვარელი ევა ...; 19. ერთგვარი ჯიშის ღოღნოში; 23. ფრანგი პოეტი; 24. რამინის სატრფო (ლიტ.); 26. ბარბადოსელი მომღერალი ქალი; 27. ნარკოლოგიის სპეციალისტი ექიმი; 28. აფრიკის სახელმწიფო; 31. ჩასაბერი საკრავი; 32. ნაქსოვი ფეხსამოსი; 34. „დათა თუთაშხიას“ ავტორი; 39. ვისამე, რისამე ცუდი თვისება, დეფექტი; 40. გეოგრაფიული რუკების კრებული; 41. ბელინის ოპერა; 42. ქალაქი თურქეთში; 43. მეხსიერების დაკარგვა; 44. უნგრელი ფერმწერი; 46. ცხენოსანი ჯარი; 51. ინგლისელი სატირიკოსი ივლინ ...; 52. ყველაზე ნაკლები, უმცირესი; 55. ლეკების თარეშის პერიოდი საქართველოში; 56. პირველი ნოტი; 57. ნარნარი ფრენა; 58. ქვის ფილა წარწერით; 59. სახელმწიფოს მემკვიდრეობითი ტიტული ზოგ მაჰმადიან ქვეყნებში; 61. ნაპოლეონის მარშალი; 62. მსახიობი ბრიუს ...; 63. ერთგვარი კოქტეილი; 64. ქალაქი თურქეთში.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. დიდი, კაშკაშა მეტეორი; 2. რომაელი ფილოსოფოსი; 3. იაპონელი რეჟისორი; 4. დიდი ციმბირული ირემი; 5. გლინვით მიღებული ლითონი; 6. ქაღალდის კეცვის ხელოვნება; 7. ობობას ქსელი; 8. გაუთხოვრად დარჩენილი ქალი; 9. რაიონი ქვემო ქართლში; 10. საყოველთაო ლოცვა; 19. ძლიერი მიდრეკილება რაიმესადმი; 20. ამერიკელი მსახიობი მამაკაცი; 21. ფრანგი მწერალი მარი ...; 22. ქალაქი საფრანგეთში; 24. სტუმრობა; 25. ღვარძლიანი დაცინვა; 28. პლანეტა სატურნის თანამგზავრი; 29. ნიკელის ალმადანი; 30. პატარა გემი, კატარღა; 32. ტილის კვერცხები; 33. რისგანაც შექმნა ღმერთმა ადამი; 35. მუნიციპალიტეტი; 36. ინდოეთის ფულის ერთეული; 37. ყავის მოსადუღებელი ჭურჭელი; 38. საკრედიტო დაწესებულება; 44. ავსტრიელი მწერალი (ზღაპ. „ბემბი“); 45. ვაჟას მშობლიური სოფელი; 46. ბერძენი საოპერო მომღერალი ქალი; 47. მუსიკალური ნაწარმოების ხმით შესრულება; 48. მსახიობი ... ასათიანი; 49. მდინარე დასავლეთ საქართველოში; 50. ავტოკატასტროფა; 52. საცხედრე; 53. „გასანათებელი“ გაზი; 54. საგანგებო დავალება; 60. ნ. დუმბაძე — „... გეშინია დედა“.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ფრანგი მათემატიკოსი, ფიზიკოსი | სამხედრო ჯავშნიანი გემი | იტალიელი მოქანდაკე | წლოვანება | იტალიელი კომპოზიტორი | ოინი | ინგლისელი მსახიობი |
|---|---|---|---|---|---|---|

| სააღდგომო ნამცხვარი | ციტრუსი | იტალიელი მათემატიკოსი, ფიზიკოსი | ტბა მოზამბიკში | სპარსეთის მეფე | ტარიფი | თხის ხმიანობა |
|---|---|---|---|---|---|---|

## ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ (ᲐᲠ) ᲮᲣᲛᲠᲝᲑᲔᲜ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




WWW.ASAVALI.COM
mail@asavali.com

რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘᲐ 1992 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲛᲐᲠᲢᲡ

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲖᲔᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ

ᲐᲡᲐᲕᲐᲚ ᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ

2024 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ - 1 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ №36 (1554)

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

2 009882 637296

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲚᲐᲨᲐ ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ


*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*


ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲒᲖᲐᲕᲜᲔᲗ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚ ᲤᲝᲡᲢᲐᲖᲔ:

**mail@asavali.com**

„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**

ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www. facebook.com/Asavali.com**

გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“ სტამბაში.**


